" ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! - მძინარიც ამას ვდუდუნებ" - ვაჟა

განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2018 წ. ოქტომბერი * №58 * ფასი 1, 50 ლარი
გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან

მაცხოვრის ეკლესია (მესტია), XII ს.

ვიღაც ანგლმა კინტომ მერაბ კოსტავას ბიუსტი შეურაცხჰყო

გვ. 3

ინგუშეთი - ახალი ლუკმა პუტინისათვის?

გვ. 8

ეროვნულ მოძრაობაში ჩანერგილი რუსეთუმეები...

ლეილა ცომაია

გასულ წელს, საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილმა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მოქმედმა დეპუტატმა ნუგზარ მგალობლიშვილმა პირად საუბარში მამცნო, რომ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში შექმნა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი" . ამ ინიციატივამ, ერთდროულად, იჭვნეულად გამაკვირვა და გამახარა კიდეც. ნუგზართან, საბჭოური ხანის 80-იანი წლების დისიდენტური თანამებრძოლობა მაკავშირებდა. შემდეგ იგი თამარ ჩხეიძის ჯგუფის მიერ შექმნილ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში აღმოჩნდა და გაჩნდა დაპირისპირება და ნაპრალი ჩვენს ურთიერთობაში, რადგან იგიც, ამ საზოგადოებით, აქტიურად უპირისპირდებოდა ზვიად გამსახურდიას;

ქართული საზოგადოების უმრავლესობას დღეს უკვე, ინტერნეტითა და ტელევიზიებითაც ნანახი აქვს 1988 წლის დისიდენტების შეკრების კულუარული ვიდეო „ღირსების სასამართლო", ნუგზარ მგალობლიშვილის, ყველაზე გადამეტებულად მკვეთრი და ეპატაჟური გამოხდომებით ზვიადის მიმართ. თუმცა, ზვიადმა, როგორც ეკლესიურად შემწყნარებელმა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე დიპლომატმა, დაივიწყა პირადი წყენა და 1989 წლის 9 აპრილის შემდგომ აღსდგა პოლიტიკური ურთიერთკავშირი ნუგზარსა და ზვიადს შორის; 9 აპრილმა, ზვიადისა და მერაბის წინაშე დააყენა, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის ახალ ეტაპზე გადასვლის აუცილებლობა. კერძოდ, საქართველოს უმაღლეს საბჭოში აქტიურად უნდა წამოყენებულიყო მოთხოვნა, მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების უსწრაფესად ჩატარების შესახებ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ ეროვნულ-პოლიტიკური ძალები, რაც დააჩქარებდა კომუნისტური პარტიის დემონტაჟს საქართველოში. ამ ამოცანის გადაჭრის მიზნით, „კოლხურ კოშკში" მიმდინარეობ-

გაგრძელება გვ. 2-3

დასაწყისი გვ. 1

და აქტიური დისკუსიები დისიდენტებს შორის. ამ სტრატეგიით აღდგენილი ურთიერთობის წარმატებული შედეგი გახლდათ, ნუგზარ მგალობლიშვილის, დეპუტატის მანდატით, „დესანტად შეგზავნა“ კომუნისტური პარტიის საქართველოს სსრ XI მოწვევის უმაღლეს საბჭოში, სადაც მან, ზვიადთნ შეთანხმებით (გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად) იყარა კენჭი.

აწ უკვე დეპუტატმა ნუგზარ მგალობლიშვილმა, 1990 წლის აგვისტოს პლენალურ სესიაზე წაიკითხა ზვიადის მიერ შედგენილი პეტიცია, სოლიდური ხელმოწერებით, დემოკრატიული არჩევნების დაჩქარებულად ჩატარების შესახებ. აგრეთვე, მოითხოვა უშუალოდ ზვიადის გამოსვლა სესიაზე, რომელიც უმაღლესი საბჭოს წინ, პარალელურად მართავდა მრავალათასიან მიტინგს, იმავე მოთხოვნით, სესიისადმი. ზვიადის სესიაზე დასწრების მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მაგრამ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გივი გუმბარიძემ შეუძლებლად მიიჩნია ახალი არჩევნების თარიღის ამავე სესიაზე განსაზღვრა, შესაბამისი კანონის არქონის გამო. ზვიად გამსახურდია მიხვდა, რომ გუმბარიძე საგანგებოდ წელავდა დროს, რაც რისკის ქვეშ აყენებდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სტრატეგიულ გეგმას - ფორსირებულ რეჟიმში მიეღწია კომუნისტური პარტიის დემონტაჟისათვის. დაძაბულ პოლემიკაში გუმბარიძესა და ზვიადს შორის, ნუგზარ მგალობლიშვილმა ტრიბუნაზე დააგდო დეპუტატის მანდატი. ამგვარმა რადიკალურმა პროტესტმა აიძულა კომუნისტური ხელისუფლება შეეწყვიტა სესიის პირდაპირი სატელევიზიო ტრანსლიაცია. ტელევიზიის გაფაციცებული მსმენელი ხალხი მიხვდა, რომ სესიაზე უმართავი პროცესები დაიწყო და უმაღლესი საბჭოს შენობას კიდევ უფრო მეტი მასა მიაწყდა. საჭირო გახდა აზვირთებულ ხალხთან ზვიად გამსახურდიას ჩასვლა. ზვიადი შეეცადა ხალხის დამშვიდებას, მაგრამ კომუნისტურ ხელისუფლებასთან კომპრომისზე წასვლას არ აპირებდა; შეიქმნა რეალური საფრთხე, ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით, ხალხის მასების შენობაში შეჭრის.

აი, ამგვარი დაძაბულობის პიკზე, გივი გუმბარიძემ ინება ახალი, საყოველთაო-სახალხო არჩევნების თარიღის ოფიციალურად გამოცხადება, რომელიც დაინიშნა 1990 წლის 28 ოქტომბერს. 28 ოქტომბერი კი გახდა გვირგვინი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრძოლის ტრიუმფალურად დასრულების და საქართველოში, კომუნისტური რეჟიმის 70-წლიანი ბატონობის შემდგომ, დემოკრატიული ეროვნული ხელისუფლების მოსვლის.

შემდგომ იყო შეთქმულება, ღალატი, განდგომა, ფარული თუ აშკარა ბრძოლა, თვით ხელისუფლების შიგნითაც, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, იმ ძალების მხრიდანაც, რომლებმაც ზვიადთან ერთად იბრძოლეს ეროვნული ხელისუფლების მოსვლისათვის.

მოსკოვში უმაღლეს განათლება მიღებული (სამხატვრო აკადემია) ნუგზარ მგალობლიშვილი, მართალია აშკარად არ დაპირისპირებია ზვიადს, მაგრამ ზვიადისეული დამოუკიდებლობის იდეის ერთგულებისადმი გამომხატველი განცხადებებითაც არ გამოუჩენია თავი უზენაეს საბჭოში და არც საბჭოს გარეთაც; სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებისთანავე კი იგი მოსკოვში აღმოჩნდა(მისი თქმით იგი, თითქოს ზვიადის მიერ იყო წარგზავნილი), სადაც წლების განმავლობაში კომფორტულად ცხოვრობდა, სანამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, თბილისში გააგრძელებდა ფუნქციონირებას. აფხაზეთის ტერიტორიის დროებით დაკარგვის გამო, ნუგზარიც, დღემდე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს „მუდმივმოქმედი“ დეპუტატი გახლავთ.

ნუგზართან, ჩემი მჭიდრო ურთიერთობა, ხანგრძლივი წყვეტის შემდგომ 2011 წელს აღდგა ეროვნული გაზეთის („განმათავისუფლებელი„) პრობლემებთან დაკავშირებით, რაშიც იგი აქტიურად ამომიდგა მხარში და 2017 წლამდე, ჩემთან ერთად, მანაც ენთუზიაზმით წია ჭაპანი. ჩვენი მჭიდრო პატრიოტული კავშირ-ურთიერთობა არ გამოპარვია ივანიშვილის რეჟიმის სპეც-სამსახურებს, რომლებსაც თვალში არ მოსდით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურად ოპოზიციური და ანტირუსული იდეოლოგიის გაზეთი. და, ამოქმედდა სპეცსამსახურების დიქტატორული მანქანა, ეროვნულ მოძრაობაში ჩანერგილი საკუთარი სპეცაგენტების ჩართვით, რომლებიც მრავლად ახვევია გარს ნუგზარ მგალობლიშვილს.

არ გამოვრიცხავ, ნუგზარის, მოსკოვში ხშირი საქმიანი ვიზიტების, გვერდით (ფარულ), გავლენასაც... ვისი ძალმოსილების წინაშეც, მორჩილად იდრეკენ თავს, მათზე დამოკიდებულნი...

დიახ, მოსკოვი, შემთხვევით სულაც არ მიხსენებია აქ...

უზენაესი საბჭოს მეორე დეპუტატი, მჭახეხმიანი ავთანდილ რცხილაძე, 2003 წელს, პუტჩისტ თემურ ჟორჟოლიანთან ერთად, უშიშროების ყოფილი მინისტრის (პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მდევარ-მკვლელის) იგორ გიორგაძის მხარდამჭერთა „პოლკს“ წარმოადგენდა. ამ „პოლკის“ წევრი გახლდათ, აგრეთვე, ზვიად გამსახურდიას გვარდიის ერთერთი ხელმძღვანელი, ყოფილი პოლიტპატიმარი სოსო ჟღენტიც. რუსეთის უშიშროებიდან მართული ეს „პოლკი“, რომლის ძირითად ბირთვს, თემურ ჟორჟოლიანთან ერთად, შეადგენდნენ დამხობილი ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები ავთანდილ რცხილაძე და სოსო ჟღენტიც, მაშინ მოითხოვდნენ იგორ გიორგაძის მიმართ სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტასა და მის პოლიტიკურ რეაბილიტაციას. მათი მრავალთვიანი საპროტესტო მიტინგები დაფინანსებული იყო მოსკოვის უშიშროებისაგან და საკმაოდ რადიკალურ ხასიათს ატარებდა, ისინი არ გამორიცხავდნენ ხელისუფლებასთან შეიარაღებულ დაპირისპირებასაც... ეს კოლაბორაციონისტები იღვწოდნენ, იმპერიალისტური რუსეთის უშიშროების მაღალჩინოსან იგორ გიორგაძის, საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში დაბრუნებისათვის (იგორ გიორგაძის „პოლკის“ ფოტო, გაზეთიდან - „ხვალინდელი დღე“, 17 აპრილი, 2003 წელი).

ამა წლის სექტემბრის თვეში, ავთანდილ რცხილაძე, დედაენის ძეგლთან, რუსული ორიენტაციის ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ქართველიშვილის მიერ ორგანიზებულ მიტინგზეც ვიხილეთ. იგი, ამ მიტინგზეც ჩვეული მჭახე ხმით გამოვიდა და მომიტინგეების

წინაშე თავი მოიწონა ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს დეპუტატობითა და ჰელსინკის კავშირის წევრობით. მასთან ერთად, მიტინგზე, ხმაურიანი სიტყვით გამოვიდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გვარდიელი კახა სიხარულიძეც. მიტინგს, ეროვნული მოძრაობის სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, როგორც ირაკლი ქართველიშვილის მხარდამჭერები. ირაკლი ქართველიშვილს, წლების განმავლობაში, შევარდნაძის სახელმწიფო ტელევიზიაში მიჰყავდა გადაცემა „გააგრძელე საქართველოს ისტორია“, პრეისტორიული კინო-კადრებით. თუმცა, ვინაც რეალურად გააგრძელა საქართველოს გმირული ისტორია - ზვიად გამსახურდიას სახელი და ღვაწლი (ერთწუთიანი მეტრაჟითაც კი) არასოდეს უჩვენებია თავის სატელევიზიო ქრონიკებში. ირაკლი ქართველიშვილს ფეისბუქში ვკითხე, თუ რა აზრისა იყო იგი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე. მან ჩემი შეკითხვა სრულიად უპასუხოდ დატოვა. დარწმუნებული ვარ, ქართველიშვილის სატელევიზიო სამუშაო ფორმატში, დასაშვები რომ ყოფილიყო, ისტორიული პიროვნებების ნეგატიურ კონტექსტში ასახვა, იგი სწორედ ამ რაკურსით წარმოაჩენდა ზვიადს.

თქვენ კი, ვინა ხართ, რეალურად, უზენაესი საბჭოს დეპუტატებო, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებო, ფსევდო-პატრიოტებო - რწმენაშეცვლილი რენეგატები თუ იმპერიალისტური რუსეთის აგენტები, რომლებიც ჩანერგილი იყავით ეროვნულ მოძრაობაში, ეროვნულ ხელისუფლებაში, შეასრულეთ თქვენი ძირგამომთხრელი საქმიანობა, ზვიადი შეატოვეთ პირსისხლიან მტერს და თავად გამოხვედით სამშვიდობოს? ახლა კი, სულაც ურცხვად და უტიფრად ეწევით ზვიადის პოლიტიკური მრწამსის - დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეის დისკრედიტაციას და ღიად თანამშრომლობთ რუსეთის იმპერიალისტურ ძალებთან?!

ბატონო ავთანდილ რცხილაძევ, იცით თუ არა თქვენ, რა წერია „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების (რომლის წევრობითაც იწონებთ თავს) პროგრამის“ უმთავარეს 1 პუნქტში?

„1921 წლის 25 თებერვალს მოხდა დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს დაპყრობა ბოლშევიკური რუსეთის მიერ“ . წესდებაში კი ზვიადმა ჩაწერა, რომ მის მიერ შექმნილი “ კავშირი არ იზიარებს ჰელსინკის ხელშეკრულების იმ ინტერპრეტაციას, რომლის მიხედვითაც სსრ კავშირის, ე.ი. რუსეთის სუვერენიტეტი ვრცელდება ისეთ ტერიტორიებზე, რომლებიც მას დაპყრობილი აქვს და კანონიერად არ ეკუთვნის“ . თქვენ კი, სულაც კვლავ რუსეთის ქვეშევრდომობისაკენ მიისწრაფვით „მოლაპარაკებისა და დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის“ საბაბით? და არად აგდებთ ზვიადის მიერ წესდებით განსაზღვრულ ვალდებულებას? „3. კავშირის წევრი ვალდებულია: ა) იბრძოლოს საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, მისი ეროვნული აღორძინებისათვის“ და ა.შ. (გაზეთის მკითხველს შევახსენებთ, რომ ჰელსინკში, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაფუძნებული ხელშეკრულება, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შორის, დაიდო 1975 წელს, რომელსაც დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ერთად, ხელი მოაწერა სსრკ-მაც).

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ პროგრამის პუნქტში ზვიადმა ჩაწერა: „7. საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ უნდა დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა მსოფლიოს ქვეყნებთან. დამოუკიდებელი საქართველო უნდა გახდეს **სრულუფლებიანი წევრი გაეროსი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა“** (ხაზგასმა ჩემია), რაც გულისხმობდა ევროკავშირს, ევროსაბჭოს, ნატოს და ა.შ. რასაც თქვენ ახლა კატეგორიულად ეწინააღმდეგებით რუსეთის სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე და საქათველოს ნეიტრალიტეტს მოითხოვთ, რაც სრული სტაგნაციის მომასწავებელია.

თქვენ გახსოვთ თუ არა (განსაკუთრებით, უზენაესი საბჭოს დეპუტატებო), რომ **უზენაესი საბჭო და ეროვნული ხელისუფლება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროგრამულ ინსტიტუციას წარმოადგენდა, რომელსაც ეროვნულმა მოძრაობამ განუსაზღვრა თავისი პოლიტიკური მიზნების ქმედითად გახორციელება და ამგვარ ინსტიტუციად რჩება იგი დღემდე და სამარადისოდ ! და არავის, ა რ ა ვ ი ს (!) გაქვთ უფლება, უზენაესი საბჭოს დეპუტატის სახელით (მანდატით) საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით იმოქმედოთ.** თქვენი პიროვნული თავისუფალი ნება კი შეუზღუდავია.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არცთუ უმნიშვნელო ნაწილს, უკვე წლებია აქვთ, კახა კუკავას პრეზიდენტად აღზევებისა და მისთვის ლეგიტიმაციის გადაცემის განზრახვა.

მივმართავ ჭეშმარიტ ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს:

ხომ არ დადგა დრო, საჯაროდ ვამხილოთ ეს კოლაბორაციონისტი და რენეგატი უზენაესი საბჭოს დეპუტატები ზვიადისეული იდეის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკური მრწამსის ღალატში და პარლამენტის წინაშე დავსვათ საკითხი, მათთვის, სადეპუტატო პენსიის შეწყვეტის შესახებ ჩვენს მიერ შეთავაზებული, შესაბამისი კანონპროექტის საფუძველზე?

მათმა აღვირახსნილმა ლტოლვამ ოკუპანტი რუსეთისაკენ (ისტორიის ჩარხის უკანდაბრუნების ჟინით), პატივი და ღირსება აჰყარა სახელმწიფო საქართველოს თავისუფლების იდეას და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელს; ამა წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში, ამ კოლაბორაციონისტმა უზენაესი საბჭოს დეპუ- →

ვიღაც ანგლმა კინტომ, მერაბ კოსტავას ბიუსტი შეურაცხყო...

არ მეგულება საქართველოში, თვით ყოვლად მდაბიო და უგვანო ქართველიც, რომელიც ხელს აღმართავდა მერაბ კოსტავას ბიუსტზე და მას თეთრი საღებავით ჩამოდღაბნიდა. რამდენიმე წლის წინ, ჭადრაკის სასახლის ამ უმშვენიერეს პარკში, ფერადი ლითონების მაძიებელმა ღატაკმა ბიჭებმა, მერაბის ეს ბრინჯაოს ბიუსტი ღამის საათებში მოიპარეს და ჯართში ჩააბარეს. როდესაც მათ შეიტყვეს, რომ თურმე, მერაბ კოსტავას ბიუსტი მოუხსნიათ, დიდად შეწუხდნენ და დაირცხვინეს, თურმე. ბოდიშიც მოიხადეს და ბიუსტი ადგილზე დააბრუნეს. ამ ვიღაც ანგლმა კინტომ კი, მერაბის ბიუსტი მეორედ შეურაცხჰყო, აღმოაჩინა რა (ალბათ სიჩქარეში), მთლად სასურველად ვერ „დაემშვენებინა“ ბიუსტი.

მერია, კულტურის სამინისტრო და სამართალდამცავი ორგანოები ხომ საქართველოში ასეთ „წვრილმან ხულიგნობებზე“ არ რეაგირებს და დგას მერაბ კოსტავას ბიუსტი, დღემდე ამრიგად დადღაბნილი.

ტატებმა ავთანდილ რცხილაძემ, ნუგზარ მგალობლიშვილმა... და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ე.წ. წარმომადგენლებმა (ეთერ მგალობლიშვილმა, დავით ჭაბუკაშვილმა, ირაკლი ურუმბეგაშვილმა, რომელიც ფეისბუქში Titus Bibilus ფსევდონიმითაა დარეგისტრირებული და სხვ.), პრეზიდენტობის კანდიდატად, რუსეთის სატელიტი კახა კუკავა წამოაყენეს, რომელსაც, ქალბატონი მანანა არჩვაძის ლიდერობით მოქმედმა „მრგვალმა მაგიდამ“, პოლიტიკური ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველო,“ რამდენიმე წლის წინ გადაულოცა.

პარლამენტის წევრი (2004–2008) და თბილისის საკრებულოს წევრი (2010–2014) კახა კუკავას კავშირები რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან (ჟირინოვსკი, ხომერიკი...) არასოდეს ყოფილა დაფარული და მისი მოსკოვური „ვოიაჟებიც“ ღია იყო (ქვემოთ იხილეთ ფოტოები).

ქვემოთა ფოტოზე კი, კოლაბორაციონისტი კახა კუკავა, სავარაუდოდ შეეცადა, საქართველოს ოკუპაციის სიმბოლო - „გეორგიევსკის ლენტი“ შეება ბიჭუნასთვის (შვილია?...), ბიჭუნა კი გაიბუტა...

ვინ მოგცათ უფლება, ბატონებო და ქალბატონებო, ასე ცინიკურად იხარხაროთ საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე და აგრძელოთ შეთქმულება საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ზვიადისა და ეროვნული მოძრაობის სახელით? რამდენი ქვაბავაზაკი უნდა ჩამოეკიდოთ კიდევ ზვიადის სახელს? დარწმუნებული ხართ რა, საკუთარი უბადრუკი სახელები, ვერავითარ პოლიტიკურ დივიდენდებსა და გამარჯვებას ვერ მოგიტანთ, ურცხვად ეპოტინებით ზვიადის მემკვიდრეობას? და, რამდენი პროცენტი ამომრჩეველი მოგცემთ ხმას არჩევნებში - 0, 01% და დაკმაყოფილდება თქვენი ამბიცია თუ პოლიტიკური ბიზნესი?

მე განსაკუთრებით მტკივა ეთერ მგალობლიშვილი, რომელთანაც 13 წლიანი უკომპრომისო ბრძოლის ბატალიები მაქვს გამოვლილი. ჩვენ მედგრად და თავგანწირვით ვიბრძოდით ერთად იმპერიალისტური რუსეთის ემისრის, ედუარდ შევარდნაძის ხუნტისტური ხელისუფლების წინააღმდეგ. ერთად გამოვიარეთ და გადავიტანეთ რეჟიმის მიერ ჩვენს მიმართ გახორციელებული რეპრესიები. ამ ხნის განმავლობაში, ეთერი არასოდეს გამდგარა განზე, არასოდეს მივუტოვებივარ ბრძოლაში, საკუთარი ოჯახის სიმშვიდე და უსაფრთხოება არასოდეს დაუყენებია წინა პლანზე, არც საკუთარი ჯანმრთელობა; ეს ორივე საუნჯე და ფასეულობა, ეთერ მგალობლიშვილმა ნამდვილად შესწირა ამ ბრძოლას. ჩვენ ვიყავით ერთნაირად უკომპრომისო და შეურიგებელნი შევარდნაძის ხუნტისტური რეჟიმის წინააღმდეგ, რაც მიწყივ ნიშნავდა - არა, იმპერიალისტურ, ოკუპანტ რუსეთს!

დღეს და უკვე რამდენიმე წელია, ჩემგან უჩუმრად განრიდებული ეთერ მგალობლიშვილი, რუსული ორიენტაციის სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ბანაკშია.

ახსნა მიჭირს და წერის გაგრძელებაც მიჭირს...

მზერის გასწორებაც მიმძიმს... თვითლუსტრირებულნის...

2018 წლის 12 ოქტომბერი.

კინო კრიტიკა

„ხიბულას“ ტრაგედია ეკრანზე, ოვაშვილისეულად...

მსოფლიო კინემატოგრაფიაში ისტორიული გმირებისა თუ პერსონაჟების გაცოცხლება, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველივე წლებიდან დაიწყო და აქამომდე ეს ტენდენცია, თუ კინო-ჟანრად ჩამოყალიბებული „ისტორიული ფილმი“ მაყურებლის დიდი ინტერესით სარგებლობს. ქართული კინო, ისტორიული ფილმებისა თუ ისტორიული პერსონაჟების ეკრანულ გმირებად ქცევის ტრადიციით, მნიშვნელოვნად ჩამორჩება კინოინდუსტრიის მოწინავე ქვეყნებს, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. თუმცა, არც მთლად უამისობაა ქართულ კინოში და აი, მხოლოდ გასულ წელს ორი ასეთი ფილმი შეიქმნა ქართულ კინო-სივრცეში... მათ შორის ერთ-ერთში, არც მეტი, არც ნაკლები საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული სახელწმიფოს მტრების მიერ მოკლული ზვიად გამსახურდია, კინო-პერსონაჟად მოგვევლინა. ზვიად გამსახურდია - სიცოცხლეშივე ისტორიულ გმირად ქცეული, რომელიც ელოდა მის მხატვრულ გმირად ქცევას... და აი, თითქოს დადგა ეს მომენტიც! თუმცა...

ზვიად გამსახურდია! _ სახელი, რომელიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის, ერთ-ერთი მთავარი სახელია!.. და საერთოდ, უპირობოდ, მთავარი აქტორი ამავე პერიოდის საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის აღორძინებისა, საბჭოთა ჩაგვრისა და კონფორმიზმის კაბალისაგან ეროვნული თვითშეგნების ხელახლა დახსნისა და აღდგენისა... ჭეშმარიტი დისიდენტობისა, ეროვნული მოძრაობის ცეცხლის გაჩაღებისა, რითიც დაიმემკვიდრევა 1907 წელს მოკლული „ღვთის კრავის“ ილია ჭავჭავაძის იდეალები... და, შემოქმედი საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვებისა! დიდად მეიმედება, რომ ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელმაც არ იცოდეს მისი ვინაობა, არ სმენოდეს მასზე ათასი მტრის ჭორი, თუ ხალასი მართალი... ერთხელ მაინც არ დაფიქრებულიყოს მის ბედსა და განვლილ გზაზე და... ბოლოს და ბოლოს, ერთხელ მაინც არ ეგრძნოს გულის ძალუმი ფეთქვა მისი სიტყვების მოსმენისას, ან ერთხელ მაინც არ დაუფლებოდეს უსამართლობისა და ღალატის გამანადგურებელი განცდა, მისი მკვლელობის გამო... ამიტომ, თავად ზვიად გამსახურდიას შესახებ და მის ისტორიულ როლზე ახლა არ ვილაპარაკებთ, თუმც გარკვეულწილად ამას გვერდს მაინც ვერ ავუვლით, სათაურში ხსენებულ „კინო-სუბიექტზე“ საუბრისას. ზვიად გამსახურდიას ნამოღვაწარის, შემოქმედების თუ ცხოვრების გზის სათანადოდ აღწერა შეუძებელია, თუნდაც ვრცელი სტატიის ფორმატში; შეუძლებელია თუნდაც ფრაგმენტულად - მით უფრო, რომ ამ ბობოქარი არისტოკრატისა და ნატიფი ჯენტლმენის, შეუპოვარი, პრინციპული, მახვილივით განმგმირავი და ამავე დროს თავაზიანი ესთეტის, შლეგი და ამავდროულად გულჩვილი დაუმორჩილებელი მებრძოლისა და უანგარო სიყვარულით მარად ფარულად მომღიმარი, მრავალმხრივი და თვითმყოფადი ინდივიდუალისტის „ხატი“ ვერ იგუებს ვერავითარ ფრაგმენტულობას... როგორც, თავად ამ დიდმა კაცმა ვერ იგუა ფრაგმენტული „პატარა ბედნიერება“ სსრკ-ს საქართველოსი და მისი ნამდვილი ბედნიერებისათვის თავი გასწირა. იმ ბედნიერებისათვის, რომლის გზაზე შედგომა უპირველესად თავისუფლებით იწყებოდა! ასეთი ადამიანის ბედის სრული სისავსით აღწერაში უძლურია საგაზეთო რევიუები თუ პუბლიკაციები. მისი ბედი და სახე, რომელიც თავის დიდ ავტორს, ჯერ კიდევ ელოდება, მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურაში, მხატვრულ შემოქმედებაში თუ გაცოცხლდება თავისი სისავსით...

თუმცა, მოხდა ისე, რომ ლიტერატურას კინომ დაასწრო და 2017 წელს, გიორგი ოვაშვილის „ხიბულა“ გამოვიდა ეკრანებზე. მართალია ვამბობთ, ფილმი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი დღეების შესახებო... მაგრამ!.. სად არის აქ - ფილმში, ზვიად გამსახურდია?! არის კი, ფილმში ზვიად გამსახურდია?! უნდა გაგაწბილოთ - არ არის! ფილმში, მთავარ პერსონაჟს (თუმცა ისიც საკითხავია, არის თუ არა ამ ფილმში „მთავარი„) სახელით არავინ მიმართავს, მას უბრალოდ „ბატონ პრეზიდენტს“ უწოდებენ. ეს არაფერი. რეჟისორის მიერ ერთგვარი განზოგადების ხერხია და სრულიად მისაღებიც. სახელის ხსენება-არ ხსენებაში არ არის საქმე, თავად რეალური გმირის არსი და სახეა გამქრალი... მიზანმიმართულად თუ უნებლიედ, ეს უკვე რეჟისორს კითხეთ! თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა გაგაწბილოთ... გინდაც კითხოთ, მისი პასუხი, ბოლო ათწლეულების ქართველ ვაიპოლიტიკოსთამებრ მიკიბულ-მოკუბულ, ზოგადი ფრაზებით ვითომ ახსნა-განმარტების მიცემისა და კითხვის მთავარი არსის, ვითომდა „სხვა სიმაღლიდან“ განსჯის, რეალურად კი, კითხვის სხვა სიბრტყეში გადატანის მცდელობის ნაცად მანერას ვერ გასცდება. ამას ცხადჰყოფს, ფილმის პრემიერამდე გამათულ პრეს-კონფერენციაზე რეჟისორის ნათქვამი, რომ „მან მოჰყვა ამბავი, რათა დაესვა კითხვები და მოეწოდებინა საზოგადოებისთვის, ეძებონ მათზე პასუხები.“ სამწუხაროდ იმავე პრეს-კონფერენციაზე არავის უკითხავს, რომ საზოგადოება პრეზიდენტ გამსახურდიას საქმეზე ათწლეულებია ეძებს პასუხებს, მაგრამ დღემდე უშედეგოდ; ხოლო ხელოვანი, როცა ასეთ მნიშვნელოვან თემას ეხება, „მოწოდების“ გარდა, მინიმუმ უნდა გაუადვილოს საზოგადოებას „პასუხების ძებნა“...

სანამ, ფილმის სხვა მრავალ საჩოთირო პასაჟებს შევეხებით, უსამართლო იქნება არ ვახსენოთ ფილმის რამდენიმე ღირსება. მით უფრო, რომ ეს ღირსებები თითებზე ჩამოსათვლელია... ცალსახად ვერ უარყოფ, რომ ფილმი კინო-ენისა და კინო-ფაქტურის კარგი მცოდნის და ოსტატის გადაღებულია, რომელსაც მისეული, თითქმის ხელწერად ჩამოყალიბებული მანერა აქვს. ეს ხელწერა რამდენადაც ამართლებს მისი ე.წ. ტრილოგიის წინა ფილმებში, განსაკუთრებით „სიმინდის კუნძულში“, „ხიბულას“ შემთხვევაში ისე ეფექტურად ვეღარ მუშაობს, რადგან ერთგვარად, რეჟისორული ნარცისიზმის „რეციდივს“ გვაგონებს ვიზუალური გამოსახულებებით თვითტკბობა, რაც სიუჟეტის მსვლელობას ხელს სრულიად არ უწყობს. ფილმში, ასევე აღნიშვნის ღირსია ოპერატორის ნამუშევარი, თავისი ფერწერული კადრებით და ცოცხალი, დინამიური სტატიურობით. და კიდევ ერთი, რეჟისორის გადაწყვეტილება, რომ მთავარი პერსონაჟი არ გვანებოდა პროტოტიპს. ვფიქრობ ეს, ერთგვარი სითამამეც არის და ასევე ვიზუალურ ილუსტრაციულობაზე უარის თქმა, რაც ხშირად სახიფათოა, როცა საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ გმირს ქმნი. ამ შემთხვევაში, აშკარაა რეჟისორის საკითხისადმი თავისუფალი მიდგომა, რაც სასიამოვნო სიახლეა, მით უფრო, ქართულ კინოში ისტორიულ გმირთა გაცოცხლების პრაქტიკაში.

სამწუხაროდ, ფილმისადმი მოლოდინის მიუხედავად მეტს ვერაფერს ვიტყვით, მის ღირსებებზე. სამაგიეროდ, თავად გიორგი ოვაშვილი და მისი „ხიბულა“ სრულიად ლეგიტიმურ საბაბს გვაძლევს, ვიკითხოთ, რისთვის გადაიღო „ხიბულა„!.. ფილმი, რომელშიც არა თუ იდეა ჩანს, თავად ზვიად გამსახურდიას, როგორც პერსონის და მოვლენის იდეაც სრულიად დაკარგულია... ან საერთოდ, რამდენად შეიძლება ოვაშვილის ამ ქმნილებას ვუწოდოთ ფილმი? ის კინო-ჩანახატი უფროა... გამორჩეულად ესთეტიური, მაგრამ მაინც ვრცელი კინო-ჩანახატი, ბუტაფორიული, არასიღრმისეულად გააზრებული პერსონაჟებით, საქართველოს ულამაზესი პეიზაჟებით, თვალისათვის მომხიბვლელი კადრებით, რომლებიც სრულიად ვერ ეხმარება ამბის თხრობას. ამბავი ვახსენე და კიდევ ერთი კითხვა... რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ან ამბავი სად არის? ნუთუ, „ფილმის“ მთელი ამბავი ის არის, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე გაჭირვებით გადადის განდევნილ ადამიანთა ჯგუფი? „ადამიანთა ჯგუფს“ სპეციალურად ვამბობ, რადგან საქართველოს პირველ პრეზიდენტთან იმდენი საერთო აქვს ამ ჩანახატის ე.წ. გმირს, რამდენიც თავად ზვიად გამსახურდიას მის დამამხობლებთან... ამბავი იქით იყოს და ამ კინო-ჰიბრიდში, რომელიც საათნახევარი გრძელდება, ყველაზე საოცარია, რომ მოვლენა არ ხდება! დიახ, არ ხდება! ყველა მოვლენა ფილმის დასაწყისში და ბოლოში წარწერებშია გადატანილი. არ ხდება მოვლენა, რომელიც უმთავრესი დრამატურგიული ერთეული და საშუალებაა ამბის განვითარებისათვის...

კარგი, მოვლენა არ ხდება, არაფერი არ ხდება... და ნურავინ დაიწყებს ამაოდ, იმის მტკიცებას, უფრო სწორედ „ინტელექტუალურ ბოდვას“ მთავარი ამბავი და სიუჟეტური თხრობა გმირის შინაგან სამყაროზე და შინაგან განცდებზე გადაიტანაო... რომელ შინაგან განცდებზე, ნიჰილისტური მონოტონურობით რომ ყავს წარმოჩენილი გმირი?! „ბატონი პრეზიდენტის“ სახე, რომელიც უკვე სათაურიდან გამომდინარე ბუნებრივად ასოცირდება საქართველოს პირველ პრეზიდენტთან და რომელიც სრულიად დემორალიზებული და გაცამტვერებული აქვს... დაბნეული, ინფანტილური, ბედს მინდობილი კაცი ჰყავს გამოყვანილი... და ვხედავთ ვიღაც კაცს, რომელიც, რატომღაც სრულიად აცდენილია იმ წიაღსა და ყოფასაც კი, სადაც არის დაბადებული, გაზრდილი, აღზრდილი და რომლისთვისაც თავიც გადაუდია... რეალური გმირი, რომელიც სიცოცხლეში ყველა სიტუაციაში ცენტრი იყო, ფილმში რატომღაც განრიდებულ, გარინდებულ, უხერხულ მდგომარეობაში მყოფი ნაძალადევი სტუმრის პოზაში გვევლინება... ყველანაირი რისკის ფასად სამშობლოში დაბრუნებული პრეზიდენტი, რომელიც ყოველ წამიერად სიკვდილს ლამის თვალებში უყურებს და თავდაცვის რეჟიმში უწევს არსებობა, თურმე არ იცის იარაღის გამოყენებაც კი... და არა ერთი, სხვა მსგავი ნიუანსებია, რაც აუხსნელი ინფანტილიზმის საბურველს უქმნის პერსონაჟს, რეალური გმირისაგან განსხვავებით. მთავარი პერსონაჟის სახის დისკრედიტაციას ამძაფრებს მისი მეტყველების მანერა, რაც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რეჟისორის მხრიდან ჩადენილი დანაშაულია. ირანელი მსახიობი ჰოსეინ მაჰჯუბი, რომელიც პრეზიდენტის როლს ანსახიერებს, რეჟისორის მითითებებს ზედმიწევნით ასრულებს და უნდა ითქვას, პროფესიონალურად. ის უდავოდ კარგი მსახიობია, მისი შესრულების მანერა ორგანულია და კინო-პირობითობის ფლობის მაღალ ხარისხს ავლენს. თუმცა, უხერხულობას ქმნის ის ფაქტორი, რომ იგი არ ფლობს ქართულ ენას. ამიტომ, მის პერსონაჟს ქართველი მსახიობი ახმოვანებს. ეს ცალკე პრობლემაა ფილმში, თუ როგორ ცდილობს და წვალობს ქართველი მსახიობი, გახმოვანების და დუბლირების ისეთი ოსტატიც კი, როგორიც შოთა ქრისტესაშვილია, როგორმე დაამთხვიოს ხმა და ტექსტი ირანელი მსახიობის არტიკულაციას და მიმიკას, სამწუხაროდ უშედეგოდ. ეს თვალშისაცემად ხელოვნურს ხდის პერსონაჟ პრეზიდენტის მეტყველებას, რასაც რეჟისორის აშკარად საგანგებოდ მოფიქრებული „ფოკუსიც“ ვერაფერს შველის, რომლის გამოც თითქმის არ არის ამ ქმნილებაში მთავარი პერსონაჟის მსხვილი ხედები, თან მაშინ, როცა რიგითი პერსონაჟების მსხვილ ხედებს უშურველად გვთავაზობს რეჟისორი. და კიდევ უფრო მთავარი - პრეზიდენტის მეტყველების მანერა(!) თხემით ტერფამდე ქართველი და თავად ქართული ენის სულის მწვდომელი ზვიად გამსახურდიას კინო-პროტოტიპი, რატომღაც ახლად ქართულშესწავლილი უცხოელის ინტონაციით და აქცენტით საუბრობს!.. რაც ისე შემაძრწუნებლად მიუღებელია, რომ ამას ვერავითარი, ვითომ მხატვრული ჩანაფიქრის პოზიციიდანაც კი, ვერ გაამართლებს, ამ კინო-ქმნილების ყველაზე უტიფარი და გულდათუთქული აპოლოგეტიც კი!

უყურებ ფილმს და... სულ უფრო გინმტკიცდება, „ბატონი პრეზიდენტის“ პირველი გამოჩენისთანავე დაბადებული ეჭვი, რომელიც მალევე ხვდები, რომ ეჭვი სულაც არაა - რომ ფილმში არ არსებობს გმირი... რადგან ეს ნაცრისფერი პერსონაჟი, პირად მოსაზრებებს აყოლილი უილაჯო ეგოცენტრიკი უფროა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო გმირთან. ამ შეგრძნებას კიდევ უფრო ამძაფრებს, დასაწყისში ტიტრებში მოცემული წარწერის, ასევე „დანაშაულებრივი“ კონტექსტი - „1991 წლის გაზაფხულზე საქართველო დამოუკიდებლობას აცხადებს. მოსახლეობა პრეზიდენტს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით ირჩევს“ - ანუ გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ყველაფერი თითქოს თავისთავად მოხდა და დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი, თითქოს სრულიად არ ყოფილა საქართველოს პირველი პრეზიდენტის და მისი თანამოაზრეების უდიდესი ძალისხმევისა და ბრძოლის შედეგად მოპოვებული. მსგავსი ნარატივი კი, ამ „ჩანახატს“ ხან უხილავ, ხან კი სრულიად ხილულ რეფრენად გასდევს.

ფილმის პოზიციაზე, უფრო სწორედ უპოზიციობაზე აღარაფერს ვამბობ, რაც უბრალოდ სამარცხვინოა! თუმცა, ერთი-ორგან მაინც გაკრთის შემოქმედის „პოზიცია“, რომელიც დაახლოებულია საბჭოთა აგენტურის „ხმებთან“ და „პუტჩისტურ“ მოსაზრებებთან, რაც ათგზის სამარცხვინოა! მართალია ხსენებულია, რომ სამხედრო გადატრიალებით დაამხეს პრეზიდენტი და მადლობა ღმერთს, რომ ეს ნეგატიური ტერმინი მაინც არის ნახსენები. თუმცა, ამის პარალელურად სამხედრო გადატრიალების მომწყობებთან ერთად, რომლებიც ოვაშვილის ქმნილებაში არ ჩანან, ე.წ. სამოქალაქო ომის დანაშუალიც პრეზიდენტზეა აკიდებული, რასაც თავად ამ პერსონაჟს ათქმევინებს რეჟისორი - „მე ჩემს ქვეყანაში მშვიდობის დასამყარებლად არ დავბრუნებულვარ... მე ომი და დაპირისპირება მოვიტანე... ძმები, ძმათა წინააღმდეგ აღდგნენ... ახლა ერთადერთი, რაც შემიძლია, შეცდომების გამოსწორებაა“... პერსონაჟ პრემიერის რეპლიკაზე „მკვდრებს ვეღარ გააცოცხლებთ“, რეჟისო-

→

დისკუსია

არის თუ არა თურქეთი ოკუპანტი?

ისევ და ისევ ჩვენი დღევანდელი დილემის შესახებ



დღეს, როდესაც გავაჟღერებთ ასეთ ფრაზას: „რუსეთი ოკუპანტია“. წამსვე წამოჰყოფენ თავს საქართველოში რუსის მრავალათასიანი მეხუთე კოლონის ფარული თუ აშკარა მსტოვრები და შეგვაშველებენ - „თურქეთიც ოკუპანტია“.

ახლა გავერკვეთ საერთაშორისო ტერმინებში თუ რა არის „ოკუპანტი“ და „ოკუპაცია“. ოკუპაცია (ლათ. occupatio) — რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დროებით დაკავება. ოკუპაცია უნდა გავმიჯნოთ ანექსიისაგან, რომელიც ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის სრულ ან ტერიტორიის ნაწილის ძალით მიერთებას გულისხმობს.

აქედან გამომდინარე: ოკუპანტი - ოკუპაციის მომხდენი, ოკუპაციის მონაწილე. ქართულად - დამპყრობელი.

„თურქეთი ოკუპანტია“ - ეს არის ნონსესი, უაზრობა, არცოდნა თვით საკუთარი ქვეყნის უახლესი ისტორიისა და თუ რატომ, ამისათვის გადავხედოთ ჩვენს ქვეყანაში გასული საუკუნის ოციანი წლების ამბებს:

პირველი მსოფლი ომის დასრულების შემდეგ, ბრესტ-ლიტოვსკში, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე (11 ნოემბერი 1918 წელი), 1918 წლის 3 მარტს შედგა ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, რომლის შედეგადაც ომში მონაწილე ქვეყანას ოსმალეთის (და არა თურქეთს) იმპერიას გადაეცა ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქები.

1918 წლის 23 თებერვალს რუსეთის ცარისტული იმპერიის დამხობის შემდეგ, თბილისში შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. სეიმში ჩამოყალიბდა სამი ფრაქცია:

სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) — 32 წევრი;

მუსულმანთა ფრაქცია (მუსავატელები და უპარტიოები) — 50;

დაშნაკების ფრაქცია — 27.

სეიმის თავმჯდომარე იყო ქართველი მენშევიკი ნიკოლოზ ჩხეიძე.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო შეთანხმებას არ ესწრებოდნენ ამიერკავკასიის სეიმის წარმომადგენლები.

ამიერკავკასიის სეიმის 22 აპრილის სხდომაზე გამოცხადდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

1918 წლის 26 მაისს, სეიმმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადა.

იმავე დღეს გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 1918 წლის 26 მაისის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიამ ჩვენი სუვერენიტეტი სცნო კვირის თავზე - 1918 წლის 3 ივნისს, საბჭოთა რუსეთმა კი ორი წლის შემდეგ- 1920 წლის 7 მაისს.

მომდევნო წელს კი, 1921 წლის 15 თებერვალი - 17 მარტი, რუსეთმა განახორციელა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერვენცია, ოკუპაცია და ანექსია სამხედრო აგრესიის გზით.

ამავე დროს, ისარგებლა რა ოსმალეთის იმპერიამ, შემოიჭრა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სარდლობისა და ჯარების თავდადებით ოსმალები იქნა გადარეკილი.

საბჭოთა რუსეთის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერვენცია-ანექსია-ოკუპაციის შემდეგ, საქართველოდან განიდევნა ლეგიტიმური ხელისუფლება.

საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთის იმპერიასთან დადო მორიგი ხელშეკრულება ყარსის შეთანხმება - ყარსის სამშვიდობო ხელშეკრულება თურქეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მთავრობებს შორის. ხელი მოეწერა ყარსში 1921 წლის 13 ოქტომბერს, ხოლო რატიფიცირებულ იქნა 1922წლის 11 სექტემბერს ერევანში. შეთანხმებით, საქართველოს სსრ-ს ბათუმის ოლქიდან დარჩა მხოლოდ ქალაქი ბათუმი და აჭარა, თურქეთმა მიიღო ართვინის ოკრუგი და არტაანის ოკრუგი.

ყარსის ხელშეკრულება იმეორებდა 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებულ შეთანხმებას ტერიტორიების განაწილების თაობაზე. ყარსის ხელშეკრულებაში ამიერკავკასიის სახელმწიფოების მონაწილეობის მიუხედავად ის არ გამოხატავდა ამ სახელმწიფოების ნებას, რადგან თავად ეს ქვეყნები იყო ოკუპირებული საბჭოთა რუსეთის მიერ. სწორედ 1921 წლის 16მარტს დატოვა ქვეყანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ.

ასე რომ, ამ ბოლო ხელშეკრულების დადებისას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლობა-მონაწილეობაც იქნა იგნორირებული.

მაგრამ საუკუნის დასარულს, 1992 წელს, საქართველოს რესპუბლიკაში სამხედრო გადატრიალების განხორციელების შემდეგ მოხდა „საქართველოს“ მხრიდან ყარსის ხელშეკრულების რატიფიკაცია!

ეს არის საშვილიშვილო ღალატი და დანაშაული! ეს რატიფიკაცია მოახდინა სამხედრო ხუნტამ!

მივუბრუნდეთ ისევ „თურქეთი ოკუპანტია“ -ს.

ყველა ჩვენს მიერ ზემოჩამოთვლილი ხელშეკრულებების დროს არ არსებობდა სახელმწიფო „თურქეთის რესპუბლიკა“.

1299–1923 წლებშიარსებობდა ოსმალეთის იმპერია, რომელმაც არსებობა შეწყვიტა 1923 წლის 29 ოქტომბერს და ამავე დღეს გამოცხადდა თურქეთის რესპუბლიკის დაარსება. როგორც ვხედავთ,სახელმწიფო ერთეული სახელწოდებით „თურქეთი“ შედარებით ახალგაზრდაა და ტერმინს, მცნებას „თურქეთს“ არავითარი კავშირი არ აქვს ზემონახსენებ ხელშეკრულებებთან.

ოსმალეთმა რუსეთისაგან ფეშქაშად მიიღი ძირძველი ქართული ტერიტორიები, ისე რომ შურდულიც არ გაუსვრია. აქედან გამომდინარე დღევანდელი თურქეთის მიმართ ვერ და არ გამოიყენება ტერმინები: ინტერვენცია, ანექსია, ოკუპაცია...

ასე რომ, ჩვენი საზოგადოების იმ მოპატრიოტო ნაწილს, რომელიც ასე ომახიანად გაიძახის „თურქეთი ოკუპანტიაო“. პირში ჩალა გამოევლება!

ბოლოკუდა:

რუსეთუმე სტალინისტები კი თხზავენ მითებს, თითქოს სტალინს მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სურდა თურქეთისაგან დაებრუნებინა ქართული მიწებიო.

ჯერ ერთი, სწორედ სტალინის უშუალო მეთაურობით მოხდა საქართველოში საბჭოთა რუსეთის შემოჭრა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. სტალინი იყო ეროვნებათა საქმეების სახკომად 1917–1923წ.წ. ასე რომ ეს მითები ყავლგასულია, უფრო მეტიც, თურქეთის რეპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის დროს იყო გერმანიის მოკავშირე და ომის დამთავრების შემდეგ შეუძლებელი იქნებოდა „ქართული მიწების“ დაბრუნება?!

სინამდვილეში კი აი როგორ იყო:

ამონარიდი სტალინის წერილიდან, რომელიც მან ბოლშევიკთა ლიდერს ლენინს 1921 წლის 28 თებერვალს გაუგზავნა.

„ართვინის თურქეთისთვის გადაცემა შესაძლებელია, მაგრამ უფრო შორს მათი შეშვება არ შეიძლება. ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ბათუმი, რადგან ბათუმში განლაგებულია ნავთობის შესანახად საჭირო უამრავი რეზერვუარი. ბათუმის გარეშე ფიქრიც კი ზედმეტია ევროპასთან ნავთობით ვაჭრობაზე.“

ალექსანდრე სანდუხაძე

←

რი პრეზიდენტს ათქმევინებს - „მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ამ მსხვერპლმა უკვალოდ არ ჩაიაროს“... და ეს, სრულიად არ არის მხოლოდ მონანიე პერსონაჟის სიტყვები, ეს, სწორედ რომ, ავტორის შეხედულებაა, რომლის გაჟღერება სწორედ ზვარაკის პირით განიზრახა, საქართველოს მტრების ცოდვათა ვითომ შესამსუბუქებლად. და აქვე გვიჩნდება კითხვა - Господин Георгий, თუ შეიძლება გვითხარით რა დანაშაული ჰქონდა ისეთი პირველ პრეზიდენტს, რომ მავან ყაჩაღთ მისთვის ქალაქის ქუჩებში ცეცხლი გაეხსნათ და მისი ქვეყნიდან გაძევება განეზრახათ? კითხვა, რა თქმა უნდა რიტორიკულია და ადრესატის პასუხი, „ხიბულას“ ნახვის შემდეგ, ნაკლებ საინტერესოა...

ფაქტია, რეჟისორმა სრულიად დაშალა, დააპატარავა და გააუბრალოვა ზვიად გამსახურდიას არსი, იდეა და სახე... მან, როგორც თქვა, განდევნილი მმართველის სახის განზოგადება მინდოდაო... მაშინ, რაღა საჭირო იყო სათაური „ხიბულა„?.. ბოლოს და ბოლოს, ნუ დაარქმევდა „ხიბულას“... ასე ხომ საერთოდ ვერა სულიერი ვერ მიხვდებოდა, ვის პრეზიდენტს ან რომელ პრეზიდენტს ეხება ეს კინო-ქმნილება და მერე გაეკეთებინა, რაც სურდა... შეეთხზა პერსონაჟი, რომელიც ძე-ხორციელს არ მოაგონებდა ჩვენს პირველ პრეზიდენტს. მაგრამ, ესეც ნუთუ სპეციალური ჩანაფიქრი იყო, რომ ზვიად გამსახურდია ასეთ სახედ, უფრო სწორედ, უსახოდ წარმოედგინა მაყურებლისათვის... მაყურებლისათვის, რომელთა უმეტესობას, ახალგაზრდა თაობას, სულ არ ახსოვთ ცოცხალი ზვიად გამსახურდია და ხელოვნება საუკეთესო საშუალებაა მათთვის გმირების გასაცნობად... და, ასე უნდოდა „გაეცნო“ მომავალი თაობებისათვის ზვიად გამსახურდია?

და ბოლოს, ფინალი... აღსასრულის ეპიზოდი, რაც წესით აპოთეოზი უნდა ყოფილიყო, არ ჩანს! ის, რაც თითქოს მთელი „ჩანახატის“ მანძილზე მზადდება - პრეზიდენტის აღსასრული - მკვლელობა კადრს მიღმაა დატოვებული... ეს, რეჟისორის გადაწყვეტაა და არაფერია სათქმელი. მაგრამ!.. ყველაზე მიუღებელი, რაც ვნახეთ, ისაა რომ ფილმის უკანასკნელი ეპიზოდიდან და მანამდე „იარაღის მომზადების“ ეპიზოდიდან სრულიად ცალსახად მიგვანიშნებს ოვაშვილი, რომ პრეზიდენტმა თავი მოიკლა!... გიორგი ოვაშვილმა იმდენიც ვერ გაბედა, რომ ბოლო წარწერებში ის მაინც არ დაეწერა „ზვიად გამსახურდია სოფელ ხიბულაში, ერთ-ერთ სახლში გარდაიცვალა. დღემდე უცნობია პრეზიდენტი მოკლეს, თუ მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე“ ... მოკლეს, ბატონო გიორგი ოვაშვილო, მოკლეს !!! ხსენებული ტიტრი/წარწერა მეცნიერისაგან, მკვლევარისაგან კიდევ მისატევებელი იქნებოდა, რომლის ამოცანა ცივი ფაქტებით თხრობაა, ან დოკუმენტური ფილმი რომ ყოფილიყო! შემოქმედი, რომელსაც ყველანაირი უფლება და თავისუფლება გაქვს, იდეისათვის თქვა და გააკეთო, როგორც გწამს... და თუნდაც, ვერსია აქციო მხატვრულ ფაქტად, მით უფრო თუ ეს შემოქმედებითი ჟესტი შენი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვის და ისტორიის გადააზრების შანსია... და როცა ამას არ/ვერ აკეთებ? შენც, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მკვლელების არა, მაგრამ მკვლელობის ხელის დამფარებლების და ამ მკვლელობის გამოძიების ხელისშემშლელთა თანამონაწილე გამოდიხარ!

ეს კინო-ჩანახატი, რაზე იყო გათვლილი, მთელი მისი კონცეპციის გათვალისწინებით, ძნელი სათქმელია! ერთი კი ცხადია, რომ პრეზიდენტ გამსახურდიას და საქართველოს მტრებს, აშკარად ესიამოვნებოდათ მისი ნახვა, ხოლო ყველა სახელმწიფოებრივად და ეროვნულად მოაზროვნე მაყურებლისათვის, კიდევ ერთი გაწნული სილა აღმოჩნდა... ერთადერთ ნუგეშად კი, ის შეგვიძლია გვქონდეს, რომ ეს უსარგებლო კინო-ქმნილება, სადმე, რომელიმე არქივის თაროზე მყუდროდ დაივანებს, ნელ-ნელა დავიწყებას მიეცემა და ხშირ-ხშირად აღარ შეაშფოთებს ქართველი მაყურებლის თავმოყვარეობას...

P.S. ფილმის შესახებ, პრემიერამდე გამართულ პრესკონფერენციაზე, რეჟისორმა ასეთი ფრაზაც თქვა „მთელი ეს ამბავი მისტიური უფროა ჩემთვის, აბსურდი, თუ რა მდგომარეობაში შეიძლება ჩააყენოს ერმა ადამიანი, რომელიც თვითონ აირჩია ლიდერად“...

შეხსენებისთვის - ერმა არა, ბატონო გიორგი, რუსეთიდან მართულმა საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებმა, შეიარაღებულ დამნაშავეთა ხროვამ და მედროვე კონფორმისტებმა!

გიორგი სავანელი

დრამის რეჟისორი, საშემსრულებლო ხელოვნების მაგისტრი

ზვიად გამსახურდიას

1996 წლის 18 დეკემბერს ავიაკომპანია "ორბის" თვითმფრინავმა პარიზის შარლ დე გოლის აეროპორტიდან გეზი თბილისისაკენ აიღო. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის პარიზული ნაწილი ქართველ ერს უბრუნდება. თბილისში მოფრინავს ბატონი მამია ბერიშვილი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის თავმჯდომარე.

ამ ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს ბატონი გურამ შარაძე თავკაცობდა. მოგვიანებით, 1998 წელს გამოცემულ წიგნში "ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება" ბატონი გურამი დაწერს: "აქ მკითხველს თავს არ შევაწყენთ, თუ რა წინააღმდეგობების გადალახვა მოგვიხდა ლევილიდან არქივის წამოსაღებად... სამთავრობო არქივის გარდა საქართველოში ჩამოვიტანეთ ქართული მეცნიერების ისეთ კორიფეთა პირადი არქივები და სამეცნიერო მემკვიდრეობა, როგორებიც არიან ვიქტორ ნოზაძე, ზურაბ ავალიშვილი, მიხაკო წერეთელი"...

ეროვნულმა არქივმა ბინა საქართველოს პარლამენტში დაიდო, რასაკვირველია, დროებით - შესწავლისა და აღრიცხვის მიზნით.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის არქივი დაბრუნდა შენობაში, სადაც დამოუკიდებლობის დაკარგვიდან ზუსტად სამოცდაათი წლის შემდეგ, 1991 წელს, ეროვნულმა ხელისუფლებამ თავი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრედ გამოაცხადა და ქვეყნის დამოუკიდებლობა აღადგინა.

ემიგრანტთა დათქმა ასეთი იყო - არქივი დაუბრუნდებოდა მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოს.

1996 წელი იდგა და საქართველო დამოუკიდებელი იყო - დე-იურე! დე-ფაქტო!(?) თუმც ეროვნული ხელისუფლება განდევნილი, სისხლი დაღვრილი, ჭრილობები მოუშუშებელი, აფხაზეთი და სამაჩაბლო დაკარგული... ეს ის საქართველო არ იყო, ქართველი ემიგრანტები რომ ოცნებობდნენ, ეს არ იყო ილიას საქართველო, ზვიადის და მერაბის საქართველო...

არქივის დამუშავება ჩვენ დაგვევალა - კოლხური კოშკისა და კონსტანტინე გამსახურდიას არქივის დაცვის კომისიის წევრებს, ახლადდაარსებული ქართული ემიგრაციის მუზეუმის თანამშრომლებს.

ეს დიდი პატივი და კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა იყო, პასუხისმგებლობა წარსულისა და მომავლის წინაშე...

ჩვენ ერთი დიდი ტრაგედია, დიდი ტკივილი უკვე განცდილი გვქონდა, განცდილი და არა გადატანილი! მეხსიერებიდან არ გამქრალა აგერ ახლახანს ჩვენს თვალწინ გათამაშებული დრამა და ადრინდელიც - პოეტს რომ ათქმევინა:

"ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი.
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი".

1921 წელი განმეორდა საქართველოში. მხოლოდ, ყველაფერი უფრო მზაკვრულად მოხდა, შემდეგ მავანმა "დემოკრატიულ რევოლუციად", ზოგმაც "სამოქალაქო ომად" რომ მონათლა. მიუტევებელი ცოდვა დატრიალდა და... "ვსჭამთ ნაყოფსა მისგან "ტკბილსა"!

მინიატურული ბოქლომებით ჩაკეტილ თუნუქის ლურჯ ყუთებში ბევრი საიდუმლო იყო დაცული... არავინ იცოდა, რამდენი სიხარული, ტკივილი, ცრემლი, გაოცება გველოდა.

პირველ ყოვლისა საჭირო იყო სამთავრობო არქივის დამუშავება, აღებული ვალდებულებების შესრულება, რათა არ შეფერხებულიყო არქივის ჰარვარდული ნაწილის საქართველოში ჩამოტანა ამერიკიდან.

ვიქტორ ნოზაძის არქივის გახსნა ბოლოსთვის გადაიდო.

ამონარიდი გოგი ნოზაძის ნოტარიული წესით დამოწმებული დოკუმენტიდან: "ჩემს უფროს ძმას - ვიქტორ ნოზაძეს, რუსთველოლოგს, დარჩა არქივი, რომლის ჩემთან დარჩენილ ერთ ნაწილს ვატან საქართველოში პროფ. გურამ შარაძეს... არქივის დარჩენილი ნაწილი გადაეცემა ბატონ გურამ შარაძეს საქართველოში წასაღებად. მასვე ვანდობ მისი შრომების გამოცემას". დოკუმენტი ლევილში 1989 წლის 30 სექტემბერს გადასცა ბატონმა გოგი ნოზაძემ ბატონ გურამს.

ვიქტორ ნოზაძე - ცნობილი ქართველი ემიგრანტი, მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე. მრავალი ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთის გამომცემელი და რედაქტორი. ავტორი ბევრი გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ნაშრომისა. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის გვირგვინი ექვსი მონუმენტური ტომია - "ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება", "ვეფხისტყაოსანის მზის მეტყველება", "ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება", "ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება", "ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება", "ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება".

პოლიტიკური მოღვაწეობის გვირგვინს კი ვერ მოესწრო იგი, ისევე როგორც ქართველ ემიგრანტთა უმრავლესობა.

ვიქტორ ნოზაძის არქივში დაცულმა მასალებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: გამოუქვეყნებელი შრომები რუსთველოლოგიის, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებზე, ფილოსოფიური შრომები, თარგმანები, მასალები ქართული ეკლესიის შესახებ, პირადი დოკუმენტები, სხვათა ნაწერები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა...

ფართოა ვიქტორ ნოზაძისადმი გაგზავნილი წერილების ავტორთა სპექტრი, აქ ცნობილ ქართველ ემიგრანტთა მთელი გალერეაა - მიხაკო წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, რევაზ გაბაშვილი, არზაყან ემხვარი, ანდრია გუგუშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, ირაკლი ბაგრატიონი, შალვა მაღლაკელიძე, ალექსანდრე მანველიშვილი, აკაკი ჩხენკელი, პეტრე ხვედელიძე, ლევან ზურაბიშვილი... სამოციან წლებში წერილები საქართველოდანაც იგზავნება, წერენ ცნობილი ქართველი მეცნიერები, ნათესავები... უამრავ ხელნაწერს შორის მზერა ნაცნობ ავტოგრაფზე შეჩერდა...

"დიდად პატივცემულო ბატონო ვიქტორ! ... რუსთველოლოგიის ბნელი ლაბირინტების მანათობელ შუქურად გადაიქცა თქვენი შრომები"... წერილს სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი, ოცდაექვსი წლის ზვიად გამსახურდია წერდა მხცოვან სწავლულს. წლების შემდეგ მისი სამეცნიერო მოღვაწეობის გვირგვინიც ხომ "ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება" აღმოჩნდა.

არც ხანდაზმულმა მეცნიერმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ - წერილის ადრესატმა და არც ახალგაზრდა მეცნიერმა და პოლიტიკაშიც უკვე ნაბიჯგადადგმულმა ავტორმა იცოდა იმ დროს, 1965 წელს, რომ სწორედ იგი - ზვიადი აღასრულებდა საქართველოდან გადახვეწილთა სანუკვარ ოცნებას და აღადგენდა ქვეყნის დამოუკიდებლობას.

მანამდე კი იყო სამეცნიერო კვლევები, ლიტერატურული წერილები, კრიტიკული სტატიები, თარგმანები, პოეტური კრებული "მთვარის ნიშნობა", "იგავები და ზღაპრები", კვლევები "ვეფხისტყაოსნის" შესახებ. ზოგს უბეჭდავდნენ, ზოგსაც კრძალავდნენ და ანადგურებდნენ... ადვილი არ იყო საბჭოთა სივრცეში პოლიტიკური ბრძოლა - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლობა, არალეგალური ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების ბეჭდვა.

ხელთ მაქვს 1991 წელს გამოცემული "საქართველოს სულიერი მისსია". მასში გამოქვეყნებულია სამი საჯარო ლექცია: "საქართველოს სულიერი მისსია" - წაკითხული თბილისში, "იდრიარტის" ფესტივალზე, "ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ" - წაკითხული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, "გელათის აკადემიის სულიერი იდეალები" - წაკითხული ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში და წერილი "კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა".

ქართული ენა, ლიტერატურა და კულტურაა ბატონი ზვიადის კვლევის საგანი. თუმც არც ევროპული, ამერიკული თუ რუსული ლიტერატურა, პოეზია, კულტურა და მეცნიერებაა მისთვის უცხო. ზვიად გამსახურდიას ეკუთვნის ლიტერატურული წერილები და ესსეები შელის, ელიოტის, უიტმენის, ფროსტის და სხვათა შემოქმედებაზე, ამერიკელი პოეტების ანთოლოგია, გოეთე, ტოლსტოი, გოგოლი... საუკეთესოდაა მიჩნეული ლეონარდ კოტრელის "ანტიკურობის საოცრებანის" მისეული თარგმანი და სხვა და სხვა. ალბათ, დადგება დრო და ზვიად გამსახურდიას სამეცნიერო და პოლიტიკური ხასიათის თხზულებათა სრული ბიბლიოგრაფია გამოქვეყნდება.

ვიდრე კოლხურ კოშკს ცეცხლს მისცემდა დემოკრატიის სახელით მოსული ბოროტება, ზვიად გამსახურდიას თხზულებათა ხუთტომეულის გამოსაცემად მასალა მზად იყო და მხოლოდ ავტორის დასტურს ელოდა. სამწუხაროდ, არ ვიცით, ცეცხლმა შთანთქა თუ მრუდე ხელმა წაგლიჯა იგი ქართველ ერს.

კოლხურ კოშკში უამრავ ხელნაწერთა შორის ყურადღება ერთმა მოგრძო ფორმის ეტრატივით ფურცელმა მიიპყრო, აქა-იქ სანთლის ნაღვენთიც რომ შერჩენოდა. ჩემს ხელთ მეფე ფარნავაზიდან დაწყებული მეოცე საუკუნის მოღვაწეებით დამთავრებული ქართველ მეფეთა, გმირთა, მეცნიერთა, მწერალთა, პოეტთა ჩამონათვალი იყო. როგორც ჩანს, ბატონი ზვიადი უფალს და ქართველ მამულიშვილთა წმინდა სულებს ავედრებდა სამშობლოს.

1948 წელს ჟურნალში "ბედი ქართლისა" გრიგოლ რობაქიძე მიხაკო წერეთლის საიუბილეოდ წერდა: "ივანე უმთავრესად "მხოლო" მეცნიერი იყო, მიხეილი კი თანვე პოლიტიკური მებრძოლიც. საგანი კი როგორც იქ, "კვლევაში", ისე აქ, "ბრძოლაში",

→

სულიერი კავშირი ემიგრანტებთან

ერთი და იგივე: საქართველო“.

ზვიად გამსახურდიას ბრძოლისა და კვლევის საგანიც მუდამ საქართველო იყო. ემიგრაციაში მოღვაწე ყოველი ქართველი მეცნიერი ამავე დროს პოლიტიკოსი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი და ელჩი იყო მთელს მსოფლიოში. დიდი სულიერი და პოლიტიკური კავშირი ჰქონდა ბ-ნ ზვიადს ემიგრაციასთან როგორც დისიდენტს, პრეზიდენტს და დევნილობაში მყოფსაც. მახსენდება მისი პირველი სატელეფონო საუბარი ესპანეთში მცხოვრებ ბაგრატიონთა სამეფო ოჯახთან. მისი კავშირი გიორგი წერეთელთან, ლევან ზურაბიშვილის ოჯახთან, ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემებში “გუშაგსა“ და “თავისუფლების ტრიბუნაში“ გამოქვეყნებული მასალები ზვიადისა და მერაბის მოღვაწეობის შესახებ, და ბოლოს, უხუცესი ემიგრანტის პეტრე ხვედელიძისადმი გაგზავნილი დევნილობაში მყოფი პრეზიდენტის ბარათი, ვაშინგტონში, ბატონი პეტრეს მოკრძალებულ ბინაში, დღესაც საპატიო ადგილი რომ აქვს მიჩენილი.

ან კი რა გასაკვირია ბატონი ზვიადის სულიერი კავშირი ემიგრანტებთან, თავადაც ხომ აქ, საკუთარ სამშობლოში სულიერ ემიგრაციაში იმყოფებოდა, სხვა სიმაღლიდან, სხვა განზომილებიდან უცქერდა საქართველოს მომავალს. სხვაგვარად არც შეეძლო, რადგან იმ დაფარულთან ნაზიარები გახლდათ, რჩეულთა ხვედრი რომ არის მხოლოდ.

ვკითხულობ ბატონი ზვიად გამსახურდიას ამ ორ ეპისტოლეს და კიდევ უფრო ძლიერ მტკივა სული, მწყდება გული ყოველივე იმის გამო, რაც მოხდა და რაც ხდება...

რუსუდან პოგასიძე

დიდად პატივცემულო ბატონო ვიქტორ!

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ განვიზრახე მომეწერა ეს მცირე ბარათი.

უპირველეს ყოვლისა მსურს მადლობა მოგახსენოთ იმ წიგნისათვის, რომელიც თქვენ გამომიგზავნეთ და რომელიც ჩემთვის საამაყო რელიკვიას წარმოადგენს.

საბჭოთა საქართველოს მოწინავე ინტელიგენციისათვის რუსთველოლოგიის ბნელი ლაბირინტების მანათობელ შუქურად გადაიქცა თქვენი შრომები, განსაკუთრებით კი თქვენი უკანასკნელი ნაშრომი, რომელმაც იხსნა დიდი რუსთველი არამკითხეთა მიერ განკითხვისაგან. (ბევრი ცდილობდა მესსიის რაინდი ბნელეთის მოციქულად გამოეცხადებინა, მაგრამ ამაოდ.)

წერილის ჩარჩოებში ვერაოდეს ჩავტევ იმ აღტაცებას, რომელიც მომგვარა ღვთიური შუქით გაბრწყინვებულმა ამ დიადმა ნაწარმოებმა!

გავბედავ და მოგახსენებთ ჩემს ორიოდე მოსაზრებას.

დიდად მაინტერესებდა “მზიანი ღამის“ პრობლემა, რომელიც თქვენ ესოდენ ბრწყინვალედ გააშუქეთ თეოლოგიურის თვალსაზრისით.

მსურს შეგეკითხოთ: მოიტანდა თუ არა ნაყოფს “ვეფხისტყაოსნის“ კვლევა თეოსოფიურ-ეზოტერული ცოდნის თვალსაზრისით? მოგეხსენებათ დ-რი რ. შტაინერი და A. Saint-Yves d’Alveidre ხშირად ახსენებენ ხოლმე “მზიან ღამეს“ თავიანთ შრომებში. ეს უკანასკნელი “ვეფხისტყაოსანსაც“ ახსენებს თავის „Mission des Juif“-ში. იქნებ თქვენს რომელიმე შრომაში ეხებით მათ? თუ არ დაიზარებთ, გთხოვთ შემატყობინოთ თქვენი აზრი მათზე და საერთოდ, თეოსოფია-ანტროპოსოფიაზე.

ახლა რაც შეეხება თქვენს თხოვნას: დანტეს “ღვთაებრივი კომედია“ მთლიანად სთარგმნა მამაჩემმა 1934 წელს. “ჯოჯოხეთის“ ნახევარი გაიზიარა კონსტანტინე ჭიჭინაძემ, “სალხინებელი“ და “სამოთხე“ მამაჩემის თარგმნილია. წიგნი 1941 წლის აქეთ არ გამოცემულა და წარმოადგენს უნიკუმს. თუ ვერ ვიშოვეთ ეკზემპლიარი, რამდენიმე თვის შემდეგ ახალ გამოცემას გამოგიგზავნით. თუმც, იმედი მაქვს, რომ სადმე აღმოჩნდება.

დიდის მოწიწებით და
სიყვარულით,
ზვიად გამსახურდია
1965, 18/V.

მისამართი: თბილისი, გალის ქ. N15
ზვიად გამსახურდიას
ან: კონსტანტინე გამსახურდიას (ზვიადისათვის)
იგულისხმება 1963 წელს პარიზში გამოცემული “ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“.

დიდად პატივცემულო ბატონო ვიქტორ!

მოგესალმებათ თქვენი წიგნების დიდი მოყვარული ზვიად გამსახურდია. კვლავ გავბედე თქვენი შეწუხება ამ პატარა წერილით. წინა წერილში როგორც სჩანს მე ვერ გამოვთქვი გარკვეულად ჩემი აზრი და ამიტომაც ვერ მივიღე თქვენგან ჯეროვანი პასუხი. მე “ვეფხისტყაოსნის“ კვლევა კი არ დამიპირებია რაიმე ახალი თვალსაზრისით, არამედ მსურდა მეკითხა თქვენთვის, როგორც დიდი სპეციალისტისათვის ზოგი რამ, რაც ჩემთვის გაუგებარია. კერძოდ, “მზიანი ღამის“ შესახებ. მაგალითად, დ-რი რუდოლფ შტაინერი (Steiner) თავის ბროშურაში Weihnachten წერს:



ძველ მისტერიებში ადეპტები, მაშინ როდესაც მიმართავდნენ მთელ სულიერ ძალებს მზისაკენ, წელიწადის იმ დღეს, როდესაც ჩვენ შობას ვდღესასწაულობთ, შუაღამისას ხედავდნენო მზეს. მაგრამ ეს იყო ნათელჭვრეტით ხედვა და არა ჩვეულებრივი ფიზიკური მზის ხედვა... ეს იყო ჭვრეტა მზის არსისა, მზის სულისა, ქრისტესი, ანუ სულიერი მზისა (როგორც მას უწოდებს დანტეც). მოგეხსენებათ, შტაინერის ქრისტოლოგიის მიხედვით ეს იგივე სულია, რომელსაც სჭვრეტდა ჯერ კიდევ ზოროასტრი ადრეულ სპარსულ მისტერიებში და უწოდებდა სინათლის სულს “აურა მაზდას“ (ქრისტიანობასა და ზოროასტრიზმს შორის იდუმალ კავშირზე ჩემის აზრით მიგვითითებს მათეს სახარება, კერძოდ მოგვების თაყვანისცემა და ერთი ქრისტიანული საშობაო ლოცვა: “შობამან შენმან ქრისტე ღმერთო აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ რომელნი ვარსკვლავსა მსახურებდნენ, ვარსკვლავისაგან ისწავეს თაყვანისცემა შენი, მზეო სიმართლისაო“. არის თუ არა ზემოხსენებული ამბავი რაიმე კავშირში “მზიან ღამესთან“ (ვეფხისტყაოსანში?). აი, რა მსურდა გამეგო. შემდეგ შტაინერის ქრისტოლოგია იმასაც გვეუბნება (ეზოტერულ ქრისტიანობაზე დაყრდნობით), რომ ზემოხსენებული კოსმიური ლოგოსი გამოვლინდა ისტორიულ ასპარეზზე იესო ნაზარეველის სხეულში, ე.ი. უჟამო ლოგოსი, სულიერი მზე უერთდება ჟამისად მიმდინარე მიწიერ ევოლიუციას, ისტორიულად ვლინდება; არის თუ არა ეს “უჟამო ჟამისად“?

მსურს შეგახსენოთ აგრეთვე ერთი ადგილი ქრისტიანი თეოსოფოსის იაკობ ბემეს (Böhme)“ავრორადან“: “მზე გულია ვარსკვლავთა... იგია მეფე და გულისგული ყველა ნივთთა ამ სამყაროში და სამართლიანად ასახავს ძე ღმერთს“. ე.ი. ხატია ძე ღმერთისა. ამას ვგულისხმობდი მე როდესაც მოგახსენებდით ქრისტიანული თეოსოფიის ელემენტისათვის. ამავე დროს მსურს მოვიყვანო ანალოგიური ტაეპი დავით გურამიშვილის “ დავითიანიდან“: (თავი “ოდეს დავითს ტყვეობასა შინა სციოდა):

“ ისმინე ლექსთა მკითხველო, სიტყვა აგიხსნა წინადა:

ძეს ღმერთს კაცებით მზედ ვსახავ, სახით მზეს - თინათინადა,

ღმერთთა ღმერთობით, მზეთა-მზედ მამას ვსახ თქმად სასმინადა,

მე მზესა ვეძებ, თინათინ ყოვლ დღივ შუქს თვალის ჩინადა“.

გარდა ამისა მაინტერესებს, იზიარებთ თუ არა თქვენ დასავლეთის თეოსოფიასა და მეცნიერებაში (ვგულისხმობ Edouard Schuré-ს, Saint-Yves d’Alveidre-ს, Sinnet-ს, Blavatsky-ს და სხვათა) გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ დიდ რელიგიებს ჰქონდათ ფარული, ეზოტერული მხარე, რომელიც არ ეძლეოდა ხალხთა მასსებს, მაგრამ რომელიც წარმოადგენდა ჭეშმარიტ საფუძველს ამ რელიგიებისას? ამას საღვთო წერილიც ხომ მიგვითითებს: “და დაწერილ არიან ორმეოცთა წელ დღეთა წიგნნი ორას ოთხნი და იქმნა ოდეს განსრულდეს ორმეოცნი დღენი მეტყოდა მაღალი და მრქუა: “პირველნი რომელნი დაწერენ, ცხადად დაადგინე, რათამცა იკითხვიდნენ ღირსნი და არა ღირსნი, ხოლო უკანასკნელნი სამეოცდა ათნი დაიცევ, რათა მისცნე იგინი ბრძენთა ერთაგან შენთა, რამეთუ მათთა შინა არს ძარღვი მეცნიერებისა და წყარო სიბრძნისა და ცნობისა მდინარე, და ეგრეთ ვქმენ“ (ეზდრა, გ. თავი იდ., მდ - მ13).

უნდა მოგახსენოთ, რომ განსაკუთრებით დამაჯერებლად მეჩვენა ეს თვალსაზრისი E. Schuré-ს წიგნში “ Les grandes Inities“, რ. შტაინერის წიგნში „das Christentum als mistysche Tatsache“, “ Geheimewissenschaft“ და სხვა., ამიტომაც გავბედე თქვენი შეწუხება.

ჩვენმა ოჯახმა მოგიკითხათ დიდის სიყვარულით.

დაგვიანებით გილოცავთ კვლავაც.

თქვენი ზვიად გამსახურდია
1966 წ.
11/I. ტფილისი

ინგუშეთი - ახალი ლუკმა პუტინისათვის?...

რუსეთი - კაცაბრიობის ისტორიაში ხალხთა საპყრობილედ წოდებული ეს ანტიკაცობრიული წარმონაქმნი დღესაც წარმატებით იყენებს ყოველ იმპერიათა მრავალგზის ნაცად ლოზუნგს „გათიშე და იბატონე“ და ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გასატარებლად - ადამიანის ცნობიერებისათვის წარმოუსახავ სისასტიკეს.

მოსკოვიის სამთავროს, მოსკოვიის სამეფოს, პეტრე პირველის მიერ რუსეთად წოდებულ უზარმაზარ იმპერიად ქცეულს, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, დამპყრობლური ომების გარეშე, ერთი ათწლეულიც კი არ ჰქონია.

ბოლო სამი საუკუნის მანძილზე რუსეთისათვის კავკასია იქცა დილემად. მიუხედავად იმისა, რომ რუსმა დედამიწის ეს მრავალეთნიკური რეგიონი საბოლოოდ მოაქცია თავის საზღვრებში, ის დღესაც განაგრძობს ამ რეგიონში მეზობელ ხალხებს შორის ურთიერთწაკიდების პოლიტიკას, თესავს მათ შორის შუღლსა და მტრობას, ინსპირირებას უწევს შეიარაღებულ კონფლიქტებს და ამით ასუსტებს კავკასიელ ხალხებს, საფრთხეს უქმნის მათ ფიზიკურ არსებობას.

კავკასიის დაპყრობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებებისას მან სრულიად გაწყვიტა და გააქრო რამდენიმე აბორიგენი კავკასიელი ხალხი.

გენოციდის დამადასტურებელად შესაძლებელია ჩერქეზული მოსახლეობის რუსეთ–კავკასიის ომის დასაწყისისთვის და მის დამთავრების ხუთი წლის შემდეგდროინდელი მონაცემების მოყვანა:

შაფსუღები იყვნენ 300 000 დარჩა 1983 კაცი
აბაძეხები – 260 000, დარჩა – 14 660
ნათუხაელები – 240 000 დარჩა – 175
თემირღოელები – 80 000, დარჩა – 3140
ბჟედუღები – 60 000, დარჩა – 15 263
მახოშეველები – 8 000, დარჩა – 1204
ადამიელები – 3000, დარჩა – 230
უბიხები – 74 000, დარჩა – 0.

დაახლოებით ასი ათასი ჟანეეველებისა და ხაკუჩებისაგან ცოცხალი არ დარჩენილა არცერთი.

რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის შესახებ წერს თვით მეცხრამეტე საუკუნის რუსი ფილოსოფოსი ვ. როზანოვი (1856-1919):

„ჩვენ, მოსკოვიტებმა შევისრუტეთ ყირგიზები, ჩერემისიები, ბურიატები და სხვები. გავძარცვეთ სომხეთი და საქართველო, ღვთისმსახურებაც კი ავკრძალეთ ქართულ ენაზე, გავქურდეთ უმდიდრესი უკრაინა. ევროპას ჩვენ მივეცით ანაქრისტები პ. კროპოტკინი, მ. ბუნინი, ნგრევისა და ჯალათობის მოციქულები შიგალიოვი, ნეჩაევი, ლენინი და მათი მსგავსნი. მორალური სიბინძურე - მოსკოვია - ეს ურჩხულია, რომელზეც ჯოჯოხეთსაც კი აერეოდა გული და დედამიწაზე გამოაბრუნებდა“.

რუსი ფილოსოფოსის ამ სიტყვებს ადასტურებს რუსი გენერლების ჩანაწერები კავკასიური ომების წარმოებისას:

გენერალი ციციანოვი „დამორჩილებული კავკასია“ 1804 წელი:

„თქვენ ყველას აღგავთ მიწის პირისაგან, ვივლი ცეცხლითა და გადავწვავ ყოველივეს, რასაც ჯარებით ვერ დავიკავებთ. ტქვენს მიწას თვქვენსავე სისხლით დავტბორავ და ის გაწითლდება, მაგრამ თქვენ როგორც კურდღლები წახვალთ ჭიუხებში, იქაც მოგწვდებით და გაწყდებით არა მახვილით, არამედ ყინვით ამოგხოცავთ...„

დეკაბრისტი ლორერი კი იხსენებს:

„ზასთან საუბრისას მე მას მივანიშნე - წერდა ის - რომ არ მომწონს მისი ომის სისტემა და მან მე მაშინ მიპასუხა:

„რუსეთს სურს კავკასიის დამორჩილება, რაც არ უნდა მოხდეს.

მაშ რითი დავიპყროთ ჩვენი მტერი ხალხები თუ არა შიშითა და მუქარით?

აქ არ გამოდგება ფილანტროპია, და ერმოლივი, დაუნდობლად მუსვრელი, სოფლების მძარცვავი და გადამწველი, მხოლოდ ამით აღწევდა ჩვენს საწადელს“.

ნიკოლოზ I - გრაფ პასკევიჩს, გენერალ-ფელდმარშალს (1829 წელი, რუსეთ თურქეთის ომის დარსულების შემდეგ) წერს:

„ამგვარად, მოამთავრე ერთი დიადი საქმე და უნდა დაიწყოთ მეორე, ჩემი თვალსაწიერით ერთობ დიდებული, განსჯისასკი პირდაპირი სარგებელისთვის ზედმიწევნით უმნიშნელოვანესი - მთიელი ხალხის სამუდამო დამორჩილება ან დაუმორჩილებელთა ამოწყვეტა.„

რუსეთის თვითმპყრობელსა და გენერლებს, ხალხთმოძულეობაში აჭარბებს, ჯერაც ბევრი ქართველისათვის საყვარელი რუსი პოეტი ალექსანდრ პუშკინი:

პუშკინი, 1929 წელი, „მოგზაურობა არზრუმში„:

„ჩერქეზებს ვძულვართ. ჩვენ ისინი გავდევნეთ თავისუფალი საძოვრებიდან, მათი აულები დარბეულია, ამოწყვეტილია მთელი ტომები.

ისინი სულ უფრო და უფრო იჭრებიან მთებში და იქედან აწარმოებენ თავდასხმებს.

მშვიდობიანი ჩერქეზების მეგობრობა არასაიმედოა: ისინი ყოველთვის არიან მზად დაეხმარონ თავიანთ მეამბოხე თანატომელებს.

სატევარი და ხმალია მათ სხეულზე ასხმული და ყრმაც კი იწყებს იმთავითვე მათ დაუფლებას, თუნდაც ჩლიფინობდეს. კვლა მათთვის ჩვეულებრივი მოვლენაა...“.

და რუსის მახვილი დღესაც ჰკიდია კავკასიის ცის თავანს!

ამჯერად რუსმა გადაწყვიტა ერთმანეთს წაჰკიდოს ვაინახები - ინგუშები და ჩეჩნები.

სანამ მთავარ საკითხზე გადავიდოდეთ, მანამ შემოგთავაზებთ მცირე ექსკურსს საბჭოთა პერიოდიდან დღევანდელი ინგუშეთის რესპუბლიკის შესახებ:

ინგუშეთის ავტონომიური ოლქი დედაქალაქ ვლადიკავკაზით რსფსრ-ს შემადგენლობაში შეიქმნა 1924 წლის 7 ივლისს მთიელთა ასსრ-ს დაშლის შემდეგ. ხალხისა და ოლქის ხელმძღვანელობის ნების წინააღმდეგ 1934 წელს ის გააერთიანეს ჩეჩნეთთან, ხოლო დედაქალაქი ვლადიკავკაზი გადაეცა ოსეთის ოლქს



(ვლადიკავკაზის კუთვნილების შესახებ ჩვენ ვწერდით ჩვენი გაზეთის წინა წლების ნომერში). მაგრამ 1944-1957 წლებში ინგუშთა და ჩეჩენთა ავტონომია აღარ არსებულა, როგორც ვიცით ეს ხალხი გადაასახლეს ციმბირსა და ყაზახეთში. მათი რეპატრიაციის შემდეგ კი აღადგინეს ეს ავტონომიური რესპუბლიკა.

ინგუშეთის რესპუბლიკა შეიქმნა 1992 წლის 4 ივლისს.

დღევანდელი ინგუშეთის ტერიტორია მოიცავს 5,4 ათას კვ. კმ-ს. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ განფენილობა აღწევს 152 კმ. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ კი - 76 კმ-ს.

ჩრდილოეთით ინგუშეთი ესაზღვრება სტავროპოლის მხარეს, ჩრდილო-დასავლეთით კი ყაბარდო-ბალყარეთს. აღმოსავლეთით - ჩეჩნეთის რესპუბლიკას, სამხრეთით კი საქართველოს, დასავლეთით ოსეთს. ინგუშეთი მდებარეობს რუსეთის ევროპული ნაწილის სამხრეთით, დიდი კავკასიის ჩრდილოეთის ფერდობების ცენტრალურ ნაწილში.

რუსეთის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით 2005 წლის პირველი იანვრისათვის ინგუშეთის მოსახლეობა შეადგენდა 583,6 ათას კაცს. რესპუბლიკაში ცხოვრობენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები: ინგუშები, რუსები, ჩეჩნები, ოსები, კუდარენი, ყაბარდოელები, ქართველები და სხვები. რესპუბლიკაში დემოგრაფიული მდგომარეობა ხასიათდება მაღალი შობადობით და აგრეთვე მიგრანტი-დევნილებით მეზობელი ჩეჩნეთიდან, აგრეთვე მოსახლეობის შიდა მიგრაციით დასავლეთ ინგუშეთიდან.

ადმინისტრაციულად ინგუშეთი იყოფა 5 რაიონად: ნაზრანის, პრიგოროდნის, მალგობეკის, სუნჟენის და ჯეირახის. 5 ქალაქად: ვლადიკავკაზი, მაგასი, ნაზრანი, ყარაბულაყი და მალგობეკი. 65 სასოფლო ადმინისტრაციად.

უმაღლეს წერტილებად ითვლება შოანი - 4451 მ. და მატ ლოამი 2993 მ. ზღვის დონიდან.

ვლადიკავკაზს 1931 წლისთვის ინგუშეთის ავტონომიური ოლქის მაშინდელი ხელმძღვანელობის ინიციატივით დაერქვა ორჯონიკიძე.

მაგასი

შუა საუკუნეების სახელმწიფოს ალანიის - მთიელ ხალხთა ისტორიული მონაცემების თანახმად, მაგასი დაინგრა მონღოლი ბათო ყაენის მრავალრიცხოვანი არმიის შემოსევის შედეგად 1231 წელს.

ისტორიულად მაგასი მდებარეობდა იმავე ადგილას, სადაც ახლაა განლაგებული ინგუშეთის ახალი დედაქალაქი მაგასი.

მაგასი ინგუშურიდან თარგმნით ნიშნავს - მზის ქალაქს.

დღეს კი რუსი ომის პროვოცირებას ეწევა თავისი ერთთგული რენეგატების - ჩეჩნეთისა და ინგუშეთის რესპუბლიკების ე.წ. პრეზიდენტების მეშვეობით.

ამჯერად საქმე ეხება ამ რესპუბლიკათა დღემდე არსებული საზღვრების გადახედვას.

ამა წლის 26 სექტემბერს ინგუშეთის და ჩეჩნეთის რესპუბლიკების „პრეზიდენტებმა“ – იუნუს-ბეკ ევკუროვმა და რამზან კადიროვმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამ ორ რესპუბლიკას შორის საზღვრების ცვლილებაზე, რამაც ინგუში ხალხის პროტესტი გამოიწვია. საპროტესტო აქციები კი დღემდის გრძელდება. „ინგუშეთის საკონსტიტუციო სასამართლომ კი ამ შეთანხმებაზე უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო. იქ განაცხადეს, რომ მსგავსი გადაწყეტილებების მისაღებად საჭიროა ამ საკითხის სახალხო რეფერენდუმზე გატანა.

ინგუშეთის კონსტიტუციური სასამართლო თავის მოწოდებაში აქვეყნებს, რომ კანონპროექტი არ ექვემდებარება განხილვას, რამდენადაც მოცემული შეთანხმების დამტკიცება შესაძლებელია მხოლოდ ინგუშეთის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე.

სექტემბრის ბოლოსთვის ინგუშეთში ამის საწინააღმდეგოდ გაიმართა აქციები. აქტივისტები ამტკიცებენ, რომ ხელშეკრულება ინგუშეთისთვის არახელსაყრელია.

ხუთშაბათის დილით რეგიონალურმა პარლამენტმა მოიწონა ტერიტორიების გაცვლა. 25 დეპუტატიდან გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა 17 დეპუტატმა, სამი დეპუტატი წავიდა წინააღმდეგი, ხუთმა კი თავი შეიკავაო, იუწყებოდა ტასს-ი.

ამის გამო ოთხი დეპუტატი გამოვიდა შეკრებილ ხალხთან და განაცხადა, რომ 15 დეპუტატმა საწინააღმდეგოდ მისცა ხმა, ოთხმა კი გააფუჭა ბიულეტენი.

ახლა კი გადავხედოთ ახლო წარსულს:

1992 წლის 4 ივნისს მიღებული რუსეთის ფედერაციის კანონის მიხედვით რუსეთის ფედერაციის საზღვრებში წარმოიქმნა ორი სუბიექტი: ინგუშეთისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკები. მაგრამ ოფიციალურად კანონი საზღვრების შესახებ არ მიღებულა.

გავიხსენოთ ის, რომ რამდენიმე წლის წინ ამავე ევკუროვმა აღიარა ინგუშთათვის ყოვლად საზიანო საკითხი „პრიგოროდნი რაიონი„(ეს კი მთლიანად არის დასავლეთ ინგუშეთი) - ოსეთის სასარგებლოდ, მაგრამ ევკუროვის მაშინდელ ნაბიჯს რატომღაც არ გამოუწვევია ინგუშეთის საზოგადოების ასეთი მძაფრი პროტესტი, არც ვის მოუთხოვია მისი გადადგომა, თუმც მისი გამყიდველობაში დადანაშაულება მაშინაც გაისმოდა. ინგუშეთის მაშინდელმა მარიონეტულმა პარლამენტმა დაამტკიცა ევკუროვის ეს მოღალატური ნაბიჯი.

უპრიანია ჩეჩნეთის რესპუბლიკის იჩქერიისა და ინგუშეთს შორის 1993 წლის 23 ივლისის ხელშეკრულების გახსენებაც, რომელსაც ხელი მოაწერეს ჯოხარ დუდაევმა და რუსლან აუშევმა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ „არ ჩაატარონ ტერიტორიული განცალკავებები და არ დააწესონ სახელმწიფო საზღვრები ორთავე მხარის შეთანხმების გარეშე“.

ამის გარდა მხარეები იღებდნენ ვალდებულებას, რომ „არასდროს დაუშვან ტერიტორიული საკითხების განხილვის მოლაპარაკებების დროს მონაწილედ ან შუამდგომლად რომელიმე მესამე მხარე“.

1994 წლის მარტში ხელი მოეწერა საზღვრების გადახედვის ორმხრივი კომისიის შექმნას.

ამის მიხედვით 1994 წლის 29 მარტს ჯოხარ დუდაევმა და რუსლან აუშევმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ჩე- ჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიასა და ინგუშეთის რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრების გადახედვის შესახებ“, დაუდვეს რა მოლაპარაკებებს საფუძვლად 1934 წლისთვის არსებული საზღვრები, რომელიც არსებობდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის გაერთიანებამდე“. რაელურად არსებული დემოგრაფიული სიტუაციის, სამეურნეო მიზანმიმართულების, პოლიტიკური გარდაუვალობის გათვალისწინებით, რომელიც ნაკარნახევი იქნება ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას.

მუშაობა საზღვრების განსაზღვრისათვის ვერ დამთავრდა დაწყებული მეორე ომის გამო.

1999 წლის აპრილში ჩეჩნეთის რესპუბლიკის იჩქერიისა და ინგუშეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ კვლავ დაადასტურეს 1993 წლის შეთანხმება საზღვრების შესახებ.

ნაზრანში შესაბამის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ინგუშეთის პრეზიდენტმა რუსლან აუშევმა და იჩქერიის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ყაზბეგ მახაშევმა.

როგორც ვხედავთ ეს საჭირბოროტო საკითხი თავის დროზე გადაწყვიტეს ამ ორი ერთი ფუძისა და წარმომავლობის მოძმე ხალხის ეროვნული ხელისუფლებების წარმომადგენლებმა.

დღეს კი, როგორც ზემოთ ვთქვით, რუსს კვლავ მოუნდა ძმათა მიერ დაღვრილი სისხლი საკუთარი ბოროტი ზრახვებისა და ვნებების დასაკმაყოფილებლად.

ჩვენ, ქართველ ხალხს კი ისღა დაგვრჩენია, გამოვთქვათ იმედი იმისა, რომ ამ პროვოკაციას არ წამოეგებიან ინგუშები და ჩეჩნები და არ იქცევიან ერთურთის მტრებად, რაიც საფუძველი გახდება იბერიულ-კავკასიური მოდგმის ამ ჩვენს ოჯახში მშვიდობისა და თანხმობის დამკვიდრებაში.

გაუმარჯოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩეჩენ და ინგუშ ხალხს კავკასიის საერთო სახლში!

ალექსანდრე სანდუხაძე

„ვეფხისტყაოსანი" - ავთანდილისა და ვაზირის საუბრის შესახებ

„წიგნი კი არა,- დილა ხარ
ქართველი ხალხის ნათელი.„

(გოგლა ლეონიძე).

რუსთაველთან დაკავშირებით საფუძვლიანი ნაშრომი მომზადდა ერთ-ერთი საპატიო წიგნისთვის. უამრავი კვლევა არსებობს და კვლავაც დაიწერება, რადგან ამოუწურავი სიბრძნის სალაროა პოემა.

გოგლა ლეონიძემ დიდებულად თქვა:
ხელში აგიღებ... გაკოცებ,
კიდევ ჩაგკოცნი...
ჩაგცქერი;
წიგნი კი არა, - ჟრჟოლა ხარ,
ჩამოქაფული ჩანჩქერის.

მართლაც ფასდაუდებელი განძია „ვეფხისტყაოსანი," სიყვარულის წიგნი.

ახლა ერთ საგულისხმო ეპიზოდზე შევჩერდები. ეს არის ვაზირისა და ავთანდილის დიალოგი, რაც კვეთს ორი განსხვავებული ცნობიერების, სხვადასხვა მსოფლმხედველობის პერსონაჟს. ავთანდილი რამდენადაც გენიალური და იდეალური გმირია, მით უფრო, ჩვეულებრივ, პრაქტიკული გონის, ერთგვარად ვაჭრული სულისკვეთების ადამიანთან გვაქვს საქმე მისი თანამოსაუბრის სახით. აქ არის არისტოკრატის ხედვა და აზროვნება და, მეორეს მხრივ, ყოფითი, მიწიერი. იგი არ არის მისი თანაკაცი და ასეთივე უანგარო. ეს თვალსაჩინოდ იკვეთება. იდეალური სამყაროს კუთვნილი პიროვნებები ცოტაა... რაინდის მისვლითაც კი უკვე მზის შუქი მიადგა მის სახლ-კარს...

გარემო ითხოვს ადამიანის თავდადებას -„ხამს სიყვარული მოყვრისა უხვისა, უშურველისა." ეს აუცილებელი პირობა და უმაღლესი ნორმაა მაღალეთიკური პიროვნებისთვის, რადგან არასდროსაა ყოფა სრული, მხოლოდ სიყვარული სრულყოფს ყოველივეს. ავთანდილი ამბობს რა ამას, ხსნის კიდეც თავისი წასვლის სურვილსა და მიზეზს, რადგან -„გული მას აქვს გულოვანსა." უმთავრეს მოვალეობად აქცია ავთანდილმა გამორჩეული გმირის ხსნა და თანადგომა: „ვერას ვარგებ, გულსა დავდებ." ტარიელისთვის თავგანწირული ყველასგან მოელის თანაგრძნობას, ამგვარივე სამსახურს სიკეთისას, ამიტომაც არ ეპუება ვეზირს, „თავი გაიგმირე„- მოუწოდებს. ძნელია ავთანდილობა და მაღალი იდეალებისკენ ლტოლვასაც ყოველი კაცი როდი ესწრაფვის, ამიტომ აქვე სთავაზობს ასი ათას წითელს ანუ ოქროს. სიყვარულის მოტივაციისას ფული უქმია, ავთანდილს ტარიელი გაკვირვებით ეკითხება -„უცხოს უცხო ეგრე ვითა შეგიყვარდი?" სიკეთეს სიყვარული იწვევს. ეს უღალატო ცნობიერებაა, სიქველეც ჩვევაში აქვთ. რაინდისთვის საფასური, გასამრჯელო ამგვარ საქმეში საჩოთირო იქნებოდა და შეურაცხმყოფელიც, თუმცა ვაზირი პრაქტიკული კაცია და თავს სრულებით არ გრძნობს უხერხულად. სხვა რამ აშფოთებს, (არა ქრთამი), ემძიმება როგორ გადასცეს ავთანდილის გადაწყვეტილება მეფეს. თავს უფრთხილდება, ის აფერხებს - სიკვდილი არ დაიმსახუროს და წყრომა. სიკეთის ვალსა და მადლს ყველა ერთნაირად არ ეკიდება. მას სიფრთხილეს აიძულებს თვითგადარჩენის ინსტიქტი და არც სიძაბუნის გამოვლენისა ერიდება. ყოყმანობს და რა მიზეზს არ ეძიებს ავთანდილის შესაჩერებლად. დასტურად იმასაც კი იშველიებს - მტერი ისარგებლებსო, ''ვითა ჩიტნი არ გაქორდნენ" და ა. შ. ასე იოლად ვერ შეძრა გული მისი და ატირდა ავთანდილი, გამოუვალ მგდომარეობაში ჩავარდნილი, მოძმის ბედით გულშეჭირვებული საოცარ რამეს ეუბნება გაკერპებულ კაცს: - „ჰე, ვაზირო,შეგეტყვების, სიყვარული არ თურ იცი" და ეს საყვედურია მთლიანად უსიყვარულო არსებობისა, არასარგო ცხოვრების, ვინც ამგვარად ცხოვრობს და ვისაც არ სურს ირწმუნოს, რომ პიროვნული სიმაღლე სიყვარულშია. უკვირს, როგორ არ უნდა მოულბეს ადამიანს გული ისე, რომ ამდენი ახსნა არ დასჭირდეს და კეთილი საქმეც არ შეაყოვნოს. ამ დროს ხომ არა მარტო ტარიელის სიცოცხლის საკითხი წყდება, არამედ ავთანდილის ღირსებისაც; თუნდაც რისხვა რაა სიკვდილთან ანდა გაბედითებასთან შედარებით?! საამისოდ კი ამას ვერავითარი დასაბუთება ვერ ეყოფა, რადგან ეს ლოგიკის საკითხს არ ექვემდებარება, ამას მსჯელობით ვერ აწონი, აქ საპირწონე გულია. ასეთ დროს უმცდარი გული მოქმედებს. „სიყვარული საჭიროა (საძნელოა), მით სიკვდილსა მიგვაახლებს„, ეს ტარიელისა და ავთანდილის ცნობიერებაა და თავისთავად იბადება ამის წადილიც. როგორ შეიძლება ამგვარი რამ გადმოიცეს, ეს მხოლოდ განიცდება, იგრძნობა. იგი ამიტომაც მოუწოდებს ვეზირს -„თავი დადევ საწამებლად," ანუ მოყვასის სიყვარული მოწამეობრივი გზა ყოფილა, აქ სული უნდა გაიღო. თავისთავად სიხარულსა და კმაყოფილებას უნდა გვრიდეს ადამიანს თანადგომა, თანალმობა და ვინმეს ხსნა. ამას კი აღასრულებს „ცნობა-სრული" ანუ სრულყოფილი, მაღალზნეობრივი ადამიანი. ავთანდილისთვის გაუგებარია სხვაგვარი ქმედება. სხვის ბედნიერებაში თანამონაწილეობა საშური, სახარბიელო საქმე უნდა იყოს თავისთავად. ამ სიმაღლემდე ასე იოლად ვერ ადის ვაზირი, მისი ცნობიერება ასე შორს ვერ მიდის, ის არაა საყოველთაო სიკეთის გმირი... თავგანწირვა არ აიხსნება, არ ისწავლება, ეს შინაგანი ბუნებაა ადამიანისა. ესაა მადლი და უმაღლესი სიკეთეც. თავგამეტება იგივე გმირობაა.

ერთი რამ მაინც ხდება ამ დროს, ავთანდილის ცრემლმა გატეხა ჯიუტი ნება, გატყდა მტკიცე ნებისყოფა ვეზირისა. როგორც იქნა, აიძულა იგი რაინდმა, აღძრა თავდადება მასში, მოულბო გული. უკვე მასაც მოედო ეს „ცეცხლი„, როგორც ამბობს. ასე რომ, სიკეთე გადამდებია და დაიძლია წინააღმდეგობაც. ავთანდილსაც სჭირდება დამხმარე, შუაკაცი და ვინმემ ხომ უნდა იტვირთოს ეს. სასურველია, როცა სიხარულით ჩადიან ამგვარ რამეს, ვეზირმა კი შიშით გასწია, ფერნაკრთობმა. ასევე ძლივს, რიდით მოახსენა მეფეს, რადგან ეს ნებაყოფლობითი თავგანწირვა არაა, თავისთავად დაბადებული და სიყვარულით ნაკარნახები. ასეთი საქმე შეგნებით უნდა კეთდებოდეს, სხვანაირად ძალა არა აქვს. ეს უფრო გარემოების გამოძახილი ქმედებაა, შთაგონებული და იმწუთიერი. ასე ავთანდილმა გადაწყვიტა და არა მან, იგია ბიძგის მიმცემი. სულიერი ღონე სხვაა, სიყვარულის ქმედება სხვაგვარია. როგორ წარსდგა, ან როგორი გამოვიდა?! - „გამოძრწა და გამომელდა„, რადგან ეს თავდაჯერებული კაცის ქმედება არაა - შინაგანად გაღვივებული და გამოწვეული. ბოლომდეც ვერ გაიგო რას და რატომ ემსახურება. ამ სიღრმეს ვერ ჩასწვდა. ავთანდილს უფრო დაუჯერა და იმადლიერებს, თორემ გულმა როდი უკარნახა და ვაებს კიდეც. აკი ამბობს და თავსაც საყვედურობს - „რად მოვღორდი, რად დავბნელდი." არსებობს როგორც ძლიერთა, ისე სუსტთა კატეგორია, ძალით ვერავინ გამამაცდება და სინანული გაჩნდა, რაც არ უნდა გაჩენილიყო... რაინდთათვის რაც სულთა ლხენაა, მას „ცრემლს ცხელს" გვრის. „გაწბილებული მივა ბედითა შავითა," რადგან არ ახლავს სინათლე ამ ქმედებას. ასე მიაშურებს ავთანდილს და უსაყვედურებს კიდეც, თანაც ქრთამს სთხოვს, ვერც ოქროს ხიბლს მოერია, „თუმცა ცრემლსა ვერ იწურვებს„. თვალცრემლიანი მაინც ითხოვს დანაპირებს. „თავი გაიგმირა„, მაგრამ - „თავი დადევ საწამებლად" -ეს გაუცნობიერებელი დარჩა, რადგან ქრთამის მოლოდინი ამ მცნების საწინააღმდეგოა. მოწამე კაცი მოსიყვარულე კაცია, ანგარებითი კაცისაგან კი ამაღლებული ქმედება არ გამომდინარეობს. კერძო ინტერესის მიმყოლი საინტერესო პიროვნება ვერ იქნება. ასეთი პირადულს არაფრის გამო არ გაწირავს. თავის თავის დავიწყების გარეშე კი

ღირსეული და დიადი საქმეები ვერ აღსრულდება. ავთანდილი იდეალისტია, მზადაა თავი შეაკლას ამაღლებული გარემოს დამკვიდრებას, ყველას ბედნიერების წადილს... სიყვარულის გმირია, რომელიც ყველაფერს ცვლის. ვისთვის რა ცნობიერდება, „თავსა ახლად ვერვინ იშობს." ადამიანს თავისი ბუნების წინააღმდეგ წასვლა არ ძალუძს, ვისთვის კი რაა სიამე. ამ შემთხვევაშიც ეს ფაქტია წარმოდგენილი - ვიწრო და ფართო ცნობიერება, რაც ცხოვრებაში ხშირად კონფლიქტურ ხაზს ქმნის, გაუგებრობას მაინც...

„თავი დადევ საწამებლად" - ეს ღვთაებრივი ბუნების წესი და ხვედრია. ის არსებითი ფორმულა ავთანდილისთვისაა, ტარიელისთვის და რჩეული გმირებისთვის,.. ამას ვერ შესწვდება ვეზირი, (უკვირს კიდეც, განა სწორია ავთანდილის არჩევანი ტარიელის გამო ასე რომ სწირავს თავს?) ასეთთა ტვირთიც უფრო მძიმეა, ვიდრე კეთილმოქმედთა. არ შეიძლება სიკეთე იყოს მძიმე... მათ სხვა გულუშურველობა ახასიათებთ. ავთანდილმა ორმაგად დაუფასა თავგანწირვა, რადგან იცის რადაც დაუჯდა ეს, სიკვდილს რომ უდრიდა და შესაფერისადაც უზღო - სამოცი თვალ-მარგალიტიც დაამატა დაპირებულ ოქროს. ავთანდილის ყველა ნაბიჯი ღირსებიდანაა და თუ არ ამეტებს, არვის აკლებს რამეს... რა მოხდებოდა, თუკი ვეზირი ეტყოდა სპასპეტს - შენი ოქრო იყოს შენთანო, მკითხველისთვის ეს საამო იქნებოდა, მაგრამ სინამდვილე ხომ ასეთიცაა. ესეც ცხოვრების ერთი მხარეა. ასეთი იდეალიზაციაც ყოველთვის არ ხდება. ავთანდილი, ფრიდონი, ტარიელი რასაც იუკადრისებს, ის სხვისთვის ყოფითი ნორმაა. ამ ფსიქოლოგიური წიაღსვლებითა და ნიუანსებითაცაა პოემა სანიმუშო შედევრი.

სხვადასხვა ცნობიერების ადამიანებს გვიჩვენებს რუსთაველი, ტრაგიკული შედეგებიც აქედანაა... ხატაელთა სიმუხთლე, ვაჭართა ანგარიშიანობა, ქაჯთა გრძნეულება - დემონურთან წილნაყარობა, ხადუმთა მცველობა, ხვარაზმშა თუ ჭაშნაგირი- ეს არის ის ანამღვრევი სამყარო, ცოდვასთან ნაზიარები, ბილწი, რომელთა შემუსვრით, თავდახსნით, იდეალური გარემო და წონასწორობა აღდგება, სამართლიანობა, კანონზომიერება ივანებს. სიყვარულსა და სიკეთის გმირებშია უმაღლესი თავისუფლებაც. ვერ იმარჯვებს სხვა ცნობიერება... უბედურია ის გარემო, სადაც ამის საპირისპირო გაიმარჯვებს. ამ სიბრძნეს კი საღი გონება სჭირდება. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია" -ეს მხოლოდ ჯანსაღი საზოგადოების შესაძლებლობაა, ამისთვის ერთობლივი ნებაა საჭირო. ერთადერთი რასაც არ უნდა აცდე ეს სიკეთის გზაა, სიკეთე კი თავგანწირვაა.

ლალი ბარძიმაშვილი
ფილოლოგი, მკვლევარი.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ქეთევან დოლიძე

...და მერე კვართის პატრონიც მოვა
“ იბერიის ქვეყანაში ეშმაკი ვერ დაჯდე-
ბა..."

წმიდა ლავრენტი ჩერნიგოველი

ვინ შეებმება მახინჯთა ხროვას?!
ვინ გაიმზადა სულის საგზალი?!
ბებერო ერო, რამ დაგაღონა,
შენთან უფალი დედას აგზავნის.

რისხვა ეშმაკის სუნთქვას გიგუდავს,
ხმა კრეტსაბმელის შეგაზანზარებს...
დღესაც გაჰფანტავს ვერცხლებს იუდა...
შენ კი აღსდგები, როგორც ლაზარე.

მერე რაა, რომ ხალხი გიჟდება,
მერე რაა, რომ „ხალხი იცინის"...
თუმცა სიცოცხლის ფასად გვიჯდება,
რომ გაგვასხვისეს ლიწინ–ლიწინით.

სისხლი აწვება წვერებს ინიანს...
არ გაყიდულა ჯერ კიდევ ფხოვი...
ნუ გეშინია, ნუ გეშინია,
ნუ გეშინია მახინჯთა ხროვის!

არავითარი „ჩიპი" და კოდი!
მოეღოს ბოლო თარეშს და გლოვას!..
დედა უფლისა მცხეთისკენ მოდის...
და მერე კვართის პატრონიც მოვა...

ლაზარეს აღდგინება

უფალი ტიროდა მეგობრის დაკარგვას,
–როგორ ჰყვარებია...– ისმოდა ჩურჩული,
მუხლები უთრთოდა მარიამს და მართას,
სიკვდილი კუთხეში იყო მიკუნჭული.

ოთხი დღის მკვდარიო,–ამბობდა ვიღაცა
და არ ანცვიფრებდა უფალი ნანახი,
რომელმაც ტაძარში დახლები მილეწა...
სასწაულს ელოდა მდუმარე სამარხი.

– აღსდექი, ლაზარე! – გიბრძანა უფალმა,
გამოდი, ლაზარე, სიკვდილი განაგდე!..
ძირს წელისმოწყვეტით დაეცა სუდარა,
ლაზარე გამოდის და თეთრად ანათებს.

– მოხსენით სახვევი, საჭმელი მიეცით...
სასწაულს შეეპყრო მთელი ბეთანია...
ჩემი სამშობლოა ლაზარე, რომელმაც
წყალი უწმიდესი პეშვიდან დალია...

ვიფხიზლოთ... ვიფრთხილოთ ცოდვების
ქარაფთან...
როგორ ჰყვარებია... – ისმოდა ჩურჩული,
მუხლები უთრთოდა მარიამს და მართას,
სიკვდილი კუთხეში ეგდო მიკუნჭული.

უფალო

რა ერქვა იმ განცდას, ძვლები რომ
ჩამიფქვა?!.
არ ვიცი, ვინ ვიყავ, არ მახსოვს,
რა მერქვა...

მახსოვს, რომ სული და სხეული კიოდა
და შენი ნალურსმი ხელები მტკიოდა...

უსუსურ მინის მტვერს, სუსტსა და
ფეხშველას
რარიგად მინდოდა, რომ შენთვის
მეშველა...

არა ვარ, უფალო, ხორბალი საყანე,
თუ გინდა სხეულის ბორკილი ამყარე.

ცოდვების უფსკრულმა მიშვილა კინაღამ...
ზეციურ საუნჯეს გულში რომ ვინახავ,–

ეს შენ ხარ, უფალო... არ მინდა დიდობა...
ვიცი, რომ მოხვალ და... რომ იტყვი –
მშვიდობა...

შოთა რუსთაველს

მე ვენაცვალე შენს ჩაწყობილ
კრიალოსანებს –
სიტყვებს... სტრიქონებს... ნაჩუქურთმევ
უჭკნობ სოსანებს...

ჟამ–უჟამობის გამძლებელო სვეტო
ნათელო,
რა ძალი დაგყვა უფლისაგან, ვით
საქართველოს?!

რა სულიწმიდის მადლით გმოსა
არსთაგამრიგემ,
ულევი განძი ჩვენამდე რომ ჩამოარიგე.

ეტრატზე არა, ცაში წერდი
„ვეფხისტყაოსანს“
და იქვე, ახლოს, ნაირფერი ბაღი ჰყვაოდა...

სამოთხის ვარდის სურნელება
გაჰყვაო მზითვად,
ვინც შენი „სიბრძნის კიდობანი“
ქორწილში ზიდა...

მზის და მთვარის ეტლს დაჰყვებოდი
კაცი მართალი,
კაცი ერთგული, ღვთისმოშიში და
ნაზამთრალი...

მიჯნურთა ცრემლით გადანამე შვიდი
პლანეტა
და სადაფები ჩამოკრიფე სავსე
მთვარედან...

სიბრძნის ბადახში მაინც დასწვა დრომ
ულმობელმა,
მაგრამ ფერფლმაც კი შეინახა შენი პოემა...

ნიჭიერების უსიმაღლესს გასცდი
გალავნებს...
საუკუნეებს ამიტომაც აექარავნე...

რა საიდუმლოს ინახავენ კედლის
ბზარები...
პალესტინაში კვლავ რეკავენ დედო
–ზარები?!

უცხოეთის ცას შეატოვე ფიქრი თამარზე,
როს დადგა ჟამი... უკვდავებას აედარბაზე.

„მესხო მელექსევ“. თავად მზე ხარ
გვირგვინოსანი,
სხივთა მფრქვეველო, მიმსახურე
ციცქნა ფრთოსანი...

მე ვენაცვალე შენს ჩაწყობილ
კრიალოსანებს –
სიტყვებს... სტრიქონებს... ნაჩუქურთმევ
უჭკნობ სოსანებს...

ქეთევან

რამდენი შეშლილი ღამეა შველამდე,
თავზე რომ მეთევა,
იქნება ჩემი ხმა მოვიდეს შენამდე,
ქეთევან, ქეთევან...

კახეთის გვირგვინო... მსხვრეულა წელამდე
ქართველთა სამეფო...
გამქრალა სინდისი – მისულა ცელამდე,
გულები გაგვეპო...

ქრისტეს დედოფალო, გვიკურთხე უღირ-
სებს
ნაგლეჯი ღირსება...
გვაქციე, თუ გინდა პატარა მუხისებრ,
მადლით რომ ივსება.

სამართლის ნატრულებს გვაცილე მაცილი,
რომ აღარ გველევა,
უწმინდეს ცრემლების ცვარ–ნამი
გვაწვიმე,
იტირე, ქეთევან...

იქნება მესიის მახვილი აგვეღო
კოჭების გორებას?!
იქნება უძველეს ცრემლებმა გაგვილღოს
ქვა–ლოდი გონება?!

რამდენი შეშლილი ღამეა შველამდე,
თავზე რომ მეთევა,
იქნება ჩემი ხმა მოვიდეს შენამდე,
ქეთევან...

მიხა ხერხეულიძეს

ლექსო, კლდის ნაპრალში შენახულო,
მრავალ ქარ–წვიმისგან შელახულო ...

ქვებში ამომსკდარო მუხის ყლორტო,
ოღონდ არასოდეს დამიღონდე ...

დედის გულო, ხანჯლით ნაჩხვლეტარო...
მწუხრზე დახვრეტილო კელაპტარო ...

კაცო, ერთგულო და საყდრის მცველო,
ცხენზე შეგდებულო ბედისწერად.

ლექსო, ბუხრის ძირში ჩანაცრულო,
მაგრამ თვით იესოს განათლულო.

ფშავში, დის ხურჯინში ჩაწყობილო,
ჩემო დაჩეხილო საქართველო ...

მერე ლუკმა–ლუკმად დამარხულო
ძვლებო, არასოდეს განაღმულო ...

ჩემო ბარისახოს დიაკვანო,
მიწამ გიაქიმოს, გიაკვანოს ...

ქვეყნის კაცობავ და ... ხელაშვილო ...
მიწადარბეულო ... მზეაშლილო! ...

გულის ფარებით

რა ლამაზი ხარ
მზესუმზირის მზეო ყვავილო,
რა ლამაზი ხარ,
თუ შევძელით შენი დანახვა.

ოქროს მინდვრებო,
დასაცავო გულის ფარებით,
„ბედნიერი“ ვარ
თუ მთლიანად ვან გოგს არ გაჰყვა

ეს ფერები და სივრცეები
მზის და ქარვების...
ეჰ, წინაპრების წყაროებო,
ნაღვარღვარებო.

რა ლამაზი ხარ
თუ შვძელით შენი დანახვა,
რა ლამაზი ხარ,
მზესუმზირის მზეო ყვავილო.

წინაპრის შავი
ცრემლებია შენი თესლები,
მოუბნევიათ ქიზიყში და
ოქროს ყანები

იწევენ მზისკენ,
მზეს უმზერენ მზესუმზირები,
ფიქა თვალებით, ჩასანთლული
გულის სინებით.

ქართველო, იქნებ
მზესუმზირას მაინც ემსგავსო,
გული თვალებში ამოზიდო,
მზე დაინახო.

ეგებ როგორმე
გაუსწორო მზის სხივს თვალები
და იგრძნო მაინც
ჩუმ-ჩუმად რომ მიიპარები...

და გაიხსენო
ვინ იყავი, ახლა ვინა ხარ,
საკუთარ მიწის გამყიდველი,
ოქროს ყანების.

მშობელი ვაზის
ამჩეხველი, არ დამხანები
და ნებით მონა
აღა-მაჰმად, ჩინგიზ ხანების!..

ო, რა მწარე ხარ,
რა მწარე ხარ, ჩემო მამულო,
ოქროს მინდვრებო,
დასაცავო გულის ფარებით!..

არჩილ ტატუნაშვილს

ტატუნაშვილო არჩილო,
ქვითკირო, რვალო, არ ჩვილო.

რა კირითხურომ გაშენა,
რომ საქართველოს საშველად

წმინდანის ღვაწლი იტვირთე,
ტანჯვით ეშმაკი მიშრიტე.

გშვენის სიმტკიცე ბერული,
დროშა ხარ დავითფერული.

უფლის და ქვეყნის ტარიგო,
ერი დამოძღვრო, არიგო -

გმართებს... და გვმართებს ჩვენ ყველას
სულ ცოტა - გული შენხელა.

დედო-ზარებო ნარეკო...
წმინდანთა ცრემლო ნალექო...

ვაი თუ... ისე გაჭირდა,
რომ ერთი გმირი არ გვეყო...

მცხოველი

აი, ამ მსხალსაც
გაუწითლდა ისევ ფოთლები,
უკვე თუ იცი,
მერამდენე შემოდგომაა...
არაგვის პირზე
ღირსეულად დუმან ლოდები,
მერამდენეჯერ მიცავ,
როგორც გმირი კოპალა.
ამ ასკილებსაც,
ამ მსხლის ხესაც უნდა ვათბობდე
და ჩიტის ფრთები
ხელისგულზეც ჩუმად დაგიწყო...
ზამთრების სუსხთან
არ დაგტოვებ აღარასოდეს...
მე ვარ მცხობელი,
სიყვარულის ლექსებს დაგიცხობ.

წვიმის ყვავილი

მარტის ხუთია,
ნაწვიმარი დილა წკრიალებს,
მინდა, რომ ისე
შეგისუნთქო, როგორც ჰაერი,
მერე კი ისევ
დავეკიდო ლექსის ლიანებს,
ვიკონწიალო
და მოვფრინდე, როცა არ მელი.
მინდა, რომ ცაზე
უფაფუკეს ღრუბლებს რძიანებს
მივწვდე ხელებით,
ჩამოვწველო მადლი - არილი,
ჩუმად... უსმინე!.. –
გაზაფხული უკვე ფრთხიალებს,
შენთვის ღრუბელმა
მომიწყვიტა წვიმის ყვავილი.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ ახალგაზრდა მწერალი, უნიჭიერესი პროზაიკოსი ანა ლაშხელი ონიანი გარდაიცვალა
იგი მხოლოდ 32 წლის იყო, ჰყავდა ორი მცირეწლოვანი შვილი. ოპერაციის გაკეთების დღეს მან, საკუთარ ფეისბუქის გვერდზე დაწერა:
„მე დღეს კიბო დავამარცხე!“
როგორ გვსურდა, რომ აგვხდენოდა მისი ოპტიმიზმი...
ვბეჭდავთ მის ნოველებს

ანა ლაშხელი ონიანი

აკვანი ბაბუას წერილი ნინიკოს „დღეს ყველაზე ბედნიერი და გახარებული დავწექი დასაძინებლად...ჩემი პატარა ნატვრისთვალი დაიბადა. როგორც იქნა ღმერთმა წყალობის თვალით გადმოხედა ჩვენს ოჯახს,ამდენი ხნის ნანატრი შვილიშვილი ჩაგვისვა კალთაში....მე ბაბუა ერთი უბრალო ბერიკაცი ვარ...წესივრად შეიძლება ზღაპარიც კი ვერ მოგიყვე...სათვალეც კი არ მიშველის ჩემი დაფსობილი თვალებით წიგნი წაგიკითხო...მაგრამ მე შენთვის ახალ ზღაპრებს მოვიგონებ ბაბუ...მოვიფიქრებ და ზეპირად მოგიყვები...შენ სანამ მიხვდები რომ ბაბუაშენს კარგად წერა კითხვაც კი არ ეხერხება,მეყოლები კალთაში და მოგიყვები ჩემს გამოგონილ ზღაპრებს...მერე კი... მერე რად გინდა ბაბუ ჩემი ზღაპრები...თვითონ ისწავლი კითხვას და დაფრთიანდები... მანამდე მე შეგაყვარებ ჩვენს დალოცვილ სოფელს...ჩვენს ანკარა წყაროებს...ჩვენს ბებერ მურას და ჩირივით ჩამომხმარ ბებოსაც კი...რომელსაც დგესაც ნინიკელას ვუძახი,თითქოს ის პატარა გოგო იყოს მე რომ პირველად ვნახე...შენ შეიძლება ისეთი კარგი გოგო დადგე,დაჩაჩანაკებულ ბებრებს წყალს არ გვაკლებდე,დაკარგულ ჯოხს მოგვირბენინებდე და მურას ყეფაზე გარეთ ჩემს ნაცვლად გახედავდე სტუმარს...შეიზლება ისეთი კარგიც იყო რომ ბაბუს თუთუნიც ამოურბენინო სოფლის კენკელა მაღაზიიდან...მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს რომ საერტოდ არცერთი ამ საქმეთაგანი არ დაივალო...შენ მაინც ბაბულიას გოგო იქნები...თვალხატულა და ჰაერივით სიფრიფანა...ეხლა შენს სიცხისნ ქალაქში მოვდივარ ბაბუ...თან მომაქვს შენი პატარა ჩიტებით მოხატული აკვანი... ეს აკვანი საგანგებოდ შენთვის შევარჩიე... წესიერად თვლა რომ ვიცოდე დავთვლიდი კიდევ ბაბუ რამდენი აკვანი გამოვთალე და სულ რომ მეკითხებიან სოფელში ბერიკაცები ვუპასუხებდი კიდეც...მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს ბაბუ...რაც გამოვთალე და გავაკეთე ყველა სიყვარულით და სითბოთი მიკეთებია...სულ იავნანას დავამღერებდი ხოლმე და ასე მგონია ესმოდათ კიდეც ჩემი ამ დალოცვილებს...ანგელოზებისთვის ვაკეთებდი და ანგელოზები მეხმარებოდნენ ...ისე მიხაროდა ბაბუ ჩემს ჭიშკართან რომ კაცი დაიძახებდა აკვანი უნდა შეგიკვეთოო,ეს ხომ ახალი სიცოცხლის დაბადებას ნიშნავდა...უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე რომ შენთვისაც ჩემი ხელით გამეკეთებინა ეს აკვანი...აბა ქალაქში ნაყდი აკვანი ბაბუ რა იქნება...ქალაქში გაზრდილი ხეც არ ვარგა...სხვა მადლი აქვს ჩვენს ხეებს ...შენს შვილიშვილებს ეყოფა ეს აკვანი ისეთი ხისგანაა გამოყვანილი... რამდენი შაირის მოყოლება ვიცი ხოლმე... ახლა მატარებელი გუგუნით უახლოვდება დედაქალაქს...ჩემი გამოყრუებული დედაკაციც გვერდში მიზის ...მეტი ჩვენ ვეღარ შევძლებთ მგონია რომ ჩამოვიდეთ ქალაქად...ესეც რომ არ იყოს მეთექვსმეტე სართულზე რა ამიყვანს კიდევ ერთხელ ბაბუ... სად შეუძლია ცაზე სიარული ჩვენს ბებერ მუხლებს...გენაცვალე შენ ბაბუ..შენ მომეცი ახლა ამის ძალა რომ ისევ დავდგომოდი ამ გრძელ და ხმაურიან გზას...ჩვენი ადესაც აქვე მიდევს და ალბათ მამაშენს ერთი სული აქვს ყელს როდის გაისველებს ჩვენებური ღვინით...კი იქნება ახლა ქეიფის ხასიათზე...ვარია შევწვით...აბა მანდ შემწვარი ქათამი რა მისართმევია სტუმრებისთვის...სულგუნიც კი გამოიყვანა თავისი მიმჭკნარი ხელებით ბებიაშენმა...და ზედ ჯვარი გამოსახა შენს სახელზე ბაბუ...შოთი პურები ვარ გამოვაცხვეთ მარა არ გეწყინოს...დაბერდა ბებიაშენი და ძალა აღარ აქვს...აპატიე ბაბუ.

ისე მიცემს გული ამ მატარებლის გუგუნშიც კი მესმის ხმა მკერდიდან...როდის გნახავ და შეგავლებ თვალს ჩემო თვალხატულა ...აი გაჩერდა მატარებელი და ამ წერილის წერას თავს ვანებებ,იმდენი რამე მაქვს მოსაყოლი მაგრამ დამთავრდა გზა და არაა ჩემი ბრალი...არა უშავს ცოტას აქითობას მოგწერ ბაბუ კიდევ"...

ტკივილით და სევდით მაქვს ბაბუ გული სავსე...როგორღაც ამოვბობღდით მეთექვსმეტე სართულზე მე და ბაბებიაშენი,სული ძლივს ამოვიტანეთ...მარა რათ გინდა... ჩამაგვამწარა სიხარული დედაშენმა და მამაშენმა,მე იმ დახვედას და მიღებას არ ვჩივი ბაბუ მაგენმა რომ იციან...რა ესმაკი გამაცერებს ამ ციხესი ზალიანაც რომ შემეხვეწონ...მაგრამ შენი კოცნის უფლება კი მქონდა ბაბუკელა...რამდენჯერ სიზმარში დამსიზმრებიხარ ...რამდენჯერ წარმომიდგენია ეს დღე მაგრამ ამას როგორ ვიფიქრებდი...ბევრი რომ არ მოგაბეზრო თავი წუხელ შუაღამეზე დედაშენის და მამაშენის ჩხუბმა გამაღვიძა...ისეთი გაბრაზებული იყო დედაშენი თითქოს კეთროვნები ვყოლოდით სახლში, მამაშენს უჩიოდა რა უნდოდათ რომ ჩამოვიდნენ...ვერ მოესწრებოდნენ ჩვენს ჩასვლას და ნახვასო?ეს ეშმაკის მოგონილი აკვანი რომ ჩამოათრიეს სირცხვილით თავი სად გამოვყოო ახლა...რადროს ასეთი სისულელეებია...მაგაში ჩავაწვენ ეხლა ჩემს ნანატრ შვილსო,მომაცილე თორემ ფანჯრიდან გადავაგდებ იცოდეო... მამაშენი კი ეუბნებოდა რაღაცას მაგრამ მე მეტი არაფერი გამიგონია...გული ხელით მეჭირა და გათენებას ასე დაველოდე...მოვკიდე დილას ხელი ჩემს დედაკაცს და აკვანს და უსიტყვოდ წამოვედი...ისიც კი ვერ მოვახერხე შენთვის მეკოცნა...წვერები გაგეპარსა მაინცო დედაშენმა...ვერ დავიმახსოვრე შენი სახე ბაბუ...რომ სიზმარში მაინც დამსიზმრებოდი...მე მანდ რა გამაჩერებდა...ვზივარ ახლა ამ ვაგონში და ვუსმენ ბებიაშენის ქვითინს, ვიღაცამ მკითხა შვილები არ გყავთო...დედაკაცმა იმთავითვე უპასუხა –არაო და გული ჩამწყდა... თითქოს მეხი დამეცა მკერდზე და ჩაიტანა ჩემი გულმკერდი ქვესკნელში...ამ აკვანს კი ვაჩუქებ სოფელში ვინმეს...თუ სადმე ერთი ბავშვი დაიბადება მაგრამ მე ხომ ის შენი სიყვარულით გავაკეთე...მინდოდა შენ დგეძინა და ჩემი ლოცვა– მადლი დაგფენოდა სასთუმალთან ბაბუ...არასოდეს არ დაგავიწყდეს რომ ადამიანები მგლები არიან და ცხვრად ნუ მოაჩვენებ თავს თორემ შეგჭამენ ბაბუ...დაუნდობლად შეგჭამენ...მიყვარხარ ბაბუ...ნეტა ისეთი ქალი დადგებოდე ჩემს საფლავთან მოსული ამას ჩამომძახებდეს რა შვილიშვილი გაგეზარდა ამირანო...მაგრამ მე ორი პარასკევი მიკლია და ალბათ ორ პარასკევში ეს არ მოესწრება...უფალს ებარებოდე ჩემო მესისხლევ... გენაცვალოს შენი ბაბულია"

1982წ,25 აპრილი...

ეს წერილი რომ წავიკითხე დედაჩემი მძიმედ იყო ავად,არც კი ვიცი რატომ გადმომცა 20 წლის მერე, შესაძლოა სინანულის გამო...მაგრამ მე ვიცი რომ ასეთი საქციელი ადამიანს ოდესმე ახსენებს თავს და თვითგვემაში ვარდება...სნორედ ასე იყო დედჩემიც...უკურნებელ სენს ებრძოდა მაგრამ ეს არაფერი იყო მისთვის...ცდილობდა ამქვეყნიური ცოდვები მოენანია და სულ ლოცვაში ატარებდა დღეებს...და როცა დედა აღარ იყო მისგან დატოვებული ასეთი წერილი მივიღე

„ადამიანებს მხოლოდ ცხოვრება გვასწავლის ადამიანობას...შეხედე შენს თავს სარკეში,და რაც ჩემი მსგავსი დაინახო დაასამარე...წაშალე და დაიწყე შვილო... შენს თვალებში აუცილებლად ნახავ ბაბუას სახეს...მის ლამაზ სულს და ეცადე ამ სულით იცხოვრო...გაგიჭირდება სიკეთით ცხოვრება მაგრამ სჯობს შენ დაგიშავონ რამე ვიდრე სხვას ატკინო...არ მისცე თავს უფლება ჩემი გენი დაგეპატრონოს...ებრძოლე ჩემს ცუდს შენში შვილო...და ილოცე ჩემი სასტიკი სულისთვის...ილოცე გთხოვ"

მას შემდეგ წლები გავიდა...როგორც იქნა ექიმის დიპლომი ავიღე და ოჯახიც შევქმენი...ისეთი ბედნიერი ვიყავი როცა გავიგე რომ პატარას ველოდებოდი...მეუღლე სიხარულით ცას ეწვია,სახლის სხვენი გამოაღო...გამიკვირდა იქ რას ეძებს მეთქი ...სხვენიდან დიდი რახარუხით რაღაც ჩამოიტანა კიბეზე...სახტად დავრჩი...მითხრა ჩვენი შვილი აკვანში უნდა გაიზარდოს როგორც ნამდვილი ქართველიო...მეც ამ აკვანში გავიზარდე და ჩემი შვილიც ასე იქნებაო,გამეცინა...რა დროს აკვანია საიდან მოიტანე ...ან სად ნახეთქო...სიტყვა ბანზე ავუგდე...ოცდაშვიდი წლის წინ მამას და დედას ,რომელიც ჩემზე ორსულად ყოფილა,მატარებელში ვიღაც მოხუცებთან უმგზავრიათ და იმათ უჩუქებიათო...გავშრი ...მერე დიდხანს, გაგიჟებით ვკოცნიდი დამტვერილ...დაობებულ აკვანს და დროდადრო ტირილნარევი სიცილით ავხედავდი მეუღლის გაოცებულ თვალებს..

ცყუპი

ეს ამბავი მართლა მოხდა და მართლა ცხოვრობდა ორი გიჟი ტყუპისცალი ჩემს ქუჩაზე. თამრიკო და თინიკო. მათთვის რომ გეკითხათ, თინიკო და თამრიკო იყვნენ. ხალხი კი რატომღაც თამრიკოს და თინიკოს ეძახდა. მამა არავინ იცოდა ტყუპისცალებისა, მგონი თვითონ დედამაც კი, მაგრამ დედა დიდი დასჯილი ქალი იყო ასეთი შვილების ხელში. ერთს რომ მოკლე კაბას ჩააცმევდა, მეორეს გრძელი უნდოდა. მეორეს რომ ჩააცმევდა ეს პირველი გაწვებოდა მიწაზე, მეც გრძელი კაბა მინდაო. კაბების საქმეს რომ მოაგვარებდა მერე იწყებოდა ქონების გაყოფაზე დავა, სულ სამი ხე ედგათ ეზოში,

-0:01

სამივე ტყემლისა იყო. თამრიკოს აყვავებული ტყემლის სამივე ხე უნდოდა, ხან ერთს ჩაეხუტებოდა, ხან მეორეს. ხან კიდევ თავიდან იწყებდა და მესამემდე მიდიოდა. ერთი ცალი ინდაური დაუდიოდათ ეზოში, ინდაური რომ ვერ გაიყვეს, დედამისმა კვერცხების გაყოფით მოაგვარა საქმე, დღეს ერთი კვერცხი თამარიკოსი იყო, ხვალ - თინიკოსი. სანამ დღეები არ აერეოდათ, იყო სიწყნარე, აი კალენდრის არევის მერე კი მეზობლებიც ვწუხდებოდით მათი წივილ- კივილით. ყველაზე მეტად კი ის იყო გასაკვირი, არც ერთი რომ ინდაურის კვერცხს არ ჭამდა.

30 წელი გაატარა ტყუპმა და დედამ ერთად. მეზობლებს ისე უყვარდათ, როგორც ასეთი გიჟების ატანა შეიძლებოდა. მიეჩვივნენ უბრალოდ, მართალია თვითონ მზე და მთვარე არ ამოსდიოდათ ამ ქალებზე, მაგრამ უცხოს არაფრით არ დააჩაგვრინებდნენ.

არავინ იცის, გაიგეს თუ არა სიკვდილის მნიშვნელობა გიჟმა დებმა, მაგრამ დედის გარდაცვალების მერე მთელი სოფელი ერთი კითხვით იხსენებდა მათ, - რა ეშველებათ აწი?

რა და დასევდიანდენ. ძველებურად არ ჩხუბობდენ. ერთმა მეზობელმა თქვა, გუშინ დავინახე კიბეზე თამრიკო თინიკოს თმას ვარცხიდაო, ეს იმდენად დაუჯერებელი იყო, იმდენად, რომ ვერავინ დაიჯერა, სანამ საკუთარი თვალით რამდენჯერმე არ ნახა ყველამ.

დიდხანს არ უგლოვიათ, რადგან ფერადი ტანსაცმელი უყვარდათ. ცოტა სასმელი და სიგარეტი. გაიპრანჭებოდნენ, დადიოდნენ სოფელ-სოფელ, ხან ვის ჭიშკართან ცირკაობდნე, ხან ვისი. ასე ირჩენდნე თავს. ერთი რომ ყირაზე დადგებოდა, მეორე ტაშს უკრავდა და პირიქით. ყველაზე ლამაზები ვართო, ყველაზეო. უშნოები ნამდვილად არ იყვენ. არ იყვნენ უშნოები. სულ მხიარულები და გაცინებულები დადიოდენ. მხოლოდ დედის ხსენებაზე სევდიანდებოდნენ, მერე ისევ სიგიჟე წამოუვლიდათ და სოფლის შარას გაუყვებოდენ.

წვიმა ჩამოსდიოდათ სახურავიდან. ოთახებში ალაგ-ალაგ ბალახიც იყო ამოსული. ხან ვინ შემოუტადა შეშას ზამთარში, ხან ვინ. უფეხსაცმლოდ სიარული უყვარდა თამრიკოს, სულ ეუბნებოდა თინიკო, აგერ ჩემი ფეხსაცმელი, ერთი შენ ჩაიცვი, ერთს მე ჩავიცმევო, მაგრამ არ იგონებდა. გაცივდა ამასობაში და ისე ახველებდა, რომ მეზობლის ძაღლებს არ ეძინათ ღამე.

ახალი წელი თედებოდა. თინიკო მეზობლის ეზოში გადავიდა მეკვლესავით დილაადრიან და უთხრა, თამრიკო აღარ სუთქავსო... მას მერე სახლს არ ეკარებოდა თინიკო. 40 წლისა 60 წლისას ჰგავდა. დადიოდა სოფელ-სოფელ დახეული ფეხსაცმელებით და ნაჩუქარი ტასაცმლით. ერთი გასაცოდავებული ქოლგით. ყველას იმას უყვებოდა, თამრიკომ რომ მისი ფეხსაცმელები არ ჩაიცვა და მერე მოკვდა. მე ვაძლევდი, არ მენანებოდა, ვაძლევდიო. მერე ხმას უწევდა და ტირილს იწყებდა. ტირილიც გიჟის იცოდა. უცრემლო.

სოფლის სკოლას პატარა ბიბლიოთეკა ქონდა. იქ იძინებდა და თან სკოლას ალაგებდა ხოლმე. ხუთი წელი ასე მოჩვენებასავით იცხოვრა თინიკომ. 5 წლის მერე...

სკოლის ეზოში პატარა ეკლესია იდგა. მეთოთხმეტე საუკუნის ეკლესია. არავინ იცის, რატომ და როგორ გაჩნდა ცეცხლი ტაძარში. შეიძლება სანთლის ნამწვავისგანაც გაჩენილიყო. სოფელი ღრმა ძილში იქნებოდა, როცა ტაძარი ცეცხლის ალმა გაანათა. მიცვივდა ხალხი და ვერაფერი უშველეს. მხოლოდ ხანძრის ჩაქრობის მერე ტაძრის ახლოს ბალახზე დაწყობილი საუკუნოვანი ხატები ესვენა, იმ დღიდან ეძებდნენ თინიკოსაც, მაგრამ ვერსად მიაგნეს. ტაძრის ნანგრევების დასუფთავებისას რკინის პაწაწინა სარკე იპოვეს სოფლელებმა მხოლოდ, რომელიც თინიკოს პომადის წასათითხნად მუდამ ჯიბით დაჰქონდა...

მძებნელი

XXI საუკუნეში დედამიწის შესახებ თითქმის ყველაფერია ცნობილი, ინფორმაციის მოძიება თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში საკმაოდ მარტივია. მიუხედავად იმისა, რომ ადრე ეს რესურსები არ არსებობდა, ადამიანებს სურდათ მეტი გაეგოთ მისი პლანეტის შესახებ. მართალია ადრე სატრანსპორტო საშუალებები კარგად არ იყო განვითარებული, მაგრამ ხალხებს უწევდათ ერთმანეთთან ურთიერთობა, იქნებოდა ეს დაპყრობითი ომებისა თუ ვაჭრობის სისტემის გამო, ანუ ადრიდანვე მიმდინარეობდა ინფორმაციების გაცვლა.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები ესაა უდიდესი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში, რომელმაც გააფართოვა ადამიანის გეოგრაფიული ცოდნა, გამოიწვია მეცნიერების წინსვლა, გასნხვავებული, ახალი წარმოდგენები შეუქმნა ადამიანს დედამიწის შესახებ. ქრონოლოგიური თვალსაზრისით ის მოიცავს XV-XVII საუკუნეებს. ამ დროს ევროპელებმა აღმოაჩინეს მრავალი მანამდე უცნობი მიწა, ზღვა, სრუტე, ახალი საზღვაო მარშრუტები. გამოიკვლიეს ახალი კონტინენტები.

გეოგრაფიული აღმოჩენები თავის თავში მოიაზრებს მრავალ ექსპედიციას, მოგზაურებს, მათ მისწრაფებებსა და მოგზაურობის შედეგებს. რა თქმა უნდა მათ შესახებ მხოლოდ ერთი სტატია არაა საკმარისი, მათზე წიგნები იწერება. სწორედ ამიტომ დღევანდელ სტატიაში ჩვენ ვისაუბრებთ სამ მოგზაურობაზე, რომლებიც ჩვენი აზრით განსაკუთრებულია თავიანთი დანიშნულებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, ესენია: ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის კონტინეტის აღმოჩენა, ვასკო და გამას მიერ აფრიკის შემოვლით ინდოეთისაკენ საზღვაო გზის აღმოჩენა, ასევე ფერნანდო მაგელანისა და ხუან სებასტიან ელკანოს მოგზაურობა დედამიწის გარშემო.

პირველი ევროპელები, რომლებმაც დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროსაკენ გზა გაიკვლიეს სკანდინავიის მკვიდრნი ვიკინგები იყვნენ. მათ X-XI საუკუნეებში არაერთი მოგზაურობა მოაწყვეს ამ მიმართულებით. მაგრამ ევროპელებისთვის ჯერ კიდევ არ იყო საინტერესო ეს ტერიტორია, რის გამოც აღმოჩენა მალევე დაივიწყეს. ადამიანები მოგზაურობდნენ, ეცნობოდნენ ახალ სივრცეს, სწავლობდნენ ახალ გარემოს. აღსანიშნავია ვენეციელი მარკო პოლოს (1254-1324) მოგზაურობა, რომლის მეშვეობითაც ბევრი რამ გახდა ცნობილი შორეული აღმოსავლეთის შესახებ. სხვა რომ არაფერი, ევროპაში, სწორედ მისგან გაიგეს ჩინური გამოგონება კომპასის შესახებ.

გეოგრაფიული აღმოჩენების წინსვლას ხელი შეუწყო ზღვაოსნობის განვითარებამ, ძველი, მოუხერხებელი გემები ჩაანაცვლა ახალმა, სწრაფმავალმა ხომალდებმა როგორებიცაა: კარაველა, კარაკა. საკმაოდ დაიხვეწა აღმოსავლეთიდან შემოტანილი კომპასი და ასტროლაბი, ნივთები, რომელთა დახვეწის შემდეგ მოგზაურთათვის ღია ზღვაში გასვლა უსაფრთხო გახდა. მთავარ როლს თამაშობდა ეკონომიკური ფაქტორი, ახალი მიწის აღმოჩენა ძვირფას ლითონებთან, სანელებლებთან ასოცირდებოდა. ამ პერიოდში ევროპაში მძვინვარებდა ოქროს კრიზისი. შუამავლობითი ვაჭრობა აღმოსავლურ საქონელზე ფასებს საგრძნობლად ზრდიდა. ოსმალთა გააქტიურებამ კი ეს ყველაფერი მეტად შეაფერხა. ამის დაგვირგვინება იყო 1453 წლის 29 მაისი, მეჰმედ II ფათიჰის (დამპყრობელი) მიერ კონსტანტინოპოლის აღება. გარდა ამისა, ოსმალებმა საბოლოდ განიმტკიცეს პოზიციები მცირე აზიასა და ბალკანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მიყოლებით დაიპყრეს მორეა (1460 წ.), ტრაპიზონის იმპერია (1461 წ.), ბოსნია (1463 წ.), ყირიმის სახანო (1475 წ.). თურქებმა თანდათანობით ხელთ იგდეს აღმოსავლეთის სავაჭრო გზები. დასავლეთ ევროპაში ხვდებოდნენ რომ აუცილებელი იყო გამოსავლის პოვნა. ალტერნატიული გზების მოძიება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ევროპელები იძულებულნი გახდნენ დაეწყოთ ახალი საზღვავო გზების აღმოჩენა.

საზღვაო საქმეში საკმაოდ დაწინაურდნენ პორტუგალიელები, ესპანელები. სწორედ ეს ორი ქვეყანა ქმნიდა მაშინ ამ მხრივ პოლიტიკურ ამინდს, ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ მანამდე უცნობი ტერიტორიების აღმოჩენასა და დასაკუთრებაში. აუცილებლად უნდა ვახსენოთ 1494 წლის 7 ივნისს დადებული ტორდესილასის ხელშეკრულება, რომლითაც ამ ორმა სახელმწიფომ შეიძლება ითქვას რომ „დედამიწა გაიყვეს“. მომრიგებლის როლში გამოდიოდა მაშინდელი რომის პაპი ალექსანდრე VI (ერისკაცობაში როდრიგო დე ბორჯია, პაპი 1492-1503 წლებში), საწყის წერტილად აიღეს დასავლეთ გრძედის 46 გრადუსი მერიდიანი, რომლის დასავლეთით აღმოჩენილი მიწები ცხადდებოდა ესპანეთის საკუთრებად, ხოლო აღმოსავლეთით - პორტუგალიის.

ქრისტეფორე კოლუმბის შესახებ ბევრი რამ ბურუსითაა მოცული, არ ვიცით რას საქმიანობდა, ვიდრე ცნობილი მოგზაური გახდებოდა. ბევრი სკეპტიკური დამოკიდებულება არსებობს მისი პიროვნების მისამართით და დღემდე არ წყდება დავა. ოფიციალური ვერსიით ის არის იტალიელი, დაიბადა გენუაში 1451 წელს, მაგრამ რაც არ უნდა უცნაური იყოს, მის მიერ აღმოჩენილი არც ერთი ადგილისათვის მას იტალიური სახელი არ დაურქმევია. კოლუმბი საკუთარ გეგმებს ჯერ პორტუგალიის ხელისუფალთ გააცნობს, მაგრამ მისი მიზნები მაშინდელი მეფე ჟუან II-თვის მიუღებელი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ, XV საუკუნის 80-იან წლებში, კოლუმბი ესპანეთში გადაინაცვლებს, დაუახლოვდება ესპანეთის „კათოლიკე მეფეებს“ იზაბელ I კასტილიელსა და ფერდინანდ II არაგონელს. ესპანეთში კარგი პოლიტიკური ვითარებაა, 1492 წლის 2 იანვარს ესპანელებმა აიღეს არაბების უკანასკნელი დასაყრდენი გრანადა, რითაც დამთავრდა რეკონკისტა (ამ ტერმინით მოიხსენიებენ დაკარგული ქრისტიანული მიწების დაბრუნების პროცესს პირენეის ნახევარკუნძულზე).

1492 წლის აპრილში ესპანეთის მეფეებმა კოლუმბთან გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ის ინიშნებოდა ყველა იმ ტერიტორიის ვიცე-მეფედ რომელსაც აღმოაჩენდა, მას და მის შთამომავლებს ეძლეოდათ ახალ აღმოჩენილ მიწებზე წოდება ადმირალი. ასევე ჰქონდა უფლება ნაპოვნი ძვირფასეულიდან მეათედი აეღო. კოლუმბის ექსპედიცია ზღვაში 1492 წლის 3 აგვისტოს ანდალუსიის ნავსადგურ პალოსიდან გავიდა 3 გემის შემადგენლობით: კარაკას ტიპის „სანტა-მარია“. ასევე 2 კარაველა „ნინია“ და „პინტა“. ამ უკანასკნელის ნამდვილი სახელი დაკარგულია და მას ამ ზედმეტსახელით მოვიხსენიებთ. პირველი კუნძული რომელიც მათ 70 დღიანი მოგზაურობის შემდეგ 12 ოქტომბერს დაინახეს, ბაჰამის კუნძულების შემადგენლობაში შემავალი კუნძული სან-სალვადორი იყო, ადგილობრივებში გუანაჰანის სახელით ცნობილი. კოლუმბი მალე მიადგა კუბას, რომელიც მან იაპონიად მიიჩნია, 6 დეკემბერს კი აღმოაჩინეს ჰაიტი, რომელსაც ისპანიოლა უწოდეს. ამ მოგზაურობის დროს მას ხშირად მოუწია ადგილობრივ ინდიელებთან დაპირისპირება, რამდენიმე მათგანი მან ესპანეთშიც კი წაიყვანა. კოლუმბმა მალე მოიპოვა პოპულარობა, ყველა მასზე საუბრობდა, ესპანეთის მონარქები კმაყოფილები იყვნენ, შემდეგ მან კიდევ სამი მოგზაურობა მოაწყო: 1493-1496, 1498-1500, 1502-1504. მაგრამ მისი დიდება თანდათან ჩაესვენა, რადგან ვერ ნახა იმ რაოდენობის ძვირფასი ლითონები, სანელებლები, როგორსაც ვარაუდობდა. მეტიც, კოლუმბმა კონკისტადორული მიდრეკილებებიც გამოიჩინა, როდესაც მიხვდა, რომ მის მიერ აღმოჩენილ მიწებზე არ იყო ის, რაც სურდა, ანუ ძვირფასი ლითონების საბადოები, მიმართა იმ დროისთვის მიღებულ ხერხს, დაიწყო მონებით ვაჭრობა. ხშირად მოსდიოდა დაპირისპირება თავად ესპანელებთან, სწორედ ერთ-ერთი ასეთი დაპირისპირებისას ის დააპატიმრეს და ესპანეთში გაგზავნეს, მაგრამ მოახერხა და მალე გაათავისუფლეს.

უნდა ვთქვათ, რომ არსებობს ვერსია, რომლის მიხედვითაც მოგზაურმა იცოდა რომ აღმოაჩინა არა ინდოეთისაკენ მიმავალი გზა, არამედ ახალი კონტინენტი, მაგრამ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ამჯობინა გაჩუმებულიყო, თუმცა ეს მხოლოდ ვერსიაა, რეალურად ჩვენ გვაქვს კოლუმბის 1506 წლის მაისის დასასწყისში დაწერილი ანდერძი, რომელშიც პირდაპირ ამბობს, რომ მან აღმოაჩინა ინდოეთი „გარდა ამისა, ჩემ მიერ აღმოჩენილია უამრავი კუნძული, რაც ნათლად ჩანს ჩემი წერილებიდან, ბარათებიდან და რუკებიდან“. ანდერძიდან გამომდინარე ფაქტია, მოგზაური ისე გარდაიცვალა, ფიქრობდა, რომ მის მიერ აღმოჩენილი მიწები ინდოეთის აღმოსავლეთ სანაპიროები იყო. მოგზაურმა სიცოცხლის ბოლო წლები სიღარიბეში გაატარა და ყველასგან მივიწყებული 1506 წლის 20 მაისს გარდაიცვალა ქალაქ ვალიადოლიდში, დაკრძალულია სანტა მარია დე ლა სედეს მონასტერში, სევილიაში. უცნაური, მაგრამ ახალ კონტინენტს ეწოდა არა მისი, არამედ სხვა ადამიანის სახელი. ეს იყო ფლორენციელი ზღვაოსანი ამერიგო ვესპუჩი (1451-1512). ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ აღმოჩენილი მიწები იყო არა აზიის აღმოსავლეთ სანაპიროები, არამედ ისინი წარმოადგენდნენ მანამდე უცნობი კონტინენტის ნაწილს. კონტინეტისთვის ახალი სახელის დამკვიდრება უკავშირდება გერმანელ კარტოგრაფებს მარტინ ვალდზეემიულერსა და მათიას რინგმანს. მათ 1507 წელს გამოსცეს მსოფლიოს რუკა, რომელზეც პირველებმა დაიტანეს სიტყვა ამერიკა, ის ამერიგოს ლათინურ ვარიანტს წარმოადგენდა. სახელი მალევე აიტაცეს და ის გავრცელდა ჯერ ახალი კონტინეტის სამხრეთ, ხოლო მოგვიანებით ჩრდილოეთ ნაწილზეც. ამდენად კარტოგრაფების შეცდომის წყალობით კონტინენტს სულ სხვა ადამიანის სახელი ეწოდა.

პორტუგალიელთა დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ბართოლომეო დიასის ექსპედიცია. ამ უკანასკნელმა 1488 წელს სამხრეთ აფრიკის უკიდურესი წერტილი აღმოაჩინა და მას გარემო პირობების შესაბამისად „ქარიშხლის კონცხი“ უწოდა. ის გახდა პირველი ევროპელი კაპიტანი, რომელმაც აფრიკის

ჰოულობს

უკიდურეს სამხრეთ წერტილი გაიარა და გავიდა ინდოეთის ოკეანეში. კონცხის სახელი შემდეგ პორტუგალიის მეფე ჟუან II-ის (მეფე 1481-1495) ინიციატივით კეთილი იმედის კონცხით შეიცვალა. მიზეზად დასახელდა, რომ წინა სახელი მეზღვაურებს რატომღაც აშინებდა.

1492 წლის შემდეგ, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ კოლუმბმა ინდოეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზა აღმოაჩინა, პორტუგალიის სამეფო კარი საგონებელში ჩავარდა, მათ ინტერესებს ინდოეთში რეალური საფრთხე დაემუქრა. სწორედ ამან განაპირობა ახალი ექსპედიციის მოწყობა, რომლის ხელმძღვანელობაც დაევალა ცნობილ ზღვაოსან ვასკო და გამას. ექსპედიცია ლისაბონიდან 1497 წლის 8 ივლისს დაიწყო, მასში 4 გემი და 170 კაციანი ეკიპაჟი მონაწილეობდა. „სან-გაბრიელი“ 178 ტონა წყალწყვის, კარაკას ტიპის ხომალდი. „სან-რაფაელი“ რომელსაც მისი ძმა პაულო და გამა მეთაურობდა, ასევე კარაკას ტიპის ხომალდი იყო. „სან-მიგელი“ მეტსახელად „ბერიო“ კარაველას ტიპის გემი, მას მეთაურობდა ნიკოლა კოელიო და ასევე ექსპედიციაში შედიოდა უცნობი სახელის მქონე დამხმარე გემი გონსალო ნუნესის მეთაურობით. 1498 წლის მარტი ვასკო და გამამ გაატარა მოზამბიკში. პორტუგალიელები გახდნენ პირველი ევროპელები, რომლებმაც 7-13 აპრილს მოინახულეს თანამედროვე კენიის პორტი მომბასა, მაგრამ იმის გამო, რომ ადგილობრივები მათ მიმართ მტრულად განეწყვნენ, იძულებულნი გახდნენ მალევე დაეტოვებინათ იქაურობა. გზაში ვასკო და გამამ დაიქირავა გამოცდილი არაბი ზღვაოსანი აჰმედ იბნ-მაჯიდი, რომელსაც იქ „მალემო კანაკას“ ეძახდნენ („მუალიმი“ არაბულად-ოსტატი, „კანაკა“ სანსკრიტულად ასტროლოგი). 11 თვიანი სახიფათო მოგზაურობის შემდეგ ექსპედიციამ თავის მიზანს მიაღწია, 1498 წლის 23 მაისს ისინი ინდოეთის ქალაქ კალიკუტს მიადგნენ. იქ ვაჭრობა საკმაოდ კარგად იყო განვითარებული, ამან შეუწყო ხელი ვასკო და გამას მისთვის საჭირო ბევრი ინფორმაცია მიეღო. კარგი ურთიერთობა დაამყარა კალიკუტას მმართველ სამორინთან, მაგრამ მოგვიანებით ეს ურთიერთობა დაპირისპირებაში გადაიზარდა, რამაც დააჩქარა ევროპელების უკან დაბრუნება. სანელებლებით, ძვირფასი ქსოვილებით დატვირთულმა პორტუგალიელებმა 1498 წლის 29 აგვისტოს დატოვეს კალიკუტა, 23 დღე მოანდომეს მარტო ინდოეთის ოკეანის გადალახვას. 25 აპრილს მათ დასავლეთ აფრიკის სანაპიროს მიაღწიეს. პორტუგალიელები საკუთარ ქვეყანაში 1499 წლის 10 ივლისს დაბრუნდნენ. 24 თვიანი მოგზაურობა წარმატებით დასრულდა, ინდოეთისაკენ ახალი საზღვაო გზა აღმოჩენილი იყო. მეზღვაურებს ტრიუმფალური დახვედრა მოუწყვეს, საგრძნობლად გაიზარდა ვასკო და გამას ავტორიტეტი ქვეყანაში, ამ მოგზაურობის პატივსაცემად პორტუგალიის მაშინდელმა მეფემ მანუელ I-მა, ავისის დინასტიიდან, 1515 წელს ლისაბონში დაიწყო ბელენის ციხესიმაგრის მშენებლობა. ვასკო და გამამ შემდეგ კიდევ რამდენიმე მოგზაურობა მოაწყო ინდოეთისაკენ, მეტიც, ცნობილი მოგზაური სწორედ ინდოეთში ყოფნისას გარდაიცვალა 1524 წლის 24 დეკემბერს, დაასაფლავეს იქვე წმინდა ფრანსის მონასტერში, ქალაქ კოჩში. მოგვიანებით, 1539 წელს კი მისი ნეშტი სამშობლოში დააბრუნეს და იერონიმოს მონასტერში, ლისაბონში დაკრძალეს. ვასკო და გამას მოგზაურობამ დააწინაურა პორტუგალია, ამ ექსპედიციამ ხელი შეუწყო ვაჭრობის მეტად განვითარებას.

რაც შეეხება ჩვენს მესამე მოგზაურობას, ის დაკავშირებულია პორტუგალიელ ფერნანდო მაგელანის (ფერნან მაგალიაინში) სახელთან. ის დაიბადა 1480 წელს პორტუგალიის პროვინცია ტრასუს-მონტისდაალტუ-დორუში. საკმაოდ ახალგაზრდამ დაიწყო მეზღვაურის კარიერა, შემდეგ ის ხვდება ესპანეთის მეფე კარლოს I-ის კარზე (ესპანეთის მეფე 1516 წლიდან და საღვთო რომის იმპერატორი კარლ V-ის სახელით 1519-1556 წლებში). ფერნანდო მაგელანის მოგზაურობა სან-ლუკარ დე ბარამედას ნავსადგურიდან 1519 წლის 20 სექტემბერს დაიწყო, ექსპედიცია 5 გემისა და 265 მეზღვაურისგან შედგებიდა: „ტრინიდადი“ 110 ტონა წყალწყვის, თავად მაგელანის მეთაურობით. „სან-ანტონიო“ 120 ტონა, ხუან დე კარტახენას მეთაურობით. „სანტიაგო“ 75 ტონა, მეთაური ჟოან სერა. „კონსეფსიონი“ 90 ტონა, მეთაური გასპარ დე კესადა და „ვიქტორია“. 85 ტონა, მეთაური - ლუის მენდოზა. ამ უკანასკნელი გემის სახელი მომდინარეობდა სანტა მარია დე ლა ვიქტორია დე ტრიანას ეკლესიიდან, სადაც მაგელანმა ესპანეთის მეფის ერთგულებაზე დაიფიცა. მეზღვაურები კანარის კუნძულების გავლით სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ ნაპირებისაკენ გაემართნენ. ამ მოგზაურობის შესახებ ძვირფასი ცნობები შემოგვინახა ექსპედიციის უშუალო მონაწილემ იტალიელმა ანტონიო პიგაფეტამ. 110 დღის განმავლობაში მათ მიწა საერთოდ არ უნახავთ, ამ დროს 20 მეზღვაური დაეღუპათ, თავად პიგაფეტა წერს: „...ხშირად ხის ნახერხითაც ვიკვებებოდით. თვით ვირთხებიც კი, რომელიც ადამიანს ასე ეზიზღება, იმდენად სასურველ საკვებად იქცა, რომ თითოეულ მათგანში მოგზაურები ნახევარ დუკატს იძლეოდნენ ...“. ამ ყველაფერს ისიც ემატებოდა, რომ მაგელანს ცუდი ურთიერთობა ჰქონდა სხვა გემის კაპიტნებთან. მაგრამ ის ახერხებდა ჭკვიანურად მოქმედებას. მაგელანს სურდა ეპოვნა გასასვლელი, რომელიც გაიყვანდა ე.წ. „სამხრეთის ზღვამდე“ (აქ საუბარია წყნარ ოკეანეზე, რომელსაც ეს სახელი მშვიდი დინებების გამო სწორედ მაგელანმა უწოდა, ხოლო რაც შეეხება „სამხრეთის ზღვას“. რომელიც რეალურად ოკეანე იყო, ეს სახელი უწოდა ვასკო ნუნიეს დე ბალბოამ, რომელმაც 1513 წელს პანამის ყელი გადაკვეთა და ის აღმოაჩინა). მალე მიაგნეს სრუტეს, რომელიც ატლანტის ოკეანეს წყნართან აკავშირებდა (დღეს ეს სრუტე მაგელანის სახელს ატარებს). პორტუგალიელმა, სრუტის ნაპირებზე მიწას, იმის გამო რომ მასზე ღამით ალაგ-ალაგ ცეცხლი ანათებდა, „ცეცხლოვანი მიწა“ უწოდა. მოხდა ისე, რომ სრუტის მეორე მხარეს, მხოლოდ ორი გემი გამოვიდა: „ტრინიდადი“ და „ვიქტორია“.

1521 წლის მარტში ფერნანდო მაგელანი მიადგა კუნძულებს, რომელსაც უწოდა ფილიპეს კუნძულები (იგივე ფილიპინები). აქ ყოფნისას მაგელანი ჩაერია ადგილობრივების დაპირისპირებაში. ის ეხმარებოდა კუნძულ ცებუს მმართველს კუნძულ მაქტანის წინააღმდეგ, სწორედ კუნძულ მაქტანზე მოკლეს მაგელანი 1521 წლის 27 აპრილს. დარჩენილი ეკიპაჟი იძულებული გახდა იქაურობას გასცლოდა, იმის გამო, რომ გემი „ტრინიდადი“ დაზიანებული იყო, ის დატოვეს და ამის შემდეგ შემორჩათ მხოლოდ ერთადერთი გემი „ვიქტორია“. მას სათავეში ხუან სებასტიან ელკანო ჩაუდგა. რითაც შეეძლოთ დატვირთეს გემი სხვადასხვა სანოვაგით, მუშკამბრით და ესპანეთისაკენ დაიძრნენ. 1522 წლის 20 მაისს მათ მიაღწიეს „კეთილი იმედის კონცხს“. 9 ივლისს მივიდნენ კაპე ვერდეს კუნძულებზე. ხოლო ამავე წლის 6 სექტემბერს დაბრუნდნენ იმავე ნავსადგურში (სან-ლუკარი), საიდანაც გავიდნენ 3 წლის წინ. ესპანეთის ხელისუფლებამ ხუან სებასტიან ელკანოს პენსია 500 დუკატი დაუნიშნა, ასევე გადასცა გერბი, რომელზეც იყო დედამიწის სფერო წარწერით: „primus circum dedisti me“ – შენ პირველმა შემომიარე.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ არსებობს ვერსია, რომლის მიხედვითაც მაგელანი სულაც არ გეგმავდა დედამიწის შემოვლას, მისი მიზანი იყო, რომ მალაის არქიპელაგზე განთავსებულ მოლუკის კუნძულებზე მიეღწია (თანამედროვე ინდონეზიის შემადგელობაშია, მდიდარი სანელებლებით, მუშკამბრით). მაგრამ პორტუგალიელებთან უსიამოვნების შემდეგ იძულებული გახდა დასავლეთისაკენ გზა განეგრძო. ასეა თუ ისე, ამ მოგზაურობამ უდიდესი სამსახური გაუწია კაცობრიობას. რატომ? პირველი იმიტომ რომ ეს იყო პირველი მოგზაურობა დედამიწის გარშემო, მეორე - სწორედ ამ მოგზაურობამ დაამტკიცა დედამიწის სფეროსებულობა და მესამე, დაამტკიცა მსოფლიო ოკეანის ერთიანობა. ამ ექსპედიციამ აღმოაჩინა დასავლეთის გზა ინდოეთისაკენ, მაგელანის სრუტე, ცეცხლოვანი მიწა და უამრავი კუნძული.

ცხადია დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები მხოლოდ ამ სამი მოგზაურობით არ შემოიფარგლება, არც მხოლოდ პორტუგალი და ესპანეთი აქტიურობდა, ახალი აღმოჩენები შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა, საკმაოდ დაწინაურდნენ ფრანგები, ინგლისელები, ჰოლანდილეები. ადამიანებმა კიდევ უფრო მეტად გაიცვნეს თავიანთი პლანეტა. მოხერხდა უამრავი ახალი ადგილის, კონტინენტების (ავსტრალია, ანტარქტიდა), კუნძულების, ზღვებისა თუ სრუტეების აღმოჩენა-შესწავლა. ამ ყველაფერმა გამოიწვია არსებითად ახალი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული გარემოს შექმნა. გაფართოვდა გეოგრაფიული ცოდნა, აღმოაჩინეს ახალი ხალხები, რომელთა შესახებ მანამდე არავინ არაფერი იცოდა. კონტინეტებს შორის დაიწყო ფლორისა თუ ფაუნის სახეობების მიმოცვლა. ევროპელები სწორედ ამ დროს გაეცვნენ სიმინდს, კარტოფილს, თამბაქოს და სხვ. ადამიანები მუდამ ძებნის პროცესში იყვნენ და დღესაც არიან, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს CERCA TROVA - მძებნელი პოულობს.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ აღმოჩენებს უარყოფითი შედეგებიც ახლდა, სხვადასხვა ქვეყნებს მიეცათ საშუალება თავიანთი კოლონიური ზრახვები დაეკმაყოფილებინათ. ამ ყველაფერმა კი შეიწირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე, ბევრგან განადგურდა ადგილობრივი მოსახლეობა, ეს კი ძირითადად გამოწვეული იყო კონკისტადორების ძალისმიერი მიდგომებით. ამის მაგალითია ერნანდო კორტესი და აცტეკერედ.ბი, ასევე ფრანცისკო პისარო, დიეგო ალმაგრო, რომლებმაც პერუსა და ჩილეში უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს, თავიანთი გაუმაძღრობის გამო, მაგრამ ეს უკვე სხვა ისტორიაა.

თსუ სტუდენტები:

ალექსანდრე მაჭავარიანი

ვიტალი მაჭავარიანი

(ავტორებს გამოყენებული ლიტერატურა მითითებული აქვთ - რედ.)

ლიტერატურული კვლევანი

ვის მოუმატა მეფე თამარმა ქალაქი რუსთავი?

ნინო ტარყაშვილი

პოეტი შოთა რუსთაველი ატარებდა ზედწოდებას რუსთაველი. რუსთაველი, ცხადია, უნდა ნიშნავდეს რუსთავის მკვიდრს. მკვლევარებმა დღემდე ვერ მიაკვლიეს იმ ისტორიულ წყაროს, საიდანაც გვეცოდინებოდა, როდის მიიღო შოთამ მეჭურჭლეთუხუცესის წოდება და შესაბამისად, ქალაქი რუსთავი. თუმცა, ვიდრე საბოლოო დასკვნას გავაკეთებდეთ, მოდით კიდევ ერთხელ ჩავიხედოთ არსებულ წყაროებში.

გავიხსენოთ ცნობა კორნელი კეკელიძის მიერ შესწორებული და ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1941 წელს გამოცემული „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანიდან“: „ამას შინა მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი და თმოგვისაგან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა. მაშინ უბოძეს ამირსპასალარობათ ზაქარიას მხარგრძელისა, ძესა სარგის ამირსპასალარისა, მჯდომსა სომეხთა მეფისა ადგილსა, პატრონსა ლორისასა, მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი მოყმესა სპასპეტობისასა და ჭიაბერსა მანდატურთუხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ჟინვანი ქალაქი და ციხე მრავლითა მთიულეთითა და შეინყალეს სარგის ვარამის ძე, დალოცეს და უბოძეს თმოგვი. და ქუემო წირქუალელნი, ზარტობის ძენი, გრიგორის ძენი, ჭიაბრის ძენი, მახატლის ძენი და თავნი კახეთისანი – თორღას ძენი, შეინყალეს თვითოელნი თვისითა წესითა, რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა, ეგრეთვე ქართველნი, სომხითარნი, თორელნი, მესხნი და ტაოელნი.“(აკად. კ. კეკელიძის მიერ შესწორებული „ისტორიანი და აზმანი“)

მკვლევარებმა ასე მიიჩნიეს, რომ სარგისის ძეს, ზაქარიას უბოძეს ამირსპასალარობა, იგი იჯდა სომეხთა მეფის ადგილას და ფლობდა ლორის თემს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მეთორმეტე საუკუნეში ლორი ამირსპასალარების სამფლობელო იყო. აქ შეიძლება გავიხსენოთ ყუთლუ-არსლანი, რომელიც მიესწრაფვოდა ამირსპასალარობას და ემზადებოდა ლორის ქალაქში, სომეხთა მეფის ადგილას დასაჯდომად.

მკვლევარებმა ასე გაიგეს ამ ტექსტიდან, რომ თითქოს ზაქარია ამირსპასალარსავე მიუმატეს ქალაქი რუსთავი. თუმცა, მკვლევარებს, პავლე ინგოროყვასა და ნიკო ნადირაშვილს, ეჭვი შეაქვთ ამაში. პ. ინგოროყვა წერს, რომ რუსთავი მოუმატეს ასა გრიგოლის ძეს. ნიკო ნადირაშვილი კი ბრძანებს:(იხილეთ ნიკო ნადირაშვილის წიგნი: „რუსთაველის ვინაობა-სადაურობის საკითხი. თბილისი. 1978 წლის გამოცემა.)

„რომ ასეთი გაგება ამ ცნობისა არ არის სწორი და რომ თვით მოყვანილი რედაქცია ამ ცნობისა, დამახინჯებულია, ამას გვეუბნება შემდეგი:

თვით კონტექსტის შინაარსი ზაქარია მხარგრძელის დაჯილდოებაზე გვეუბნება, რომ ზაქარია მხარგრძელს უბოძეს მხოლოდ ამირსპასალარობა, რის შემდეგაც მოსდევს მისი ტიტული: „მჯდომსა სომეხთა მეფისა ადგილსა, პატრონსა ლორისას.“ ამით მთავრდება ამბავი ზაქარია მხარგრძელზე. შემდეგ მოსდევს ამბავი სხვა დიდებულის დაჯილდოებაზე და ისტორიკოსი განაგრძობს: „მოუმატეს რუსთავიცა მოყმესა სპასპეტობისასა.“ მაშასადამე, სიტყვის, „ლორისასა“-ს გვერდით უნდა დაისვას წერტილი და არა მძიმე.“(იხ. ზემოთ დასახელებული წიგნი. გვერდი 19.)

…„ყარაიას რუსთავის „მომატება,“ თუგინდ ის თამარის დროს არსებულიყო, არც ზაქარია მხარგრძელისთვის იყო შესაძლებელი. ზაქარია ფლობდა ლორეს. მის სამფლობელოს და ყარაიას ჰყოფდა ხუნანი, ისტორიას არ ახსოვს, რომ საქართველოში ფეოდალს მის ძირითად სამფლობელოს და მოსაზღვრე სამფლობელოს გარეთ კიდევ სხვა რაიმე სამფლობელო კოლონია ჰქონოდეს.

ზაქარია მხარგრძელისათვის თამარს რუსთავი რომ არ „მოუმატებია“ და ის რუსთავს არა ფლობდა, ამას გვეუბნება „ისტორია-აზმანის“ ცნობა ზაქარიას გარდაცვალებაზე. აქ ვკითხულობთ: „მიიცვალა ზაქარია ამირსპასალარი, ძე სარგის ამირსპასალარისავე. მთავარი თემისა ლორისა.“ ჩანს, ზაქარია სიკვდილამდე მხოლოდ ლორის მფლობელი იყო. ასეთი მნიშვნელოვანი სამფლობელო, როგორიც იყო რუსთავი, ზაქარიას მფლობელობაში რომ ყოფილიყო, ისტორიკოსი ამას აუცილებლად შეიტანდა მის ტიტულში.“ – დაასკვნის მკვლევარი.

რომ არც ზაქარია მხარგძელს და არც მის საგვარეულოს რომელიმე წევრს მტკვრის მარცხენა მხარეზე და მდინარე ბერდუჯის დასავლეთით, ე.ი. ქართლის ძველ ტერიტორიაზე არავითარი სამფლობელო არა სჭერიათ, ამას სრულიად გარკვეულად მოწმობს 1950 წელს ერევანში გამოსული „სომეხი ხალხის ისტორია“. აქ მოცემულია დაწვრილებითი ცნობები ყველა იმ მამულებისა, რომელსაც თამარ მეფის დროს ფლობდნენ ზაქარია მხარგრძელი და აგრეთვე მისი საგვარეულოს ყველა წევრი. „სამფლობელონი ზაქარიასი ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე ვრცელდებოდნენ ლორიბამბაკიდან ქალაქ მანაზკერტამდე და დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ – მჟიკერტიდან ერევნამდე.

მისმა ძმამ ივანემ აგრეთვე მიიღო დედოფლისაგან ფართო მამულები მდინარე აგსტევის (აღსტაფის –ნ.ნ.) ველში გეხარკუნი(სევანის ტბის აუზი). ივანემ გაათავისუფლა სელჩუკთაგან მთელი სუნიკი და რიგი სხვა ოლქებისა.

დედოფალმა თამარმა უბოძა მიწის სამფლობელონი აგრეთვე უმცროს შტოს ზაზარიდებისა – სარგისის ძმის, ვაგრამის შვილებს. ვაგრამის უფროსმა შვილმა ზაქარიამ მიიღო დედოფლისაგან ფართო ტერიტორია მდინარე დებედადან მტკვრის ნაპირამდე. შემდეგში მან მიუმატა თავის სამფლობელოს აგრეთვე პარისოსი (ახლანდელი შამშადინი და მისი მოსაზღვრე მიწები) (დასახ. წიგნი. გვ. 165.)“(ნიკო ნადირაშვილი. „რუსთაველის ვინაობა-სადაურობის საკითხი. გვერდი 21–22.)

მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ არც ზაქარია მხარგრძელი და არც მისი საგვარეულოს რომელიმე წევრი ქალაქ რუსთავს არ ფლობდნენ.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ზემოთმოყვანილი ციტატიდან მეორე ფრაზის შინაარსი გვეუბნება, რომ რუსთავი მოუმატეს არა მხარგრძელს, არამედ „მოყმესა სპასპეტობისასა.“ ნიკო ნადირაშვილის აზრით, სიტყვა „სპასპეტობისასა“ დამახინჯებულია და უნდა იყოს სპასპეტსა ასას. მკვლევარი გულისხმობს გრიგოლის ძეთა საგვარეულოს წარმომადგენელს. ეს საგვარეულო ეკუთვნოდა ბაგრატიონთა გვარის ერთ განშტოებას. ავტორი ფიქრობს, რომ მეთორმეტე საუკუნეში ქალაქი რუსთავი ალაზნის მარცხენა მხარეზე, ჰერეთში მდებარეობდა, ამიტომ მისი „მომატება“ მხოლოდ გიშის მფლობელ ასასათვის შეიძლებოდა.

ნიკო ნადირაშვილის მოსაზრებას ტექსტის დამახინჯების თაობაზე მე არ ვიზიარებ. ასეც რომ იყოს, მემატიანეს რა მოტივით უნდა მოეხსენიებინა „სპასპეტად“ ასა? თუ სპასპეტი აქ ამირსპასალარის მნიშვნელობით იხმარება? გარდაიცვალა ამირსპასალარი გამრეკელი და მის ნაცვლად ამირსპასალარობა მისცეს მხარგრძელს. რატომღა იხსენიება ასა სპასპეტ–ამირსპასალარად?

მე ვეთანხმები პ. ინგოროყვას და ნიკო ნადირაშვილს ერთ საკითხში, რომ ხსენებული ციტატის მიხედვით და შემდგომი კვლევაც ამას ადასტურებს, რომ ქალაქი რუსთავი არ გადაუციათ ამირსპასალარ ზაქარიასათვის. არ ვეთანხმები მკვლევარებს იმაში, რომ ქალაქი რუსთავი გადასცეს ასა გრიგოლის ძეს. აღნიშნულ ტექსტში ის საერთოდ არ იხსენიება.

მაშ ვის გადაეცა ქალაქი რუსთავი? ვინ იგულისხმება „მოყმესა სპასპეტობისასას“ ქვეშ. მე ვფიქრობ, რომ სპასპეტი მოყმე კავშირშია ჭიაბერთან, ანუ მასთან ახლოს მდგომი პიროვნებაა. სპასპეტი მოყმე არის ის, ვისი ხსენებაც შეიძლება ჭიაბერთან ერთად საერთო კონტექსტში და ვინც არის მასზე უმცროსი, ახალგაზრდა, ანუ მოყმე. ხოლო სპასპეტი კი სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ნიშნავს როგორც მხედართმთავარს, ასევე „მრავალთა ზედამდეგს“ (იხილეთ 1991 წლის გამოცემა . ტომი მეორე. გვერდი 108.) იგივე საბას განმარტებით, „ზედამდეგი“ ნიშნავს „ზედ მოურნეს,“ ხოლო „ზედმოურნე“ ნიშნავს საქმის გამგებელს. (იხ. ტომი პირველი. გვერდი 278.) შევკრიბოთ აღნიშნული განმარტებები და მივიღებთ, რომ სპასპეტი ნიშნავს მრავალ საქმეთა გამგებელს. მოყმე და მრავალ საქმეთა გამგებელი შეიძლება ყოფილიყო ჭიაბერის ძე. უფროსი ვაჟიშვილი. როგორც ცნობილი ჭიაბერის სიგელიდან ვიგებთ – შოთა ჭიაბრის ძე. მკვლევართა ნაწილის მიერ შოთა რუსთველად წოდებული. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ ორივე მთავარი გმირის: ტარიელისა და ავთანდილის ბიოგრაფიებში საკუთარ ბიოგრაფიას აქსოვს. ავთანდილის დახასიათებისას რუსთველი გვეუბნება: „ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა.“ ხოლო ტარიელის გამოჩენას გვამცნობს შემდეგნაირად: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე,/ჯდა მტირალი წყლისა პირსა.“ მთავარი გმირების – ავთანდილსა და ტარიელთან შეხვედრის პირველივე სტრიქონებიდან ვიგებთ, რომ ერთი სპასპეტია და მეორე მოყმე. შევაერთოთ ეს ორივე და მივიღებთ: მოყმე სპასპეტს. ვფიქრობ ძალიან ახლოა, თუ არა იგივე, როგორც გვიხასიათებს რუსთავის მფლობელს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობი ავტორი – „მოყმესა სპასპეტისასა“

მოვუხმოთ „ხელმწიფის კარის გარიგებას, “ სადაც მეჭურჭლეთუხუცესი ძველ ვაზირად იხსენიება. მეჭურჭლეთუხუცესი განაგებდა საჭურჭლეს, რომელშიც ფული და სანიადაგოდ სახმარი და სახარჯო ქონება ინახებოდა. ვფიქრობ, ეს იგივეა, რაც „ზედ მოურნე.“

ავთანდილი რომ ნამდვილად სპასპეტია, ამ აზრს გვიდასტურებს აგრეთვე სტროფი 1253. (იხილეთ „ქართული მწერლობის“ მეოთხე ტომი. 1988 წლის გამოცემა.)

„გგონივარ ვინმე ვაჭარი,
პატრონი ქარავანისა;
მე ვარ სპასპეტი მაღლისა
მეფისა როსტევანისა,
თავადი სპისა დიდისა, მათისა
შესაგვანისა.
მაქვს პატრონობა მრავლისა
საჭურჭლე-ზარადხანისა.“

დიდი სპის თავადობა და პატრონობა მრავლისა საჭურჭლე-ზარადხანისა, ვფიქრობ იგივეა, რაც მეჭურჭლეთუხუცესობა. ქალაქ რუსთავისა, ჟინვანისა და შვიდთა მთიულეთთა მფლობელნი კი მეთორმეტე საუკუნეში ნამდვილად მეჭურჭლეთუხუცესნი რომ იყვნენ, ამას არა ერთი მკვლევარი ადასტურებს. ისიც გავიხსენოთ, მკვლევართა ერთ რიგს ანტონ კათოლიკოსიდან დაწყებული „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორად შოთა რუსთაველი მიაჩნია და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ „ვეფხისტყაოსნის“ ეს მინიშნება კიდევ უფრო ღრმა დატვირთვას იძენს.

დავუბრუნდეთ ისევ ჭიაბერის სიგელს: რომელიც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გამოაქვეყნა თედო ჟორდანიამ. (ქრონიკები, ტომი პირველი.) როგორც ცნობილია, დაწერილი თამარის ეპოქას მიეკუთვნება და წარმოადგენს შეწირულობის აქტს. ციხე-ქალაქ ჟინვანის(მთიულეთში, საარაგვოზე) პატრონი ჭიაბერი შიო-მღვიმის ძველ-ქართულ მონასტერს სწირავს გლეხის ოჯახს(მიხითარაისძეებს). ჭიაბრის დაწერილს ხელს ურთავს მეფე თამარი. ქართლის კათოლიკოსი. თვით მანდარტუთუხუცესი ჭიაბერი. წარწერას ამოწმებს ვინმე შოთა, რომელსაც, როგორც ჩანს, ეს საპატრონო მემკვიდრეობად მიუღია. „ქ. მე შოთაი, ჩემს ჟინოვნის ქონებასაცა შინა ამას ვამტკიცებ, ვითა ამასა შიგან სწერია.“ დაწერილის მეორე მხარეს არის სხვათა ხელისმოწერაც(თედო ჟორდანიას აზრით, ესენი უფრო გვიანდელი მინაწერებია, ხოლო ს. კაკაბაძე მას შოთას ძმებად მიიჩნევს.)

მკვლევართა ერთი რიგი, და მათ შორის მეც, მივიჩნევთ, რომ აქ ნახსენები შოთა არის ჭიაბერის ძე, მგოსანი შოთა რუსთაველი. დავუკვირდეთ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით, ჟინვანი გადაეცა ჭიაბერს, ეს სადავო არ არის. ჭიაბერის სიგელის მიხედვით კი, რომელსაც თავად ჭიაბერიც ადასტურებს, როგორც მანდარტუთუხუცესი, ჟინოვნის ქონების მფლობელია შოთა. ანუ, ქალაქი რუსთავი, ქალაქი ჟინვანი და ციხე მრავლითა მთიულეთითა უბოძეს ჭიაბერის ძეს, შოთას, რომელიც, როგორც ჩანს, ამ დროისათვის ან უკვე მეჭურჭლეთუხუცესია, ან მეჭურჭლეთუხუცესის დაქვემდებარებაში მყოფი და თავად ჭიაბერს. „ვეფხისტყაოსნის“ 1253-ე სტროფი სპასპეტობას, ფაქტობრივად განგვიმარტავს როგორც მეჭურჭლეთუხუცესობას.

აღსანიშნავია აქ ისიც, რომ მოყოლებული ფარნავაზ მეფიდან და მეთორმეტე საუკუნეშიც შიდა ქართლის საერისთავოს ეწოდებოდა ყველა დანარჩენისაგან განსხვავებით, არა საერისთავო, არამედ სასპასპეტო. ხოლო სასპასპეტოს მმართველი იყო სპასპეტი.

იბადება კითხვა, ხომ არ არის საუბარი აქ იმ რუსთავზე, რომელიც შედიოდა ქართლის სასპასპეტოში? ცნობისათვის: შიდა ქართლის სასპასპეტოში შედიოდა ქსნისა და არაგვის ხეობა, საციციანო, საამილახვრო, სამაჩაბლო, საამირეჯიბო, საჯავახიანო, სამუხრანბატონო. ეწოდებოდა ზენა სოფელი.

გავიხსენოთ: ლურჯი მონასტრის – სამხრეთის კარის თავზე შემონახულია წარწერა: აუგიათ ანდრია (ანდრია – ანდრე – ადრე). მოციქულის სახელზე. აშენებულია მე-12 საუკუნის მიწურულში. აუგია ბასილი მთავარეპისკოპოსს თავის საგვარეულო სამარხად. „ნაცვალსაგებლად“ თავისი და თავისი საყვარელი ძმისა. ეს უკანასკნელი გახლდათ ერისთავთ-ერისთავი. ქართლის ამირთ-ამირა. „რუისთვისა და შვიდთა მთეულთა პატრონი“ აბუსალანი. აბუსალანს ეკავა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა. რადგან იგი ინოდებოდა ქართლის ამირთ-ამირად, სავარაუდოდ რუსთავიც, რომელსაც ფლობდა აბუსალანი, ქართლის რუსთავი უნდა ყოფილიყო.

რატომ გვგონია, რომ შოთა რუსთაველმა თავისი ზედწოდება ქართლის რუსთავიდან მიიღო?

როგორც შენიშნავს მკვლევარი პავლე ინგოროყვა, მესხეთის რუსთავი, არ დასტურდება, რომ საერთოდ არსებობდა მეთორმეტე საუკუნეში. ადვილი შესაძლებელია, რომ თორის საერისთაოში შემავალმა რუსთავმა ცოტა მოგვიანებით მიიღო ეს სახელწოდება სწორედ შოთა რუსთაველის საპატივსაცემოდ.

როგორც ისტორიკოსები ლოვარდ ტუხაშვილი და ასევე მკვლევარი ნიკო ნადირაშვილი შენიშნავენ, საქართველოში ფეოდალს სამართავად შეიძლებოდა გადაცემოდა მხოლოდ მისი ძირითადი სამფლობელოს მოსაზღვრე სამფლობელო. თუ დავაკვირდებით, რუკაზე, თორელების სამკვიდრო ტერიტორიას ნამდვილად ესაზღვრება შიდა ქართლის სასპასპეტო და უშუალოდ შიდა ქართლში მდებარე ქალაქი რუსთავი. ჭიაბერის სიგელში დასახელებული მეორე ქალაქი ჟინვალიც მდებარეობდა შიდა ქართლის სასპასპეტოს ტერიტორიაზე.

სამწუხაროა, რომ 2008 წელს ქართლის სოფელი რუსთავი აღმოჩნდა ოკუპირებული რუს-ოსების მიერ.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით ქალაქი რუსთავი გადაეცა არა ზაქარია მხარგრძელს, არამედ „მოყმესა სპასპეტისასა“, რომლის ქვეშაც უნდა ვიგულისხმოთ შოთა ჭიაბრის ძე, ანუ შოთა რუსთაველი. ამასთან გარკვეული სიფრთხილით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ პოეტ შოთა რუსთაველს სამართავად გადაეცა არა მესხეთის, ან კახეთის, არამედ ქართლის სასპასპეტოში შემავალი რუსთავი. სწორედ ამ რუსთავის მფლობელი შეიძლებოდა, რომ წოდებულიყო სპასპეტად.

ნიურნბერგის პროცესი და საერთაშორისო სასამართლო

მეოცე საუკუნე ძალიან საინტერესოა მსოფლიო ისტორიისათვის. ამ საუკუნეში მიმდინარეობდა მრავალი ისეთი პროცესი, რასაც ადგილი აქამდე არ ჰქონია მსოფლიო ისტორიაში. თუ კი მეოცე საუკუნემდე გამარჯვებული ქვეყნები აწყობდნენ კონფერენციებსა და კონგრესებს, სადაც წყდებოდა დამარცხებული ქვეყნების ბედი გამარჯვებული ქვეყნების მიერ, მეოცე საუკუნეში კი ყველაფერი სულ სხვანაირად წარიმართა. 1945 წლიდან საფუძველი ეყრება ახალ სისტემას რომელსაც საერთაშორისო სასამართლო ეწოდა. ამ სასამართლომ თავისი სამსახური დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და პირველად გაასამართლა ნაცისტური გერმანიის უმაღლესი პოლიტიკური ელიტა. ამ სასამართლო პროცესს ნიურბერგის პროცესი ეწოდა, რომელიც მიმდინარეობდა 1945 წლის 20 ნოემბრიდან 1946 წლის 1 ოქტომბრამდე. საყურადღებოა ამ ტრიბუნალის შექმნა და ის ფაქტი, თუ ვის მიერ ისჯება ნაცისტური გერმანიის უმაღლესი პოლიტიკური ელიტა. ეს ტრიბუნალი იქმნება: სსრკ-ის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეთანხმებით.

ნიურბერგის პროცესი არის ყველასათვის ცნობილი პროცესი. მან ძალიან დიდი რეზონანსი გამოიწვია მსოფლიო ელიტებს შორის. ჩვენი ყურადღება მიიქცია გენოციდმა, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ბრალდება იყო გერმანელი ნაცისტების მიმართ განხილულ პროცესზე. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, რომ რაიმე სახით მოხდეს ნაციზმის წარმოჩენა დადებით კონტექსტში. ჩვენ გამოვდივართ საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან, რომლის თანახმადაც ყველა სახელმწიფო თანასწორია საერTაშორისო სასამართლის - პრიმატის წინაშე.

1945 წელს ჩატარებული ნიურბერგის პროცესიდან საფუძველი ეყრება ახალ სისტემას, რომელსაც საერთაშორისო სასამართლო ეწოდა. ამ სასამართლომ თავისი სამსახური დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და პირველად გაასამართლა ნაცისტური გერმანიის უმაღლესი პოლიტიკური ელიტა. ამ სასამართლო პროცესს ნიურბერგის პროცესი ეწოდა, რომელიც მიმდინარეობდა 1945 წლის 20 ნოემბრიდან 1946 წლის 1 ოქტომბრამდე. საყურადღებოა ამ ტრიბუნალის შექმნა და ის ფაქტი, თუ ვის მიერ ისჯება ნაცისტური გერმანიის უმაღლესი პოლიტიკური ელიტა. ეს ტრიბუნალი იქმნება საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეთანხმებით.

ნიურბერგის პროცესზე დასჯილ იქნა მესამე რაიხის: პოლიტიკური, სამხედრო, ფინანსური, იდეოლოგიური და პროპაგანდისტული სტრუქტურის ხელმძღვანელები. სასამართლოზე ასევე განიხილებოდა დასჯილიყვნენ ნაციონალ-სოციალისტური პარტია, SS, SD, გესტაპო და გენშტაბი.

საყურადღებოა გაერთიანებული ერების პირველი ინიციატივები 1946 წლიდან, რომ შეიქმნას საერთაშორისო სამართლის კომისია (სსკ), საერთაშორისო სამართლის შემუშავების და კოდიფიცრებისთვის, და საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტატუსის მომზადებისთვის. 1948 წლის 9 დეკემბერს მიღებული კონვენცია, გენოციდისა და კრიმინალის თავიდან აცილებას და მის წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებს, ასევე, საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს შექმნას, მაგრამ კიდევ ერთხელ პროექტი რჩება დაუსრულებელი.

გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის წევრების მიერ ნაბიჯ-ნაბიჯ განხორციელებულ იქნა სსკ-ის სამუშაოები, რომელიც დაკავშირებული იყო საერთაშორისო სასამართლოს პროექტთან, რომლის განხორციელება მხოლოდ 1993 წელს მოხდა.

ნიურბერგის პროცესი გამორჩეული იყო იმით, რომ ნაცისტური პოლიტიკური ელიტა არ დასჯილა გერმანიის კანონმდებლობით. ისინი გაასამართლეს და დასაჯეს როგორც საერთაშორისო დამნაშავეები, რომლებმაც ჩაიდინეს გენოციდი და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. სწორედ ნიურბერგის პროცესი იყო დასაწყისი საერთაშორისო სამართლისა, როდესაც პირველად დაისაჯნენ დამნაშავეები საერთაშორისო სამართლით. მაგრამ იყო კი აქ დაცული ობიექტურობა? ამ კითხვას ბადებს გერინგის სიტყვები როდესაც ის ამბობს: „რატომ არ ზის ჩემ გვერდით ამერიკის პრეზიდენტი ტრუმენი, რომელმაც ახლახანს ჩაიდინა დანაშაული კაცობრიობისა და მშვიდობის წინააღმდეგ, როდესაც იაპონიის ქალაქების - ჰიროსიმასა და ნაგასაკის მშვიდობიან მოსახლეობას ატომური ბომბები დაუშინა?“

ჩვენი მოხსენების მიზანს არ წარმოადგენს მთლიანად ნიურბერგის პროცესი, არამედ ჩვენ გვსურს შევეხოთ ზოგიერთ ფაქტს და შევეცადოთ ის განვიხილოთ დღევანდელი საერთაშორისო მოთხოვნებისა და სამართლებრივი ნორმების შესაბამისად.

ჩვენთვის საინტერესო და საყურადღებოა სტალინის ვარაუდები 1942 წელს როდესაც ის აღნიშნავს რომ „გერმანია დიდ ხანს ვერ გაუძლებს ასეთ დაძაბულობას, კიდევ რამდენიმე თვე, კიდევ ნახევარი წელიწადი, შეიძლება ერთი წელიც და მეტიც და ჰიტლერულ გერმანიას თავისი დანაშაულების სიმძიმე გასრესს.“ რა იყო ეს დანაშაულებები და რის გამო შეიკრიბა ტრიბუნალი? იყო ეს მართლაც სასამართლო პროცესი თუ უბრალოდ ტერიტორიების ახლებუr გადანაწილება ევროპაში?

მოკავშირეებმა ნაცისტური გერმანიის პოლიტიკური ელიტა გაასამართლეს არა გერმანული კანონმდებლობით, არამედ ახალ შემოღებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით და მათ მიანიჭეს საერთაშორისო დამნაშავეების სტატუსი. გერმანული კანონმდებლობით ვერ მოხდებოდა მათი გასამართლება ერთი უბრალო მიზეზით, რადგანაც ამ კანონით მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ.

ბევრი მკვლევარისა და ისტორიკოსის აზრით, ნიურბერგის პროცესი სულაც არ იყო სამართლიანობის აღდგენა და იგი შეფასებულია, როგორც გამარჯვებულთა მიერ დამარცხებულების დასჯა. თუ კი საერთაშორისო სასამართლო მართლაც იმისთვის იყო მოწვეული დაესაჯა დამნაშავეები, რომლებსაც კაცობრიობის წინააღმდეგ მიუძღოდათ დანაშაული, მაშინ ბრალდებულის სკამზე ნაცისტური გერმანიის პოლიტიკური ელიტის გვერდით უნდა მსხდარიყვნენ აშშ-ს პრეზიდენტი ტრუმენი და მისი უახლოესი გარემოცვა იაპონელი ხალხის საზარბაზნე ხორცად გამოყენებისათვის. ასევე უნდა მსხდარიყვნენ სტალინი და პოლიტბიურო, უკრაინელი ხალხის შიმშილით ამოხოცვისა და კიდევ მრავალი სამხედრო დანაშაულისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირმა ჩაიდინა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ.

უპრიანი იქნება თუ გადავხედავთ ჰააგის სასამართლოს დადგენილებებსა და პოზიციას ნიურბერგის პროცესის შემდგომ წლებში. ჰააგის სასამართლომ ლიბერიის ყოფილ პრეზიდენტს ჩარლზ ტეილორს ომისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულში დასდო ბრალი. იგი პირველი სახელმწიფო პირია 1946 წლის ნიურბერგის პროცესის შემდეგ, ვინც საერთაშორისო სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

შეერთებულმა შტატებმა და საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა განაჩენი მოიწონეს და განაცხადეს, რომ ჰააგის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მაგალითი იქნება მათთვის, ვინც მომავალში ომის დანაშაულს ჩაიდენს.

აღსანიშნავია, ასევე, ისიც, რომ მას შემდეგ, რაც ნაცისტური გერმანიის ლიდერები 1945-1949 წლებში ნიურბერგის სასამართლოს წინაშე წარსდგნენ, ხოლო იაპონელი ოფიციალური პირები ტოკიოში 1946-1948 წლებში გაასამართლეს, სლობოდან მილოშევიჩის საქმე გახლდათ პირველი შემთხვევა, როცა გაერომ სამხედრო დანაშაულების გამოძიების მიზნით საგანგებო ტრიბუნალი შექმნა.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ნიურბერგისა და ტოკიოს სასამართლო პროცესებისგან განსხვავებით, ყოფილი იუგოსლავიის წინააღმდეგ საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი ამოქმედდა, რომელიც ბოსნიაში მძვინვარე კონფლიქტის დროს შეიქმნა.

ტრიბუნალის მიერ, განხილულ საქმეებს შორის დღემდე ყველაზე მნიშვნელოვანია ყოფილი იუგოსლავიის პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის საქმე, რომელსაც ბრალდებები წაუყენეს: გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისა და ომის წარმართვის კანონების დარღვევის გამო.

გერმანული პოლიტიკური და სამხედრო ელიტა დაისაჯა ებრაელი ხალხის გენოციდისათვის. ეს გენოციდი მეოცე საუკუნეში არც პირველი ყოფილა და არც უკანასკნელი. მოხდა უამრავი ფაქტი დანაშაულებისა, რომელთა ნაწილი აღიარებულ იქნა გენოციდად, ხოლო ნაწილი არ აღიარებულა. ჩვენ ამ სტატიაში შევიტანეთ მსოფლიოში ცნობილი რამდენიმე გენოციდი, რომელთა ჩამდენნი დღემდე არ დასჯილან.

1. კონგოს "თავისუფალი" სახელმწიფო (1885-1908), სადაც ბელგიის მეფე ლეოპოლდ II–ს მძიმე პოლიტიკას 10 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა.

2. გოლოდომორი (1932-1933) უკრაინელთა განადგურება მასობრივი შიმშილობის გამოწვევით საბჭოთა ხელისუფლების მიერ. შეეწირა 7, 500 000 ადამიანი.

3. გენოციდი რუანდაში (1994), რუანდას გენოციდი მოეწყო ტუტსის ეთნიკური ჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც განხორციელდა ჰუტუს ექსტრემისტული დაჯგუფების მიერ. შეეწირა 1 000 000 ადამიანი.

4. კამბოჯას გენოციდი (1975-1979) კამბოჯას გენოციდი განხორციელდა კომუნისტური პარტიის კამპუჩეას მიერ, რომელიც კავშირშია ქჰმერის რეჟიმთან, გენერალ პოლ პოტის მეთაურობით. მათ პოლიტიკას შეეწირა 1000000-3000000 ადამიანი.

5. თურქების მიერ ბერძენთა გენოციდი (1914-1923) ეთნიკური ბერძნების სისტემური განადგურება აღმოსავლეთ თრაკიასა და მცირე აზიაში. ეს ჩაიდინა თურქეთის ქემალისტურმა მთავრობამ. სავარაუდოდ მოკლულია: 1400000-1700000 ადამიანი.

6. ნიგერიის სამოქალაქო ომი (1967-1970). ნიგერიის სამოქალაქო ომი იყო კონფლიქტი ეთნიკურ და პოლიტიკურ ნიადაგზე ჩრდილოეთში მცხოვრებ მუსლიმ ჰაუსას და სამხრეთში მოსახლე ქრისტიან იგბოს ხალხებს შორის. სავარაუდოდ მოკლულია: 1 000 000-3 000 000 ადამიანი.

9. ადგილობრივი ამერიკელების გენოციდი (1492-1900). ადგილობრივ ამერიკელთა გენოციდი, ცნობილი ასევე როგორც "500 წლიანი ომი" კაცობრიობის ისტორიაში, ყველაზე ხანგრძლივი ჰოლოკოსტია, რომელიც დაიწყო ევროპელთა მიერ "ახალი სამყაროს" კოლონიზაციით და რასაც შედეგად მოჰყვა ადგილობრივი მოსახლეობის 80%-ით შემცირება. სავარაუდოდ მოკლულია: 70 000 000-100 000 000 ადამიანი.

ამ შემზარავი ფაქტების შემდეგ არცერთ შემთხვევაში არავის მოსვლია აზრად რომ დაესაჯათ დამნაშავეები სრული სიმკაცრით, მაშინ როდესაც გერმანელი ნაცისტები დაისაჯნენ ჩადენილი დანაშაულებებისათვის. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ გერმანელი ნაცისტები დასჯას არ იმსახურებდნენ. უბრალოდ, თუ სამართლიანობის აღდგენა გვინდა და ვართ ობიექტური შემფასებლები, მაშინ თვალი არ უნდა დავხუჭოთ იმ მრავალ დანაშაულზე, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ. არ უნდა იყოს შერჩევითი სამართალი. არცერთ ქვეყანას არ უნდა შერჩეს ჩადენილი დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. ყოველივე ამის შემდეგ საფუძლიანად გვეპარება ეჭვი, რომ ნიურბერგის პროცესი არ იყო მხოლოდ დამნაშავეების დასჯის ილუსტრაცია, არამედ გამარჯვებულმა ქვეყნებმა მოახდინეს ტერიტორიების ახლებური გადანაწილება.

თსუ სტუდენტები:

გიგა ჭანტურია

მირანდა შელია

(ავტორებს გამოყენებული ლიტერატურა მითითებული აქვთ - რედ.)

პირველი დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში

1918 წელი უმნიშვნელოვანესი ფურცელია საქართველოს ისტორიაში, 117 წლიანი რუსეთის ბატონობის შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ მოახერხა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სულ რაღაც სამი წელი იარსება, 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის წითელმა არმიამ თბილისი დაიკავა. პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისას ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო ფაქტი იყო თავისუფალ საქართველოში პირველი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, რომელმაც სათავე დაუდო ქვეყნის შემდგომ განვითარებას და ფორმირებას.

დღევანდელ სტატიაში შევეცდებით, მოკლედ მიმოვიხილოთ ის კულტურულ-ისტორიული ვითარება, რომელშიც იმყოფებოდა საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და პირველი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებამდე.

ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ყოველთვის იბრძოდა, თუმცა ყველა მცდელობა წარუმატებლად მთავრდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მოძრაობები და აჯანყებული ჯგუფები დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ რუსეთის წინააღმდეგ გაბრძოლებას, რეალური ცვლილებები, რომლებმაც სათავე დაუდო ქართველი ერის კულტურულ განვითარებას, იწყება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან და ეს დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძესა და „თერგდალეულებთან“.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც წინ უძღოდა დამოუკიდებელი საქართველოს შექმნას, იყო პირველი უნივერსიტეტის დაარსება 1918 წელს, შეიძლება ითქვას, რომ მისი სულისჩამდგმელი იყო დიდი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. ამ მოვლენამ დიდი გავლენა იქონია იმ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, საზოგადოების სწორ ორიენტაციაზე,რამაც გამოიწვია ბრძოლის გამძაფრება დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ 1917 წელს მომხდარი რევოლუცია რუსეთში, ცარიზმის საბოლოო რყევა და ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა. სწორედ, ამ გარემო ფაქტორების გათვალისწინებით და პატრიოტი ხალხის მხარდაჭერით, 1918 წლის 26 მაისს, კვირას, 5 საათსა და 50 წუთზე, გოლოვინის გამზირზე (დღეს რუსთაველი) მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, ნოე ჟორდანიამ, საბჭოს წევრებს სიტყვით მიმართა: „ ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალისმერ მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს“ .

ეროვნულმა საბჭომ მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. რომლის პირველი მუხლი გვაუწყებდა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“ .

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ეროვნულმა საბჭომ საქართველოს პირველი მთავრობა დაამტკიცა, რომელიც სხვადასხვა პარტიების კოალიციას წარმოადგენდა, თუმცა უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ. გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს პირველი მთავრობა შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

მთავრობის თავმჯდომარე და შსს მინისტრი - ნოე რამიშვილი (სოციალ-დემოკრატი).

საგარეო საქმეთა მინისტრი - აკაკი ჩხენკელი (სოციალ-დემოკრატი).

სამხედრო საქმეთა მინისტრი - გრიგოლ გიორგაძე (სოციალ-დემოკრატი).

ფინანსთა და ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრი - გიორგი ჟურული (ეროვნულ - დემოკრატი).

იუსტიციის მინისტრი - შალვა ალექსიმესხიშვილი (სოციალ-ფედერალისტი).

სახალხო განათლების მინისტრი - გიორგი ლასხიშვილი (სოციალ-ფედერალისტი).

მიწათმოქმედების და შრომის მინისტრი - ივანე ლორთქიფანიძე (სოციალ-რევოლუციონერი).

მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებები განხორციელდა 1918 წლის ივნისში, მთავრობის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრად ევგენი გეგეჭკორი დაინიშნა. ეროვნული საბჭო კი, რომელმაც მთავრობა დაამტკიცა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციის შემსრულებელი გახდა. მასში წარმოდგენილი იყო ყველა მოქმედი პოლიტიკური პარტია, ასევე წარმოდგენილი იყვნენ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებიც. მოგვიანებით, 1918 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით, ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა.

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის „დამოუკიდებლობის აქტი“ დამფუძნებელი კრების მოწვევას ითვალისწინებდა. 1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა (ყოფილი ეროვნული საბჭო) დაამტკიცა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება, რომელიც ითვალისწინებდა საყოველთაო, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში რეგისტირებული იყო 15 პოლიტიკური პარტია:

N1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

N2 საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

N3 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია

N4 სომეხთა რევოლუციონური პარტია „დაშნაკციუთუნი“

N5 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

N6 საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭო

N7 საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია

N8 საქართველოს ეროვნული პარტია

N9 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია

N10 შოთა რუსთაველის ჯგუფი

N11 დამოუკიდებელთა (უპარტიოტთა) კავშირი

N12 ბორჩალოს მაზრის მუსულმანები

N13 რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ)

N14 „ესტეტიური ლიგა პატრიოტებისა“

N15 ელინთა დემოკრატიული პარტია

საარჩევნო კამპანიის წარმოებისას ყველა პარტია მიმართავდა თავისებურ ხრიკებს, ეწეოდნენ საარჩევნო აგიტაციებს, ატარებდნენ საჯარო შეხვედრებსა თუ მიტინგებს, აშარჟებდნენ ოპონენტ პარტიებს და ბეჭდავდნენ პოლიტიკური თემატიკის ლექსებს, მაგ:

„ხმა მიეცით პირველს,
ჩვენი ბედის მწირველს...
ბრძოლაში დაცდილებს,
ხალხის ერთგულ შვილებს“...

საარჩევნო სუბიექტებს სიებში სხვადასხვა რაოდენობის კანდიდატები ჰყავდათ წარმოდგენილი. მათ შორის ყველაზე მეტი, 130 კანდიდატი წარმოდგენილი ჰყავდათ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, ხოლო ყველაზე მცირე, ერთი კანდიდატით არჩევნებზე წარდგენილი იყო შოთა რუსთაველის ჯგუფი-პარტია. საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული 15 საკანდიდატო სიაში, საერთო ჯამში წარმოდგენილი იყო 600 კანდიდატი, აღსანიშნავია, რომ მათგან 26 იყო ქალი. სოციალ დემოკრატების 130 კაციან სიაში წარმოდგენილი იყო 6 ქალი კანდიდატი: ელიონორა ტერპარსაგოვა-მახვილაძისა; მინადორა ტოროშელიძე; ქრისტინე შარაშიძე; ელისაბედ ბოლქვაძე; ანნა (ოლღა) სოლოღაშვილი; მარიამ ბერიანიძე. ასევე ქალი კანდიდატები ჰყავდათ: N3 – საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას 5 კანდიდატი. N4 სომეხთა რევოლუციონური პარტია „დაშნაკციუთუნი“ 2 კანდიდატი. N5 საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია 9 კანდიდატი; N7 საქართველოს რადიკალდემოკრატიულ გლეხთა პარტია 1 კანდიდატი; N9 საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია 3 კანდიდატი.

ქალების მონაწილეობა არჩევნებში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა XX საუკუნის მსოფლიო ისტორიაში. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში აირჩიეს 5 ქალი, მაშინ როდესაც იმდროინდელი სახელმწიფოთა უმრავლესობაში ქალებს ხმის მიცემის უფლებაც კი არ ჰქონდათ. შეიძლება ითქვას, რომ ამ მოვლენამ კიდევ უფრო გაამძაფრა პირველი დემოკრატიული არჩევნების მნიშვნელობა. ჩვენი პატარა ქვეყანა მსოფლიო ქვეყნების ათეულში შევიდა, რომლებმაც ქალებს არჩევნებში მონაწილეობის ნება დართეს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა შესაძლებელი იყო როგორც ქართულ, ასევე კონკრეტულ მაზრებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის მათ მშობლიურ ენებზე.

რაც შეეხება თვითონ არჩევნებს, ის 1919 წლის თებერვალში ჩატარდა, კერძოდ 14-15-16 თებერვალს, რომელშიც სხვადასხვა მიზეზის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო ბათუმის ოლქის, ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების, ხევსურეთისა და სვანეთის მოსახლეობამ. როგორც ცნობებიდან ვიგებთ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანონიერად ცნო 550477 ხმა. ხმების უმრავლესობით გაიმარჯვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც მიიღო 403 ათასი ხმა, მიღებულ ხმათა 89% და დამფუძნებელ კრებაში გაიყვანა 109 დეპუტატი: ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი, სილიბისტრო ჯიბლაძე და სხვა. 130 ადგილი შემდეგნაირად გადანაწილდა: N1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 109 მანდატი. N2 საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 8 მანდატი. N5 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია – 8 მანდატი. N3 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 5 მანდატი.

1919 წლის აგვისტოში კი გაიმართა პირველი დამატებითი არჩევნები, რომლის შედეგად დამფუძნებელ კრებას შეემატა სამი დაშნაკი. გარდა ამისა: N1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია 105. N5 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია 9. N2 საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 7. N3 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია 5. N4 სომეხთა სარევოლუციო პარტია „დაშნაკცუთუნი“ 3. N8 საქართველოს ეროვნული პარტია 1.

ხოლო 1920 წლის 21 მაისს გამოქვეყნდა მეორე დამატებითი არჩევნების საბოლოო შედეგები, რის შედეგადაც დამფუძნებელ კრებაში ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: N1- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია-102 წევრი. N5- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია 9 წევრი. N2-საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 8 წევრი, N3-საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია 6 წევრი. N4-სომეხთა სარევოლუციო პარტია „დაშნაკცუთიუნი“ - 3 წევრი. N8- საქართველოს ეროვნული პარტია 2 წევრი.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველო იყო მსოფლიოში პირველი სახელმწიფო, რომელსაც დემოკრატიულად არჩეული სოციალ-დემოკრატიული პარტია ჩაუდგა სათავეში.

რაც შეეხება თავად დამფუძნებელ კრებას, მისი პირველი სხდომა ჩატარდა 1919 წლის 1 მარტს, იგი გახსნა უხუცესმა დეპუტატმა სილიბისტრო ჯიბლაძემ. პირველი სესიის მეორე სხდომაზე მთავრობის საქმიანობის ანგარიშით გამოვიდა ნოე ჟორდანია. მან აღნიშნა რომ მთავრობამ ხალხის ნდობა გაამართლა, დიდი ისტორიული მისია შეასრულა, როცა, ომისა და რევოლუციის ქარცეცხლში უვნებლად გამოატარა საქართველო. დამფუძნებელმა კრებამ უარყო განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვილი პრეზიდენტის, სახელმწიფო მეთაურის არჩევის საჭიროება, მაგრამ მიზანმიმართულად მიიჩნია მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების გაზრდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი იყო, იგი მაინც ვერ უზრუნველყოფდა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზების სრულყოფილებას, ამიტომ საჭირო იყო კონსიტუციის მიღება. კონსტიტუციაზე მუშაობა ჯერ კიდევ 1918 წელს იწყება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საგანგებო სხდომაზე ერთხმად მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რითაც შეასრულა თავისი ძირითადი ამოცანა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუიცია შედგება 17 თავისა და 149 მუხლისაგან. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო, მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა, საქართველოს დედაქალაქი არის ტფილისი, სახელმწიფო ენა - ქართული, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად. 1921 წლის კონსტიტუცია გამოირჩევა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცებით. კონსტიტუცია აცხადებს კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობას და კრძალავს წოდებრივ განსხვავებებს. ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით. გარდა მოქალაქეთა უფლებებისა, კონსტიტუცია აღიარებს ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს. საინტერესოა მეთექვსმეტე თავი, რომელიც ეძღვნება სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას და შედგება სამი მუხლისაგან. ის ამბობს: სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოკიდებულნი არიან, არც ერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა, ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია. კონსტიტუციამ სამწუხაროდ მხოლოდ ოთხი დღე იარსება. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმია თბილისში შემოვიდა. ამით სრულდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედება.

1919 წლის საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები სხვადასხვა ფაქტორის გამო გამორჩეული იყო. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა ხმის მიცემის უფლებას აძლევდა ყველა მოქალაქეს სქესისა და წამრომავლობის განურჩევლად. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში არჩეულ იქნა 5 ქალი, მაშინ როცა ამ დროის მსოფლიოს სახელმწიფოების უმრავლესობაში ქალებს არ გააჩნდათ ხმის მიცემის უფლებაც კი. 1919 წლის 12 მარტს კრების პირველ სხდომაზე კი პრეზდიუმის წევრად (მდივნად) არჩეულ იქნა სოციალ-დემორკატი ქრისტინე შარაშიძე. გარდა ქალთა ჩართულობისა, არჩევნებში ხმის მიცემისა და დეპუტატად არჩევის საშუალება მიეცათ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რაც ასევე აღსანიშნი ფაქტია.

1918-1921 წლების პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიაში. აღნიშნული პერიოდი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ჩვენში პოლიტიკური კულტურა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული, რამაც სათავე დაუდო ქვეყნის შემდგომ განვითარებას. მართალია დამოუკიდებელმა საქართველომ მხოლოდ სამი წელი იარსება, მაგრამ მაინც დიდი კვალი დატოვა ქვეყნის ისტორიულ ფორმირებაზე.

გამორჩეული იყო ამ საუკუნის მეორე ნახევარიც; 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა დემოკრატიული და მრავალპარტიულ არჩევნებში. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე, რომელიც 1990 წლის 14 ნოემბერს შედგა ზვიად გამსახურდია აირჩიეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო 1991 წლის 9 აპრილს ჩვენმა ქვეყანამ ისევ მოახერხა დამოუკიდებლობის გამოცხადება, 26 მაისს კი ქვეყნის პირველ პრეზიდენტად ავირჩიეთ ზვიად გამსახურდია. საქართველოს ისტორიაში ახალი რეალობა დადგა.

თსუ სტუდენტები:

თეა ხორგუაშვილი

ქეთი ბარბაქაძე

(ავტორებს გამოყენებული ლიტერატურა მითითებული აქვთ - რედ.)

თბილისის ტრანსპორტის ისტორია

საქართველო XVII საუკუნის ბოლოს უკიდურესად იყო დასუსტებული, ამას განაპირობებდა როგორც ქვეყნის რთული საშინაო მდგომარეობა, ისე მაჰმადიანური ქვეყნების მხრიდან შევიწროება. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე ფიქრობდა, რომ მართლმორწმუნე რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება ქართველთათვის სასარგებლო იქნებოდა, თუმცა ერეკლეს მიერ დადებულმა გეორგიევსკის ტრაქტატმა (1783 წლის 24 ივლისი) ცხადყო რუსეთის რეალური დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი. ვერც ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII-ის ძალისხმევა აღმოჩნდა საკმარისი, მეტიც 1801 წლის 12 სექტემბერს, რუსეთის მაშინდელმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა უმაღლესი მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთის იმპერიასთან მიერთება გამოაცხადა. რუსეთმა ჯერ აღმოსავლეთ, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველო მიიერთა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან თბილისში ისტორიულ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობდა. რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცევამ სრულიად შეცვალა სიტუაცია. ცვლილება განიცადა ასევე კულტურულმა კონტექსტმაც. თბილისმა, რომელიც აღა-მაჰმედ-ხანის 1795 წლის შემოსევის შედეგად საგრძნობლად დაზიანდა, ნელ-ნელა დაიწყო ძველი იერსახის დაბრუნება. თანდათანობით შემოვიდა ჯერ სავაჭრო, შემდგომ კი სამრეწველო კაპიტალი, რამაც ხელი შეუწყო ნატურალური მეურნეობის და ძველი ეკონომიკური ურთიერთობების რღვევას. დღევანდელ სტატიაში გვსურს თვალი გადავავლოთ ჩვენს დედაქალაქში ტრანსპორტის განვითარებას.

თანდათანობით დაიწყო თბილისის გარდაქმნის პროცესი, რაც მის ურბანულ სახესა და არქიტექტურული ნაგებობებზეც აისახა. ახალი ურბანული გარემოს შექმნამ სრულიად განსხვავებული სახე მისცა ქალაქს. XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე თბილისი მხოლოდ საკუთრივ გალავნის ფარგლებში ვითარდებოდა, რის გამოც არ იყო საჭიროება დიდი და მასიური ტრანსპორტის გამოყენების. მიუხედავად ამისა არსებობდა გადაადგილების სხვადასხვა საშუალებები დაწყებული ადამიანის ძალით, დამთავრებული მდინარის რესურსით. ამ პერიოდისთვის ძირითად ტრანსპორტს წარმოადგენდა: ჩარდახი (ფარდაგით გადახურული ურემი), სახედარი, აქლემი, ცხენი, ტივი.

XIX საუკუნის თბილისში გადასაადგილებლად აქტიურად იყენებდნენ ბორანს, ტივებს, რომლითაც ქალაქის ორი ნაპირი ერთამანეთს უკავშირდებოდა. სათევზაოდ გამოიყენებოდა ე.წ. “ ნაუტიკები“ - ტივის ფორმის სატრანსპორტო საშუალებები. რაც შეეხება ბორანს, ის იყო ერთმანეთთან შეერთებული ორი ბრტყელი ნავი და მასზე გადებული ფიცრები. ის ნაპირებს შორის გაჭიმულ ბაგირზე იყო გამობმული და ერთი ნაპირიდან მეორეზე მგზავრები და ტვირთი გადაჰყავდა. მუხრანის და ვერის ხიდების აგების კვალდაკვალ ბორნები ზევით, მტკვრის დინების აღმა ინაცვლებდა, დიღმის ბორანი, დიდუბის ხიდის აგების შემდეგ, 1955 წელს გაუქმდა.

ქალაქის ზრდასთან ერთად ვითარდებოდა სახმელეთო ტრანპორტიც. ეტლები თბილისში XIX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. ისინი სხვადასხვა სახის იყო. პირველ რიგში იყო ე.წ. „დროშკები“. ოთხთვალა რკინის ბორბლებიანი ეტლი, რომლებიც ტყავით და ე.წ. ბრეზენტით გადაიხურა. 1820-იან წლებში ამ ეტლებით მგზავრების გადაყვანისთვის ერთმა ჭკვიანმა მოქალაქემ ქირა დააწესა და შეიძლება ითქვას, რომ ასე გაჩნდა ქალაქში პირველი ტაქსი. ბარონი ტორნაუ წერდა "დროშკები გამწკრივებულნი იდგნენ შუა ბაზარში, მადათოვის მოედანზე. ტფილისის მედროშკენი ისე დააქროლებდნენ თავიანთ ცხენებს, რომ გამვლელებს შიშის ზარს სცემდნენ".

საინტერესოა, რომ 1870 წლისთვის 439 ორცხენიანი, 117 ერთცხენიანი ეტლი და 672 საზიდარი მოძრაობდა ქალაქში. მოგვიანებით თბილისში ყველაზე პოპულარული გახდა გადასახსნელ სახურავიანი ეტლი - ფაეტონი, რომელშიც უკვე ორი ცხენის შებმა შეიძლებოდა. 1887 წლის მონაცემებით თბილისში 520 ფაეტონი გადაადგილდებოდა.

XIX საუკუნის ტექნიკური პროგრესის ფონზე, აქლემები ვერ აღმოჩნდნენ კონკურენტუნარიანი. “ ახალ დროებას“ მხოლოდ ცხენებმა აუწყვეს ფეხი. ამ პერიოდში ერევნის მოედანი (ახლანდელი თავისუფლების მოედანი) ეტლების ცნობილი ბირჟა იყო. “ დროშკების ბირჟა“ კი ახლანდელი რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

საცხენოსნო ტრასპორტის განვითარებასთან ერთად, თბილისში ოთხთვალა “ლინეიკა“ ჩნდება. თბილისის ფართობისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად ქალაქის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შექმნილიყო საცხენოსნო რკინიგზა, ანუ ე.წ. კონკა. ეს უკანასკნელი ყველა მხრიდან ღია და პატარა ვაგონი იყო და დაახლოებით 20 მგზავრს იტევდა. ვაგონი 2 ცხენს დაჰყავდა, თუმცა თბილისურ აღმართებში ფორეიტორები ანუ კონკის მეეტლეები კიდევ 2 ცხენს აბამდნენ. პირველი კონკა ქალაქში 1883 წლის 10 მარტს გამოჩნდა და მან, დავით აღმაშენებლის გამზირის (მაშინდელი მიხეილის ქუჩის) გავლით, რკინიგზის სადგური და დღევანდელი ზაარბრიუკენის მოედანი დააკავშირა ერთმანეთთან. შემდგომში მარშრუტი გაგრძელდა დღევანდელ თავისუფლების მოედნამდე, მოგვიანებით კი რუსთაველის გამზირი და ვერის ნაწილი მოიცვა, საიდანაც ვერის ხიდის გავლით მარჯანიშვილის ქუჩაზე მიდიოდა. ვინაიდან იმ დროს საგანგებო გაჩერებები დაწესებული არ იყო, ამიტომ თითოეულ ვაგონს დაჰყვებოდა კონდუქტორი, რომელიც მგზავრების მოთხოვნით აჩერებდა ვაგონს. კონკას უკავშირდება ერთი საკმაოდ საინტერესო თბილისური ისტორია, როდესაც კონკა ვერის აღმართზე (დღ. მიხეილ ჯავახიშვილის აღმართი) ამოუყვებოდა, გამცილებელი ბიჭები, აუცილებლად დაიყვირებდნენ „აპნეჩკა ზემელა“; საქმე ისაა, რომ გერმანელი აფთიაქარი და ფარმაცევტი ევგენი ზემელი, რომლის აფთიაქიც ვერის აღმართზე მდებარეობდა, ფულს უხდიდა ბიჭებს რომ მისი აფთიაქის სახელი დაეყვირათ, რათა უფრო პოპულარული გამხდარიყო იგი. ზემელის სახელი იმდენად ცნობილი გახდა, რომ არაოფიციალურად მთელ მიკროუბანს დაერქვა. 1899 წელს თბილისში კონკის



22,4 კილომეტრი ლიანდაგი იყო გაყვანილი. ტრანსპორტის ამ საშუალებამ 1910 წლამდე იარსება.

თბილისის განვითარებასთან ერთად, ცხოვრების ტემპიც მატულობდა. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ცხენის ძალის ჩანაცვლება ელექტროენერგიით. 1904 წლიდან კონკა ელექროტრამვაიმ შეცვალა. მის მშენებლობას ბელგიური კომპანია აწარმოებდა. თბილისის ტრამვაის ქალაქის მოქალაქეები მართავდნენ. როგორც წყაროებიდან ირკვევა, ელექტროტრამვაის პირველი ვატმანი მიხაკო ქაცარავა ყოფილა. ელექტროტრამვაი თბილისის ისტორიის ნაწილია. იგი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქალაქისთვის, რადგან აერთებდა ისეთ უბნებს სადაც არ მიდიოდა სხვა ტევადი ტრანსპორტი. მნიშვნელოვანია, რომ 1940 წელს თბილისში ტრამვაიმ რეკორდული რაოდენობის მგზავრი გადაიყვანა - 194 00. მოგვიანებით ტრამვაის როლი საქალაქო ტრანსპორტში დაკნინდა, რაც ახალი ტიპის ტრანსპორტის დანერგვამ განაპირობა. სხვადასხვა მოდიფიკაციის ტრამვაი ზუსტად 102 წელიწადი არსებობდა. 2006 წელს მისი ვაგონები ერთი ხელის მოსმით აიღეს და ჯართში ჩააბარეს, ხოლო უმაღლესი ხარისხის ფოლადის ლიანდაგები ერთ-ერთმა კომპანიამ შეისყიდა.

1933 წელს თბილისის საზოგადოებრივ სატრანსპორტო სისტემას ავტობუსიც დაემატა. მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე, დღეში ხაზზე მხოლოდ 5 ავტობუსი მოძრაობდა და მისი სიგრძე დაახლოებით 10 კილომეტრი იყო, ის მგზავრების ნაკლებობას არ განიცდიდა, პირველივე წელს მგზავრთა რაოდენობამ 1 200 000-ს მიაღწია.

თბილისელთათვის სატრანსპორტო საშუალების კიდევ ერთ ფორმას ტროლეიბუსი წარმოადგენდა, ტროლეიბუსი თბილისში 1937 წლიდან გამოჩნდა, მისი ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 1934 წელს მიიღეს, თბილისის პირველი გენერალური გეგმის შედგენასთან ერთად. ტროლეიბუსის ხაზის სიგრძე პირველ წელს 15-მდე კილომეტრს შეადგენდა, ხოლო მოგვიანებით 95-მდე გაიზარდა. ამას რა თქმა უნდა ტროლეიბუსთა რიცხვის ზრდაც მოჰყვა. ამ სატრანსპორტო საშუალების საერთო წილი მგზავრთა გადაყვანაში თითქმის არასოდეს არ ყოფილა 20%-ზე მეტი. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დიდი კონკურენცია მას, მაინც ტრამვაისთან ჰქონდა, სამწუხაროდ ტროლეიბუსებმაც ტრამვაის ბედი გაიზიარეს, 2006 წელს მათ არსებობა შეწყვიტეს.

როდესაც თბილისის სატრანსპორტო საშუალებებზე ვსაუბრობთ აუცილებლად ცალკე უნდა გამოვყოთ მეტრო, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ქალაქისათვის. თავდაპირველად მეტროებს მხოლოდ იმ ქალაქებში აშენებდნენ, სადაც მოქალაქეთა რაოდენობა მილიონი იყო. რაც შეეხება თბილისში მეტროს აშენებას, თავდაპირველად ამ იდეას საბჭოთა ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა, მიზეზად კი თბილისის 600 000 მოსახლეობას და საჭირო რესურსის არქონას ასახელებდნენ. თუმცა კანდიდ ჩარკვიანმა (საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი 1938-1953 წლებში) მოახერხა და უშუალოდ სტალინისგან მოიპოვა თანხმობა მეტროს მშენებლობაზე და 1951 წელს მიიღეს გადაწყვეტილება მეტროლოპიტენის მშენებლობაზე. მშენებლობისათვის გამოიყო 824 000 000 მანეთი, ხოლო სამუშაოები ურთულეს პირობებში მიმდინარეობდა, რომ არ მომხდარიყო წყლის უეცარი ჩამოვარდნა მდინარე მტკვრის კალაპოტს კეტავდნენ. ამჟამად თბილისის მეტროპოლიტენში 23 სადგურია, მატარებელს მთლიანი მარშრუტის დასაფარად 1 საათი სჭირდება. ყველაზე ღრმა რუსთაველის სადგურია, რომელიც 100 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს. გვირაბებიდან ყოველდღიურად 25 000 ტონა წყლის ამოტუმბვაა საჭირო. რაც შეეხება პირველ სადგურს, 1966 წლის 11 იანვარს ექსპლოატაციაში ჩაბარდა პირველი რიგის პირველი უბანი, მისი სიგრძე 6,3 კილომეტრი იყო, ოთხი სადგურით, სადგურ „დიდუბედან“ სადგურ „რუსთაველამდე“. დღეს მოქმედი ხაზების საერთო სიგრძეა 26,4 კმ-ია. საინტერესოა რომ ის მეოთხე მეტროს სისტემა იყო საბჭოთა კავშირში მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის შემდეგ.

გამორჩეულმა რელიეფმა თბილისში კიდევ რამდენიმე საინტერესო ტრანსპორტის სახეობის აგებას შეუწყო ხელი: საბაგიროს, სამთო ტრამვაის ანუ ფუნიკულიორის. სამთო ტრამვაი რეალურად აშენდა იმისთვის, რომ ქვედა თბილისი დაკავშირებოდა დაგეგმილ ზედა ქალაქს. თუმცა დღესდღეობით ფუნიკულიორს მხოლოდ სასეირნო დანიშნულება აქვს. მთაწმინდის პლატოზე ზედა ქალაქის გაშენების იდეა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. თბილისი მტკვრის ორივე სანაპიროზე გაშენდა, ქალაქი გაფართოვდა და ამის გამო გადაადგილება გართულდა. სამთო ტრამვაის ზედა და ქვედა თბილისის მოსახლეობა მარტივად და მოხერხებულად უნდა დაეკავშირებინა ერთმანეთისთვის. თუმცა ამ პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალა 1905 წელს რუსეთის იმპერიაში დაწყებულმა პირველმა რევოლუციამ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი საჰაერო საბაგირო გზა საგანგებოდ გაიყვანეს რუსთაველის მოედნიდან მთაწმინდის პარკისკენ, მისი ფუნქცია იყო რუსთაველიდან, მარტივად და მოხერხებულად, პარკში დამთვალიერებლების აყვანა. პირველად საბაგირო 1958 წელს ამოქმედდა. შემდეგ გაიხსნა კუს ტბის, ლისის ტბის და ვაზის უბნის საბაგიროები, მათი ნაწილი 90-იან წლებში სამწუხაროდ დაიხურა ან გაუქმდა. ხოლო მთაწმინდის საბაგიროს მუშაობა 30-წლიანი ექსპულატაციის შემდეგ ტრაგიკული შემთხვევის გამო შეწყდა. 1990 წლის 1 ივნისს ბაგირი ჩაწყდა, რის შედეგადაც დაიღუპა 18 ადამიანი. ამის შემდეგ დროდადრო განიხილებოდა მთაწმინდის საბაგიროს აღდგენის იდეა და ამაზე საუბრები დღესაც მიმდინარეობს. აქვე დავძენთ, რომ 2016 წლის ოქტომბერში გაიხსნა კუს ტბის საბაგირო, რომლის მეშვეობითაც 6 წუთში კუს ტბაზე მოხვედრაა შესაძლებელი.

ნიკო ნიკოლაძე ქართველი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, XIX საუკუნის სამოციანელთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ერთ-ერთია იმ ქართველ მოღვაწეთაგან, რომელიც თავისი განათლების, ნიჭისა და გამჭრიახობის წყალობით ცდილობდა ევროპული ცხოვრების წესის, ტექნიკის მიღწევების შემოტანას საქართველოში. შესაბამისად, დიდია ის ღვაწლი, რაც ამ უდიდეს პიროვნებას მიუძღვის საქართველოში ტრანსპორტის განვითარებაში. როგორც აღვნიშნეთ, 1883 წლამდე თბილისში საზოგადოებრივი მუნიციპალური ტრანსპორტი არ არსებობდა, იყო მხოლოდ ფაეტონები და ომნიბუსები. სწორედ ნიკო ნიკოლაძის ძალისხმევით შემოიღეს თბილისში ცხენის ტრამვაი, ვაგონში შებმული იყო ორი ცხენი და ტრანსპორტი მოძრაობდა ლიანდაგზე. ამ პერიოდში ქალაქის ზრდის კვალდაკვალ, საჭირო გახდა მანამდე არარსებული კომუნიკაციის დამყარება ორ უბანს - ჩუღურეთსა და ვერეს შორის. პრობლემის გადასაჭრელად აშენდა დღევანდელი გალაკტიონის ხიდი, რომელსაც მაშინ ვერის ხიდს უწოდებდნენ. ნიკო ნიკოლაძემ თავისი წვლილი შეიტანა, მთაწმინდის რკინიგზის შუა ადგილზე რკინა-ბეტონის კონსტრუქციის აგებაში. მის იდეას ეკუთვნის კოჯორშიც რკინიგზის გაყვანა.

1870 წლებიდან ამიერკავკასიაში დაიწყო რკინიგზის მშენებლობა და დასრულდა XX საუკუნის 20-იან წლებში. 1871 წელს ფოთი-ყვირილას (დღევანდელი ზესტაფონი) მონაკვეთზე გაიხსნა პირველი სარკინიგზო ხაზი საქართველოში, ხოლო 1872 წლის 10 ოქტომბერს ფოთიდან თბილისში პირველი სამგზავრო მატარებელი ჩამოვიდა, სწორედ ეს დღე ითვლება ამიერკავკასიაში რკინიგზის დაბადების დღედ. ფოთი-თბილისის მონაკვეთის დასრულების შემდეგ დაიწყო ბაქო-თბილისის და სამტრედია-ბათუმის მონაკვეთის მშენებლობა, რამაც უზრუნველყო აზერბაიჯანული ნავთობის გადაზიდვა. სარკინიგზო ხაზის მშენებლობის მიუხედავად არ არსებობდა წიფის გვირაბი. სურამიდან ვაგონები ცხენებით გადაჰქონდათ და შემდეგ ხაშურიდან გრძელდებოდა სარკინიგზო გზა. ამ პერიოდში ბაქოდან ბათუმის გავლით რკინიგზის მშენებლობით ისარგებლა ნიკო ნიკოლაძემ და მთავრობას გამოაყოფინა ფინანსები წიფის გვირაბში სარკინიგზო გზის გასაყვანად. ამ მოკლე მონაკვეთშიც კარგად ჩანს თუ რაოდენ დიდი ამაგი მიუძღვის ამ ადამიანს საკუთარი სამშობლოსადმი.

თბილისის ტრანსპორტის განვითარების ისტორია იწყება XIX საუკუნიდან. ჩვენ ნათლად დავინახეთ, დროთა განმავლობაში თუ როგორ იცვლებოდა მისი სახეები, აღნიშნული ცვლილებები ხშირად დაკავშირებული იყო ქალაქის გეოგრაფიული საზღვრებისა და მოსახლეობის ზრდასთან. თბილისის, როგორც საქართველოს ურბანული ცენტრის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას დღესაც წარმოადგენს ტრანსპორტი. ქალაქის მოსახლეობის მკვეთრმა ზრდამ და ზემოთ აღნიშნული ზოგიერთი ტრანსპორტის სახეობის გაუქმებამ, უფრო მეტად გაამძაფრა აღნიშნული პრობლემა. ამიტომაც აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით.

თსუ სტუდენტები:

მარიამ მაჭარაშვილი

ნინო მელუა

(ავტორებს გამოყენებული ლიტერატურა მითითებული აქვთ - რედ.)

ნოდარ ჯალაღონია: დუმილი სულაც არ არის ოქრო...

ნოდარ ჯალაღონია გასული საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში გავიცანი.ეს ის დრო იყო,როცა იგი აჭარის უმშვენიერესი ქალაქიდან, ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდა. ბათუმში რა უნდოდა ნოდარს?იკითხავთ. ახალგაზრდობა დაუდეგარია, მით უფრო დაუდეგარი იქნებოდა ნოდარიც, ალბათ, თავისუფლებისა და თავგადასავლების მაძიებელიც, იქნებ დამოუკიდებელი ცხოვრების გემოს გაგებაც სურდა ზვისპირა, კოლორიტულ, პატარა ქალაქის. ასეა თუ ისე, სენაკელ ნოდარ ჯალაღონიას ბათუმისაკენ მიუშურებია. არც ის ვიცი რამდენ ხანს უცხოვრია ამ ქალაქში, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, XX საუკუნის სამოციან წლებში თბილიში ჩამოვიდა. თავიდანვე ნიჭიერებით დაღდასმული გახლდათ, პოეტური ნიჭიერებით, ცხადია.

იმხანად ძალიან კარგი ლექსები გამოაქვეყნა, მერე და მერე უკეთესები და ა.შ. ჩემი ხანგძლივი ცხოვრების მანძილზე უამრავ პოეტს ვიცნობდი და ვიცნობ. ბევრი მათგანი თავის ლექსებსა ჰგავდა, უფროსწორად, ბევრ პოეტს თავისი ლექსები ძალიან ჰგავდა, ბევრ პოეტს კი-არა. მე ასე მგონია, რომ ვინც მეტი არტისტული ნატურა იყო, მას თავისი ლექსები არა ჰგავდა, ვინც ნაღდი პიროვნება და ალალი ბუნებისა იყო, იმას თავისი ლექსები ჰგავდა;

ნოდარ ჯალაღონიას ერთი პირველი ლექსთაგანია„ყვავილების მიწა“. ეს ლექსი გახლავთ ჩვენი ამაღელვებელი, სევდიანი ისტორიის ერთი უმწარესი მომენტის გახსენება,- როგორ უღმერთოდ იტაცებდნენ ჩვენი სამშობლოს მტრები ჩვენს ყველაფერ საუკეთესოს, როგორ ფუძნდებოდნენ ჩვენს მიწაზე და პოეტის ღაღადისივით გაისმის ლექსის ბოლოს:„და მუხლმოყრილი გემუდარებით,-ნუ ყიდით მიწას, ყვავილის მიწას“...

ეს სტრიქონები პირდაპირ გულში ხვდება ქართველს და მრავალჯერ შევსწრებივარ -ნოდარი ამ ლექსს რომ კითხულობდა, ბევრი აქვითინებულა მისი კითხვისას.

მახსოვს, ერთხელ,ერთ-ერთ შეკრებაზე, ნოდარმა, „ყვავილების მიწა” წაიკითხა. დიდი ბატონი კონსტანტინე გამსახურდია მხურვალედ უკრავდა ტაშს, გამოვიდა რიგიდან, ნოდარს მიუახლოვდა და მრავალი ქების სიტყვა უთხრა მას.

ნოდარ ჯალაღონია პრინციპული, პირდაპირი და უკომპრომისო პიროვნება იყო, გამორჩეულად პირდაპირი. მას არ შეეძლო თუ რაიმეზე არ ეთანხმებოდა, არ შეკამათებოდა და თავისი აზრი არ ეთქვა რაგინდ ავტორიტეტულ ადამიანს, - ასეთივე იყო საპირისპიროდ, თუ ვინმესი რაიმე მოეწონებოდა, სახალხოდ გამოთქვამდა აღტაცებას, შეეძლო არაჩვეულებრივი ლექსის სტრიქონის გამო დიდხანს ესაუბრა აღტაცებით...

ამიტომაც ვამბობდი ზემოთ, ნოდარს ძალიან ჰგავს მეთქი თავისი ლექსები, მის ლექსებში ცხადად ჩანს ეს ყველაფერი:

როცა სამშობლო გმინავს და
ოხრავს,
როცა ქვეყანა დგას ბეწვის
ხიდზე,
დუმილი სულაც არ არის ოქრო,
დუმილი სულაც არ ნიშნავს
სიბრძნეს.

და ბოლოს:

დუმილით ბევრი სიბრიყვეს
მალავს,
ბევრის დუმილიც სილაჩრეს
ნიშნავს.

დიახ, ეს ლიტონი სიტყვები არ არის, ნოდარი გულისგულში სწორედ ასე ფიქრობდა.

ნოდარ ჯალაღონიას ლექსების ერთადერთი,სისხლხორცეული

თემა საქართველოა. საქართველოს გარეშე მისთვის არაფერი არაფერია, მისი ტკივილი სტკივა და მისი სიხარული, მისი გაბრწყინება ენატრება. ისეთ დროსა და ისეთ მდგომარეობას ნატრობს, როცა საქართველო თავს მარტო აღარ იგრძნობს, ისეთ ვითარებას ნატრობსმ როცა ქართველი ქართველს აღარ გაიმეტებს სასიკვდილოდ, რადგან;„როცა ქართველი ქართველს ჰკლავს, ქართველი ქართველს ამარცხებს“. შესაბამისად,ასევეა მისი სიტყვებით:„საქართველო მარცხდება, როცა ერთმანეთს ვამარცხებთ“.

ნოდარ ჯალაღონიას აზრით, - საქართველო სამეგობროდ იწვევს ყველას, მაგრამ:„ღმერთმა ნუ ქნას, იგი ისევ სხვათა მონად იქცეს“.

ნოდარ ჯალაღონიას სულისკვეთების პოეტი, დიდი ეროვნული, თავისი სამშობლოს ერთგულებით გამსჭვალული, ბუნებრივია, საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღზევების ჟამს, განზე ვერ გადგებოდა და შორიდან, გულგრილ მაყურებლად ვერ დარჩებოდა; ასედაც მოხდა, იგი მთელი თავისი შეგნებით გადაეშვა ეროვნულ მოძრაობაში და ჩვენი ქვეყნის მომავალს დიდი რწმენითა და იმედით შეჰყურებდა და მისი სტრიქონები:„იმედის და რწმენის სიკვდილს უმალ ტყვიით სიკვდილს ვარჩევ“, მისი გულიდან დაძრული და ამოხეთქილია ეს სიტყვებია:

ჩემი სურვილი ასეა მოკლედ,-
სანამ გული ძგერს უნდა დავიცვა,-
სამშობლოსათვის კი არ მსურს
მოკვდე,
სამშობლოსათვის უნდა დავიწვა.

ჩვენი დროის ეროვნული ლიდერების-დიდი ქართველების - ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას იდეების ერთგული, მათი საქმის გულისგულამდე მიტანა ნოდარ ჯალაღონიას სისხლხორცეულ საქმედ იქცა. ამას ეძღვნება მისი იმდროინდელი თუ შემდგომი დროის შემოქმედება. და ეროვნული იდეალებისადმი ერთგულებით სავსე პოეტის გულის ამოძახილი იყო ამ იდეალებისადმი მიძღვნილი ყველა სტრიქონი.

ამ იდეალებისათვის, მანქურთების მიერ დასჯილ ამირან კალაძესა და უდროოდ გარდაცვლილ ძმებს დასტირის პოეტი, რომელნიც ბედნიერებას ვერ ხედავდნენ თავისი სამშობლოს იქით...

არც თავად ნოდარ ჯალაღონიას დაჰკლებია ქართველი მანქურთებისგან შევიწროება, თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნოდარი იყო უშიშარი, მტკიცე და უკომპრომისო, ვინც კახაბერს არა ჰგავდა, მას ვერ იტყოდა კახაბერად...

ძალზე ბუნებრივი და ადამიანურია მისი ეს ნატვრაც:„ჩემო ბედო და ჩემო იმედო, ისე არ მომკლა არ გამიმეტო, კრწანისის მტრების ჯავრი არ ვჭამო, ლაშარის გორზე არ მოვილხინო, ჩემი ხალხი და ჩემი სამშობლო, თავისუფალი რომ არ ვიხილო“.

ამბროსი ხელაიასადმი მიძღვნილი ლექსიც ნოდარ ჯალაღონიას სულის ამოძახილია და ჰიმნივით ხმიანობს მისადმი მიძღვნილი ეს სიტყვებიც: „სიმართლისათვის წამება, არც ტანჯვა,არც ტკივილია, თუ სანთელივით არ იწვის, სიცოცხლე მხოლოდ ძილია“. ამ ლექსითაც კარგად იხატება უკვდავი ამბროსი ხელაიას წმიდა ხატება.

ნოდარ ჯალაღონიას აზრით, „ეს ცხოვრება არის ფარსი, ფარსი არის ოცნება, როცა ადევს ჩალის ფასი ნიჭს და პატიოსნებას“. აგრეთვე: „საცოდავია მხოლოდ ის, ვინც სიკვდილამდე მოკვდება“.

ნოდარ ჯალაღონიას პიროვნებასა და შემოქმედებაზე საუბარი დიდხანს შეიძლება... გულსაკლავია მისი მძიმე ავადობა, მისი უკანსკნელი დღეები, გარდაცვალება... ერთი დიდი წუხილი წაჰყვა პოეტს:

არის ღალატი და არის ცოდვა,
ის რაც სამშობლოს მიწას არ
რჩება,
როცა ქართველის ნიჭი და
ცოდნა
საქართველოსთვის არ იხარჯება.
ჩვენი წუხილიც ეს არის ძვირფასო ნოდარ!

ბელა შალვაშვილი

✠ სულთათანა ✠

გაზეთ „განმათავისუფლებლის“ რედაქცია, ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, მებრძოლი პოეტის, ეროვნული მოღვაწისა და მამულიშვილის

ნ ო დ ა რ ჯ ა ლ ა ღ ო ნ ი ა ს

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ღირს მეუღლეს, ქალბატონ მანანას, უძვირფასეს დანაკლისს .

გამოვთქვამთ უკმაყოფილებას კულტურის სამინისტროსა და დედაქალაქის მერის კალაძის მიმართ, რომ მათ არ გამოყვეს ადგილი ეროვნულ პოეტ, ნოდარ ჯალაღონიას საბურთალოს პანთეონში დაკრძალვისათვის, რასაც ნამდვილად იმსახურებდა გარდაცვლილი პოეტი.

ნოდარ ჯალაღონია, ოჯახმა, ვაშლიჯვარის სასაფლაოზე დაკრძალა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს შსს მინისტრ ბ-ნ გიორგი გახარიას

მთვარისა ნავერიანი

საქართველოს შსს მინისტრ ბ-ნ გიორგი გახარიას

მიმდინარე წლის 13 სექტემბერს, ჩემი ინდივიდუალური საკუთრების სარდაფის ფართში მოხდა გარეშე პირების მიერ, მორიგი უნებართვო შეჭრის ფაქტი. კერძოდ, ახალმა მობინადრემ მამუკა დოლიაშვილმა ჩემს სარდაფში, ჩემი ნებართვის გარეშე გალავნიდან გადაიყვანა თავისი მუშები და აწარმოა უნებართვო სამუშაოები, რის შედეგადაც მოაოხრეს, დაარბიეს და დააზიანეს სარდაფი. ჩემს ინდივიდუალურ საკუთრებაში უნებართვოდ შეჭრილებს მივეცი წინადადება შეეწყვიტათ სამუშაოები და დაეტოვებინათ სარდაფი, რაზეც მათ გამიწიეს წინააღმდეგობა და მუქარითა და გინებით მიპასუხეს. აღნიშნულ ფაქტზე გამოვიძახე პატრული, მაგრამ პატრულის ეკიპაჟმა იაგო მათიაშვილმა და რამაზ ალანიამ (ზემდგომებთან დარეკვის შემდგომ) ხელი აიღეს კანონის აღსრულებაზე და მოძალადეების მხარე დაიჭირეს; უფრო მეტიც - პატრულმა იაგო მათიაშვილმა თავად შეაბრუნა მოძალადე მუშები ჩემს სარდაფში, დაეხმარა მათ სარდაფის ბარიერის (კედლის) სიმაღლის გადალახვაში და შეწყვეტილი სამუშაოების დასრულებაში. ჩემი მოთხოვნით გამოძახებულ იქნა პატრულ-კრიმინალისტების ეკიპაჟი, რომელიც მოვიდა გაგა ბზიკაძესა და გიორგი მუმლაძის შემადგენლობით, რომლებიც სამართლებრივი მოვალეობისამებრ შეეცადნენ მომხდარში გარკვევას, მაგრამ ისინი, ზემდგომების სატელეფონო ზარით გაყვანილ იქნენ შემთხვევის ადგილიდან. ამის შემდგომ მე მოვითხოვე პატრულ იაგო მათიაშვილისაგან გამოეძახებინათ გამომძიებლებისთვის. ორი საათის შემდეგ, როგორც იქნა მოვიდნენ საგამომძიებლო სამსახურის ინსპექტორები გიორგი ექსეულიძე (ასე გამეცნო) და გიორგი გორდელაძე(მისი თქმით). მათ, საქმეში გაურკვევლად, მოსვლისთანავე განმიმარტეს, რომ დანაშაულს არ აქვს ადგილი და არც გამოძიების საფუძველი არსებობს და თუ მე გამოვიძახებდი მერიის ზედამხედველობის სამსახურს, ისინი თავად დაელაპარაკებოდნენ მათ...

განვმარტავ, რომ არცერთ ეკიპაჟს არ შეუდგენია „ოქმი“ მომხდარ ფაქტზე.

ჩემდა გასაკვირვად, ჩემს წინააღმდეგ, ჩვეული აგრესიითა და პროვოკაციული გამოხდომებით გამოყენებულ იქნა ცნობილი პროვოკატორი, მთვარისა ნავერიანი, რომელიც ამ ზაფხულს, საზოგადოებამ, გაიცნო პარლამენტთან ნიკა გვარამიასთან მიჭრით, რომელსაც ნავერიანი მიუგზავნეს სპეცსამსახურებმა; პროვოკატორმა ნავერიანმა მოახერხა ნიკა გვარამიას გამოწვევა, რომელიც ხელით შეეხო ნავერიანს და რის გამოც სასამართლოში უჩივლა ნავერიანმა მას. ამჯერად ეს ნავერიანი, მთელი მონდომებით ცდილობდა ჩემს მსგავს პროვოკაციაზე წამოგებას ისტერიული და ცილისმწამებლური შეურაცხყოფებით, რისი დათმენისთვის დიდი ძალისხმევა დამჭირდა...

აღნიშნული სარდაფი გახლავთ ჩემი ოპოზიციური გაზეთის სამეურნეო ფართი, რომელსაც ყველა ხელისუფლება, რატომღაც ერთნაირად იყენებდა ჩემი პროვოცირებისა და საქმიანობის პარალიზებისათვის.

მომხდარ ფაქტსა და შსს პატრულ-გამომძიებლების ქმედებას ვაფასებ ივანიშვილის რეჟიმის ბრძოლად ჩემს მიმართ, როგორც ოპოზიციური გაზეთისა და მათთვის არასასურველი წიგნების ავტორის წინააღმდეგ.

მოვითხოვ, პატრულის ეკიპაჟების „მოკვლევის“ ჩანაწერს (ე.წ.ოქმს) და მათი სამკერდე ვიდეო-კამერებით გადაღებულ ფირს სრული მეტრაჟით, ლეონიძის ქ. N8-ის ეზოში 2018 წლის 13 სექტემბერს განვითარებული მოვლენებისა.

ჩემი რეკომენდაციაა, ნუ შეეცდებით ვიდეო-კამერების ტექნიკურ მანიპულაციებს კადრების ამოჭრის მიზნით. იმ დღის მოვლენებს იღებდა სხვა კამერაც...

მე არაერთი მიმართვა გავუგზავნე ივანიშვილის შსს მინისტრებს, რომ ჩემი საცხოვრებელი სახლის ქვემოდან გაეყვანათ მოყურადე და მოთვალთვალე პოლიციელები, რომლებიც ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან გაჩნდნენ ჩემს სახლთან. ამ ე.წ. სამართალდამცავებმა, დროთა განმავლობაში გადაიბირეს, აქ თვითნებურად დასაქმებული მოვაჭრეები და ინფორმატორებად აქციეს ისინი, რამაც დაძაბა ურთიერთობა ჩვენს შორის. მსგავსი პოლიციური თვალთვალი ჩემს მიმართ არ განუხორციელებია თვით შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმებს. ივანიშვილის პატრულ-პოლიციელები კი სისტემატურად დგანან ჩემი ფანჯრების ქვემოთ უკვე მეექვსე წელია და ლამის შინაურადაც იგრძნონ თავი.

13 სექტემბერს კი (როგორც ჩვენი სახლის ამხანაგობის თავმჯდომარემ მითხრა), მთაწმინდის პოლიციას (უფროსი გიორგი თაბორიძე, იხილეთ პირველ ფოტოზე) დაგეგმილი ჰქონია ჩვენს ეზოში შემოსვლა ჩემთვის პროვოკაციის მოწყობის მიზნით და 13 სექტემბრის მორიგი სკანდალიც, როგორც გაირკვა, გეგმიური იყო. ფაქტია, ივანიშვილის ხელისუფლებას მოსვენებას უკარგავს ჩემი რადიკალურად ოპოზიციური გაზეთი და 930 გვერდიანი წიგნი „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა“, რომელშიც პოლიტიკურ-სამართლებრივად შეფასებულია დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება შემდგომი პერიოდით, რომელშიც არც ივანიშვილის ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისთვისაც ამივლია გვერდი...

პატრულის თანამშრომლები, რომ შსს მინისტრ გახარიას უშუალო დავალებით, მოქმედებდნენ, ეს დაადასტურა დრომ - ერთი თვე გავიდა ამ ჩემი ოფიციალური წერილის გაგზავნიდან და დღემდე არ მიმიღია არავითარი პასუხი. ჩემი მოთხოვნა, რომ გადმოეცათ 13 სექტემბრის ვიდეო-კადრები, სადაც სრულად იქნება დაფიქსირებული, პატრულის ეკიპაჟი როგორ ცდილობდა ჩემს პროვოკაციაზე წამოგებას და კანონდარღვევით ამეტებდა უფლებამოსილებას, გასაგები მიზეზების გამო ვერ შესრულდა. ეს გახლავთ ივანიშვილის რეჟიმის ბრძოლა თავისუფალი პრესის წინააღმდეგ. ეს დიქტატურაა!

ვაქვეყნებ ხსენებული პატრულ-პოლიციელების და ჩემი ფანჯრების ქვემოთ, 2013 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, (ერთი შეხედვით) „უსაქმურად“ მდგარი პოლიციელების ფოტოების მცირე ნაწილს, აგრეთვე, მთაწმინდის პოლიციის უფროსის, გიორგი თაბორიძის ფოტოს, რომელიც ივანიშვილის ხელისუფლების დაკვეთით, პერმანენტულად ახორციელებს ჩემს პოლიტიკურ დევნა-შევიწროებას მის მიერ გადაბირებული სამი მობინადრის მეშვეობით, ეწევა ჭორებისა და დეზინფორმაციების გავრცელებას, ჩემი პიროვნების დისკრედიტაციის მიზნით...

გაზეთ „განმათავისუფლებლის“
მთავარი რედაქტორი

ლეილა ცოფანია
2018 წლის 14 სექტემბერი

უკრაინის კიევის საპატრიარქოს დამოუკიდებლობის (ავტოკეფალიის) საკითხი

უკრაინის კიევის საპატრიარქოს, მოსკოვის რუდუნებით, 1686 წელს წაერთვა ავტოკეფალია და მიიერთა მოსკოვიის მტაცებელმა ეკლესიამ.

დღეს კი, რუსთაგან დევნილმა უკრაინის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ აღიდგინა თავისთავადობა! მოიშორა მსახვრალი მოსკოვიის „ეკლესიის" ტყვეობა და უღელი. კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს სინოდმა, უკრაინის ეკლესიის კიევის პატრიარქ ფილარეტს და უკრაინის ეკლესიის მიტროპოლიტ მაკარს ანათემა მოუხსნა. სინოდმა, აგრეთვე გააუქმა 400 წლის წინანდელი სინოდალური დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, მოსკოვის პატრიარქს, კიევის მიტროპოლიტის ხელდასმის უფლება ჰქონდა. ეს განჩინება, უკრაინის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის და უკრაინის საპატრიარქოს დამოუკიდებლობისაკენ (ავტოკეფალიისკენ) წინ გადადგმული ნაბიჯია და იგი საბოლოოდ ნოემბრის თვეში აღსრულდება.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადებით (წმინდა სინოდის წევრი, მანგლელი მიტროპოლიტი ანანია), ისინი უკრაინის ავტოკეფალიას მას შემდეგ ცნობენ, როცა მსოფლიო ეკლესია ცნობს. საქართველოს საპატრიარქო, ამ დრომდე თავს იკავებს უკრაინის ავტოკეფალიის მხარდამჭერ ცალსახა განცხადების გაკეთებასა და ხელმოწერაზე, რაც რუსეთის პატრიარქ კირილისა და პრეზიდენტ პუტინისადმი კრძალვით შეიძლება აიხსნას.

რუსეთის პატრიარქმა კირილმა, კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს სინოდის 13 ოქტომბრის განჩინების გამო, მოუწოდა რუს მართლმადიდებლებს, სალოცავად არ შევიდნენ კონსტანტინეპოლის ეკლესიებში და ევქარისტული კავშირიც გაწყვიტა კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან.

მოსკოვის ოკუპანტმა ეკლესიამ იგივე ბედი არგუნა საქართველოს ეკლესიას, 1811-1814 წლებში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გაუქმდა კათალიკოს-პატრიარქის ტახტი. და საქართველოს უძველესი ეკლესია, მტაცებელმა მოსკოვიის ეკლესიამ აქცია საეგზარხოსოდ. გაძარცვა და გაანადგურა ქართული ტაძრები, საჯინიბოებად და თავლებად აქცია ჩვენი წმინდა ტაძრები, გაანადგურა წმინდა ფრესკები, მიიტაცა მაშინდელი 170 მილიონი ოქროს თუმნის ღირებულების საეკლესიო სიწმინდეები და განძი.

სიტყვა „სამოთხის" განმარტება

ყოველი ქართული სიტყვა განსაკუთრებული მისტიური დატვირთვის მქონეა. ვფიქრობ, ამან ათქმევინა იოანე ზოსიმეს „ყოველი საიდუმლო ამა ენასა შინა დამარხული არისო." და კიდევ: საეკლესიო გადმოცემის თანახმად, ჩვენ, ქართველები წმიდა ებერის შთამომავლები ვართ, ეს ის ებერია, რომელმაც არ მიიღო მონაწილეობა ბაბილონის გოდოლის მშენებლობაში, რისთვისაც უფალმა მას და მის შთამომავლობას შეუნარჩუნა ის პირველადი ენა, რომელ ენაზეც საუბრობდა ადამიანთა მოდგმა ბაბილონის გოდოლის მშენებლობამდე და სწორედ ამიტომაა დამარხული ყოველი საიდუმლო ამა ენასა შინა.

ამჯერად, მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო სიტყვაზე „სამოთხე"

უფალი არის სამება ერთარსი და განუყოფელი. სამოთხეში მეოთხე იყო ადამი, უფლის მიერ შექმნილი, რომელიც უფალთან საუბრობდა და სრულ ჰარმონიაში იყო მასთან. ამიტომაც დაერქვა ადამის ადგილსამყოფელს სამ-ოთხ-ხე. როდესაც ადამის ნეკნიდან შეიქმნა ევა, უკვე ორივე ერთად წარმოადგენდა ერთ მთელს და თითოეული იყო ნახევარი. სამოთხეში ადამი და ევა იყვნენ სრულ ჰარმონიაში უფალთან და იყვნენ მეოთხენი. ამიტომაც მათ სამყოფელს ერქვა სამ-მოთხ-ხე. როდესაც ადამმა და ევამ შეცოდეს, ისინი გამოძევებულ იქნენ სამოთხის ბაღიდან. ბუნებრივია, სამოთხეც ვეღარ იარსებებდა. უფალი იესო ქრისტე როდესაც განკაცდა, იგი გახდა ახალი ადამი. შეიმოსა კაცობრივი ბუნება და დაძლია სიკვდილითა სიკვდილი. სამება უფალის მეორე წევრს, უფალ იესო ქრისტეს აქვს ორი ბუნება – ღვთაებრივი და კაცობრივი. უფალი იესო ქრისტე თავისი მეორე, კაცობრივი ბუნებით ყოვლადწმინდა სამებასთან ქმნის სამოთხეს. ანუ, ადამის ნაცვლად, აქ მეოთხე არის უკვე ახალი ადამი, უფალი იესო ქრისტე. სიტყვა სამოთხეში ჩადებულია აგრეთვე ასტრონომიული ცოდნა. თუ რიცხვებზე 3-სა და 4-ზე ვაწარმოებთ იდენტურ მოქმედებებს, მივიღებთ რიცხვებს, რომელთაც აქვთ კალენდარული მნიშვნელობა.

მაგალითად: 3+4=7 7 დღეა კვირაში. ციკლარტყელაც შვიდფერია. 3X4=12 წელიწადში 12 თვეა. წელიწადში არის 4 სეზონი და თითო სეზონში 3 თვეა. გვაქვს 4 მხარე და ვცხოვრობთ სამგანზომილებიან სივრცეში.

7+12=19. 19 წელიწადს უნდება დედამიწა მოძრაობას მთვარის გარშემო.

32+42=25

25+3=28

25+4=29 თებერვალი სამი წელი არის 28-ით და ერთი წელი არის 29-ით.

უფალი აღდგა მესამე დღეს, ხოლო ლაზარე აღადგინა მეოთხე დღეს. 3 უფლის კოდური რიცხვია, ოთხი კი ადამიანის.

სიტყვა „სამოთხე" სხვა მრავალი კუთხითაც შეიძლება საუბარი, რაზედაც სხვა დროს ვისაუბრებთ...

ნინო ტარყაშვილი

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404511658
მთ. რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
ვებგვერდი: *http://ganmatavisuflebeli. webs. com*
ელ. ფოსტა: *ganmatavisuflebeli@yahoo. com*